ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 086 12 აპრილი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ჟაკ სანტინი ფედერაციის სიაშია

სამწვრთნელო საკითხი »» 2



## მილანი იუვესთან: კალაძისა და ნესტას გარეშე

მსოფლიო ფეხბურთი »» 5-10

## ვითხოვთ რიგგარეშე არჩევნებს



## ქართულ ფეხბურთს უმეცრები მართავენ

»» 4




## ესეც ორი ლიცენზია!

### ჟვანია და იზორია პეკინში

საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მიმდინარე ტურნირზე, გუშინ, ორმა ქართველმა მოკრივემ მოიპოვა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია - ნიკოლოზ იზორიამ (57 კგ) და კახაბერ ჟვანიამ (69 კგ). სამწუხაროდ, ნახევარფინალში დამარცხდა და უსაგზუროდ დარჩა კობა ფხაკაძე (60 კგ).




# ზაზა კედელაშვილი მესამედ ევროპის მწვერვალზე



## ბრინჯაო ნესტორ ხერგიანს

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი »» 11

# ლელო, ლელო, საქართველო!



## დღეს რუსეთია

რაგბი. ერთა თასი »» 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო საკითხი

# გურული სანტინის ვაკანსიაზე დაელაპარაკება

## ფედერაცია 4–5 მწვრთნელს შეხვდება

უკვე გაცნობეთ, რომ რამდენიმე უცხოემა მწვრთნელმა აგენტის მეშვეობით ჩვენს ფედერაციას საქართველოს ნაკრების თავკაცობაზე საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა. მათ შორის გახლდათ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მესაჭე **ჟაკ სანტინიც**. სანტინის კარგად იცნობს ჩვენს ეროვნულ გუნდში ადრე მომუშავე **გია გურული**, რომელიც ახლა ფეხბურთელთა ტრანსფერებითაა დაკავებული. ორი დღის წინათ გურულმა "ლელოსთან" საუბარში რამდენიმე გამორჩეული და დღეისათვის უმუშევარი ფრანგი მწვრთნელები დაასახელა. ის უკვე წლებია, საფრანგეთში ცხოვრობს და საქმიანობს, იქაურ მწვრთნელებთანაც გარკვეული ურთიერთობა გააჩნია. მათ რიცხვშია ჟაკ სანტინიც, რომლის პერსონითაც ფედერაციის ხელმძღვანელობა დაინტერესდა.

გუშინ შევიტყვეთ, რომ გია გურულს ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შეხვდა და სანტინიზე ესაუბრა. რამდენიმე დღით სამშობლოში მყოფი გურული დღეს, გამთენიისას თბილისიდან საფრანგეთს გაემგზავრა. როგორც შევიტყვეთ ის უქმეების შემდეგ დაელაპარაკება ჟაკ სანტინის. ჩვენი ინფორმაციით, გურული სანტინისთან ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრას ორგანიზებას გაუკეთებს.

*"ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. საუბარი გვქონდა ჟაკ სანტინიზე. საფრანგეთში დაბრუნებისთანავე შევეცდები, შევხვდე სანტინის... არ ვიცი მას ფედერაციის ხელმძღვანელობაც შეხვდება თუ არა. სამშაბათს უფრო მეტი მეცოდნება"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა გია გურულმა.

სანტინის გარდა ფედერაციის სიაში სხვა მწვრთნელებიც არიან. ორშაბათს ფედერაციის თავკაცთა ტრიო **ნოდარ ახალკაცის, რევაზ არველაძისა** და **გოგი ქავთარაძის** შემადგენლობით ევროპას მიაშურებს. პარასკევის ჩათვლით ჩვენი ფეხბურთის თავკაცებს 4 ან 5 მწვრთნელთან ექნებათ შეხვედრა. სავარაუდოდ, 20 აპრილისთვის კი ფედერაცია 3-4 მწვრთნელის კანდიდატურას დატოვებს, მათ ვინაობას საჯაროდ გაახმაურებს და ეროვნული ნაკების თავკაციც მათში ერთ-ერთი იქნება.

**დავით ცაბაძე**

# გიორგი ლომაია ოლიმპში ითამაშებს



**კლაუს ტოპმიოლერის მიერ ათვალწუნებული გიორგი ლომაია კარიერას რუსთავის "ოლიმპში" გააგრძელებს. გიორგი ლამის ერთი წელიწადი უგუნდოდ იყო და ფორმის შეინარჩუნებას "ვიტ ჯორჯიაში" ვარჯიშით ცდილობდა.**

**გუშინ კი გაირკვა, რომ გიორგი კარიერას დროებით საქართველოს ჩემპიონ რუსთავის "ოლიმპში" გააგრძელებს. ეს თავად დაგვიდასტურა:**

- დიახ, ასეა, "ოლიმპში" მიმიწვიეს და ორი თვით, სეზონის ბოლომდე ვითამაშებ.

**- უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი რატომ არ გააფორმე?**

- თავად არ მსურდა, კლუბსაც აწყობდა ჩემი პირობები და დავთანხმდი.

**- ლვოვის "კარპატიდან" გათავისუფლების ცნობა მიიღე?**

- ესეც მოგვარებულია. უკრაინელებს პრობლემა არ შეუქმნიათ.

**- სეზონი დაწყებულია და "ოლიმპის" განაცხადში შეგიყვანენ?**

- არც ესაა პრობლემა. თავისუფალი აგენტი ვარ, ასეთი სტატუსით კი, გუნდი ფეხბურთელს ნებისმიერ დროს განაცხადებს.

**- სხვა ვარიანტები არ გქონდა?**

- ჩემი ამბავი ბევრმა იცოდა და მადლობა მათ, რომ გვერდში დგომის სურვილი გამოხატეს. საქართველოში საკმაოდ ბევრი კლუბი მიწვევდა, ბათუმის "დინამო", გორის "დილა", ბოლნისის "სიონი", თბილისის "ლოკომოტივიც", მაგრამ საბოლოოდ, "ოლიმპში" თამაში ვამჯობინე.

**- ეს გასაგებია, ყველაზე უკეთეს პირობებს შემოგთავაზებდნენ.**

- არაა ასე. უბრალოდ, თამაში ძალიან მომენატრა. არჩევანი რომ გაქვს, ბუნებრივია, ამბიციურ კლუბში გადასვლა ვამჯობინე. სხვებზე უკეთესი პირობები კი, ნამდვილად არ მაქვს.

მინდა მადლობა ვუთხრა "ვიტ ჯორჯიის" ხელმძღვანელობას, რომელიც მძიმე დროს დამიდგა გვერდში და ვარჯიშის საშუალება მომცა.

**- "ოლიმპზე" გაცილებით ამბიციური კლუბია თბილისის "დინამო", მაგრამ ზაფხულში მისი წინადადება არ მიიღე...**

- "დინამო" ოვონოს ჩამოყვანამდე მიწვევდა, მერე აღარ დამკავშირებიან.

**- როგორც ვიცით, საქართველოსთვის საკმაოდ დიდი პირობები მოითხოვე და მოლაპარაკებაც ამიტომ ჩაიშალა.**

- ასეც არაა საქმე. ხანგრძლივი კონტრაქტი შემომთავაზეს და ბუნებრივია, პირობები წამოვაყენე.

**- თუკი "ოლიმპი" ინტერტოტოს გათამაშებაში გავიდა, რუსთავში დარჩენას გამორიცხავ?**

- კლუბის ხელმძღვანელობას შევუთანხმდი, რომ ახალ კლუბს მოვძებნი. ალბათ, თავადაც ახალ მეკარეს მოძებნიან, ან შეყრილაძეს დააყენებენ.

**- პირველ შეხვედრას როდის ჩაატარებ?**

- ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. გუნდში კი უკვე ვვარჯიშობ.

**მერაბ მამულაშვილი**

# კობიაშვილი ორ თამაშს გამოტოვებს

ლევან კობიაშვილის "შალკე" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "ბარსელონასთან" სტუმრადაც 0:1 რომ დამარცხდა, ჩვენებურმა ტრავმა მიიღო და შეცვალეს. კობიაშვილს გერმანიაში რომ შევეხმიანეთ, ჯერ ჯანმრთელობაზე ვკითხეთ.

*"დღეს სურათი გადავიღე და მითხრს, სერიოზული არაფერიაო - მუხლთან კუნთია დაჭიმული და სისხლჩაქცევებია. შაბათს "ვერდერთან" ვერ ვითამაშებ, მომდევნო მატჩსაც გამოვტოვებ, მერე კი "ჰამბურგს" ვხვდებით და ალბათ, მაშინ უკვე შემეძლება თამაში"*

საქართველოს ნაკრების მწვრთნელად **ფოლკერ ფინკე** ყოფილი ფრაიბურგელების რჩევით რომ განიხილება, ადრეც გაუწყეთ. კობიაშვილმა გვითხარ, რომ: *" ჩვენ, ყოფილმა ფრაიბურგელებმა კარგად ვიცით, თუ რა დონის სპეციალისტი და როგორი პიროვნებაა ფინკე. ნაკრებისთვის მწვრთნელის შერჩევა ფეხბურთელების საქმე არ არის, მაგრამ თუ ფინკეზე სერიოზულად დაფიქრდებიან, მზად ვართ ყველა საინტერესო საკითხზე ინფორმაცია მივაწოდოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას."*

რა სტილის და ტიპაჟის უნდა იყოს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი? კობიასვილის პასუხი ასეთია: *" საქართველოს ნაკრებში მწვრთნელები იცვლებიან, გუნდს კი არც ერთის ხელში შედეგი არ აქვს. შეცდომები მწვრთნელებსაც მოსდით, მაგრამ მხოლოდ ამაში არ უნდა იყოს ჩვენი პრობლემა. დროა, სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ყოველივე ამაზე ფეხბურთის ფედერაციამ, ახალმა მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა სერიოზულად უნდა ვილაპარაკოთ."*

**დავით თავართქილაძე**

# სეგრტი ზესტაფონში?

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტარ სეგრტი**, შესაძლოა, "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიხილოთ.

"ზესტაფონის" ნაკრების საბაზო გუნდად ჩამოყალიბების იდეა ჯერ კიდევ **გაიოზ დარსაძის** მწვრთნელობის დროს არსებობდა. როგორც ჩანს, იდეა ჯერ კიდევ ცოცხლობს. ამტკიცებენ, რომ სეგრტის კანდიდატურაზე დაფიქრება იმერული კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიას** მეგობარმა საფეხბურთო მოხელემ შესთავაზა. ვინ, ამაზე დაბეჯითებით არაფერს ამბობენ.

ეს საუბარი თბილისის "დინამოსთან" ნახევარფინალური სათასო მატჩის შემდეგ დაიწყო. როგორც გვიმტკიცებენ, **თემურ მახარაძის** სეგრტით ჩანაცვლება სერიოზულად განიხილება.

თუმცა მეორე ვერსიაც არსებობს – მახარაძეს თავად ილია კოკაია დაელაპარაკა, მან კი საპასუხო წინადადება დაახვედრა, კონსულტანტად ვიმუშავებ, გუნდი კი სეგრტმა აწვრთნასო. ისიც ფაქტია, რომ "ზესტაფონის" პრეზიდენტმა მწვრთნელს შარშან საქართველოში უპრეცედენტო, ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და ასე იოლად ვერ შეელევა.

თავისთავად ხორვატი ბევრისგან გამორჩეული სპეციალისტია, ადგილობრივ მენტალიტეტს ყველა ჩამოსულზე უკეთ ჩასწვდა და გაითავისა, არც ადამიანური ურთიერთობები ეშლება და რაც მთავარია, ახალგაზრდულ ნაკრებს მცირედი პროგრესი მაინც დაატყო.

რა თქმა უნდა, საკლუბო ცვლილებები ჩვენი გადასაწყვეტი არაა. ისიც მართალია, რომ თემურ მახარაძეს, ალბათ, ათკაციან თბილისის „დინამოსთან" ნახევარფინალის პირველი მატჩი უნდა მოეგო და განმეორებითი შეხვედრისთვის საქმე მოეთავებინა. თუმცა იმ დღეს მახარაძემ **უპრინს** რომ აჯობა და "ზესტაფონმა" მეტოქეზე მეტი მომენტი შექმნა, სადავო არაა. მისი კვალიფიკაცია საკამათო არაა და საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მწვრთნელია. და თუ ქართველებს მთავარ მწვრთნელად ნაკრებში არ ამუშავებენ, წესითა და რიგით, თავის გამოჩენის საშუალება კლუბებში მაინც უნდა მიეცეთ.



პეტარ სეგრტი

თუკი ხორვატი სპეციალისტი ზესტაფონში დაინიშნება, იმერული კლუბის მეორე უცხოელი მთავარი მწვრთნელი გახდება – სამი წლის წინათ "ზესტაფონი" მოლდოველ **ანატოლი ზემლიანოის** ჩააბარეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# თავყრილობა ქუთაისური ფეხბურთის ბედ-იღბალზე

"ტორპედო" იმერთა მთავარი ქალაქის სავიზიტო ბარათია. იგი ყველა ქუთაისელისთვის მშობლიური და ძალიან ძვირფასია. ამიტომაც განიცდის ყველა "ტორპედოში" შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობას. სწორედ ამას მიეძღვნა გუშინ საზოგადოების დიდი თავყრილობა, რომელიც ახალაშენებულ სპორტის სასახლეში გაიმართა.

შეკრებას ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები **ნოდარ ახალკაცი** და **გრიგოლ ცაავა** დაესწრნენ. ვეტერან ფეხბურთელები მოითხოვდნენ კატეგორიულად, რომ ბოლოს და ბოლოს, გაირკვეს "ტორპედოს" საკითხი და მას მშველელი და რეალური პატრონი გამოუჩნდეს. ამასვე მოითხოვდნენ სხვებიც. ყველაზე კონკრეტული კი ქალაქის ვიცე-მერი **დავით გორდელაძე** გახლდათ, რომელმაც მოითხოვა კომისიის შექმნა. მას დაევალება კლუბის ამჟამინდელ მეპატრონესთან. კომპანია "სამ ტუზთან" ურთიერთობის გარკვევა. "თუ ეს არ მოხერხდა, გვაქვს ალტერნატიული წინადადება, რომ შეიქმნას ახალი კლუბი, რომელიც დაიწყებს ქვედა ლიგიდან ასპარეზობას, ქალაქის თვითმმართველობა გამოუნახავს მათ გვერდში მდგომ ხალხს და თვითონაც დაფინანსებით დაეხმარება. ერთი სიტყვით, ეს იქნება ახალი გუნდი, რომელსაც პრობლემები და გაურკვევლობა აღარ ექნება",- აღნიშნა მან.

**მერაბ გრძელიძე**
**ქუთაისიდან**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: 0159 თბილისი, **ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XXI ტური. წინათქმა

# დინამოს ამერული და იმერელთა სამცხური ბარიერები

ხვალ, ეროვნულ სტადიონზე სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი დაპირისპირება გაიმართება. ერთპიროვნულ ლიდერ „დინამოს“ თავისი უპირატესობის დამტკიცება ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან, თასის მფლობელ „ამერთან“ მოუწევს. ლიდერის მდევრებს კი არცთუ იოლი გასვლები აქვთ. არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩები ელით უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლთ. მოკლედ, დღევანდელი და ხვალინდელი შეხვედრები ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს.



დინამო-ამერი. ვინ ვის გადაახტება ?

### სპარტაკი–ვიტ ჯორჯია

12 აპრილი. გორი. ქართლი. 16:00
პირველ წრეში: 0:1
სავარაუდო შემადგენლობები

სპარტაკი: ქვილითაია, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, კუპრეიშვილი, გოგოხია, თარხნიშვილი, დარბაიძე, ბახტურიძე, ხიდეშელი, ტყეშელაშვილი, მ. ღონღაძე

დისკვალიფიკაცია: ქემოკლიძე, ძარია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ბერიაშვილი, სახოკია

„ვიტ ჯორჯიას“ ერთი შეხედვით, „დინამოსა“ და „ზესტაფონთან“ შედარებით, არცთუ რთული მატჩი ელის, მაგრამ ვეტერინარებს კარგად ესმით, რომ გორშიც ბოლომდე უნდა დაიხარჯონ. შეგახსენებთ, მიმდინარე ჩემპიონატში **მუმლაძის** გუნდმა ზედიზედ თოთხმეტი მატჩი მოიგო და ამ შესანიშნავი სერიის გაგრძელების კარგი შანსი აქვს. „სპარტაკს“ დასაკარგი არაფერი აქვს, საკადრო პრობლემების მიუხედავად, **ჟორჟიკაშვილის** ფეხბურთელები უბრძოლველად არც „ჯორჯიას“ დაუთმობენ რამეს.

### მერანი–მესხეთი

12 აპრილი. თბილისი. მერანი. 16:00
პირველ წრეში: 1:2
სავარაუდო შემადგენლობები

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, აფშილავა, გიგაური, ქემაშვილი, თავბერიძე, ბესარაშვილი, ბაკურაძე, იაკობ დეისაძე, იაგო დეისაძე, ტიელიძე

მესხეთი: სომხიშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, თ. ღონღაძე, რაქვიაშვილი, ლეკიშვილი, ინასარიძე, მ. თაყაძე, გვირჯიშვილი, კოშკაძე, ი. კიკნაძე

„მესხეთს“ უმაღლეს ლიგაში დარჩენა დაბევვებული აქვს, სამაგიეროდ, „მერანი“ ითამაშებს უდიდესი შემართებით. **ეჯიბიშვილის** გუნდი უძლიერესთა რიგებში ადგილის შესანარჩუნებლად გააფთრებით იბრძვის და გამარჯვება ჰაერივით სჭირდება. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, წყვილის ფავორიტად თბილისელები უნდა მივიჩნიოთ, თუმცა „მერანზე“ ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი.

### ბათუმი–მგლები

12 აპრილი. ბათუმი. ადელი. 16:00
პირველ წრეში: 0:1
სავარაუდო შემადგენლობები

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, კ. მახარაძე, მაკარიანი, კუნჭულია, ცანავა, ქებაძე, ბაბუნაშვილი, გაგა ჩხეტიანი, კაკალაძე, გ. ნოდ. ჭელიძე

მგლები: ქალდანი, ზ. ექონია, მაჭავარიანი, ჟვანია, კაკაბაძე, ხოხონიშვილი, ვართაგავა, დ. ქირია, წურწუმია, ჭკადუა, კრასოვსკი

„ბათუმს“ ჯერ კიდევ აქვს უმაღლესში დარჩენის პერსპექტივა, რომლის შესანარჩუნებლადაც ზუგდიდელთა ძლევა აუცილებელია. ცხრილის ქვედა ნაწილში დიდი დაძაბულობაა და უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარული კლუბი თავისი შანსის გამოყენებას ბოლომდე შეეცდება.

### სიონი–ლოკომოტივი

12 აპრილი. ბოლნისი. თ. სტეფანია. 16:00
პირველ წრეში: 0:1
სავარაუდო შემადგენლობები

სიონი: ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, ბოიომო, გ. ოქროპირიძე, შავგულიძე, ბ. ნოზაძე, სანიკიძე, შავგულიძე, ზ. ჭელიძე, ზ. ავალიანი, ჩასემი

დისკვალიფიკაცია: კობაური, კვიტაიშვილი

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა, ზ. ჩხეტიანი, გილაური, ცქიტიშვილი, დარასელია, ბარბაქაძე, ალექსიძე

დისკვალიფიკაცია: ალავერდაშვილი

„სიონს“ თავი, ფაქტობრივად, ქუდში აქვს, „ლოკომოტივს“ კი ბოლნისში გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროება. ძლიერი ახალწვეულების მიუხედავად, რკინიგზელებს მეორე წრეში ჯერ თამაში არ მოუგიათ და ვნახოთ, როდის გატეხენ ნავსს. წესით, ბოლნისში ტურის ერთ-ერთი სანახაობრივი შეხვედრა უნდა ჩატარდეს.

### დინამო–ამერი

13 აპრილი. თბილისი. ეროვნული. 16:00
პირველ წრეში: 2:0
სავარაუდო შემადგენლობები

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, გ. კაშია, გველესიანი, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, ვანაძე

დისკვალიფიკაცია: კრშკო

ამერი: ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, დიდავა, ელბაქიძე, დოლიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, შალამბერიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე

დისკვალიფიკაცია: ჩიკვილაძე

„დინამოს“ წინ საჩემპიონო გზაზე რთული ბარიერია. „ამერი“ თასზეა აქცენტირებული, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს – ამ გუნდებს შორის ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში უკომპრომისო ბრძოლა იმართება. გასახსენებლად შარშანდელი სათასო მეოთხედფინალები და ამ ჩემპიონატის პირველ წრეში გამართული მატჩიც კმარა. მოკლედ, ყველა საზომით ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური დაპირისპირებაა, რომლის ნახვაც ნამდვილად ღირს. ვინც ეროვნულ სტადიონზე ვერ მივა, თამაშის ხილვა ტელეკომპანია „მზის“ ეთერით შეეძლება.

### ოლიმპი–დილა

13 აპრილი. რუსთავი. ფოლადი. 16:00
პირველ წრეში: 1:1
სავარაუდო შემადგენლობები

ოლიმპი: შეყრილაძე, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, კახელიშვილი, გაბედავა, ხუბუა, ჯოჯუა, გეწაძე, დევდარიანი, ომელიანოვი

დილა: ცერცვაძე, ბალიაშვილი, გვეტაძე, გობეჯიშვილი, აბრამიშვილი, ტლაშაძე, სადალაშვილი, ი. ლომიძე, რატიანი, სულთანიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი

დისკვალიფიკაცია: ხორგუაშვილი (მთ. მწვრთნელი), ხაჭაპურიძე (მწვრთნელი), საყვარელიძე, რეხვიაშვილი, ნ. ნოზაძე, გ. მიქაძე

მატჩი გადამწყვეტი არც მასპინძლებისთვისაა და და არც სტუმრებისთვის. „დილას“ უმაღლესში დარჩენის შანსი აღარ დარჩა, „ოლიმპს“ კი ინტერტოტოზე გასვლაც სათუოდ აქვს. ასე რომ, რუსთავში ტურის ყველაზე ნაკლებპრინციპული თამაშია.

### ბორჯომი–ზესტაფონი

13 აპრილი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
პირველ წრეში: 0:1
სავარაუდო შემადგენლობები

ბორჯომი: სეფიაშვილი, გურული, გივი ჩხეტიანი, ქარქოზაშვილი, თედიაშვილი, ნ. ლომიძე, ნასყიდაშვილი, გოგიჩაიშვილი, კირთაძე, ვ. ბოლქვაძე, ჩირიკაშვილი

დისკვალიფიკაცია: სუხიაშვილი (მწვრთნელი), ჯიუსტი, ქავთარაძე, კაკუბავა

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, საჯაია, შ. ღონღაძე, აკუასაგა, ნ. კვასხვაძე, კესანი, რ. ონიანი, დაუშვილი, ბ. გოცირიძე, ბიტოო

დისკვალიფიკაცია: ვიეირა, ლობჟანიძე, ხიდეშელი

„ზესტაფონს“ ბორჯომში რთული გამოცდა ელის. ორი კვირის წინათ, სამცხეში, „ვიტ ჯორჯიამ“ მოიგო მძიმე მატჩი, ახლა კი ჯერი ფეროელებზეა. თუ „ზესტაფონი“ კვირას წაბორძიკდა, საჩემპიონო რბოლას ალბათ, ჩამოსცილდება კიდეც. **მახარაძის** გუნდი „ბორჯომს“ შეთხელებული შემადგენლობით, სამი ძირითადი ფეხბურთელის გარეშე დაუპირისპირდება, მაგრამ საკადრო პრომლემები მასპინძლებსაც არანაკლებ აწუხებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 20 | 18 | 0 | 2 | 51-11 | 54 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 20 | 17 | 1 | 2 | 40-10 | 52 |
| 3. ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 43-11 | 48 |
| 4. ამერი | 20 | 12 | 2 | 6 | 36-21 | 38 |
| 5. ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 18-15 | 34 |
| 6. ბორჯომი | 20 | 8 | 4 | 8 | 24-24 | 28 |
| 7. მესხეთი | 20 | 8 | 4 | 8 | 19-23 | 28 |
| 8. მგლები | 20 | 8 | 3 | 9 | 21-20 | 27 |
| 9. სიონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-27 | 23 |
| 10. მერანი | 20 | 5 | 1 | 14 | 11-35 | 16 |
| 11. სპარტაკი | 20 | 4 | 4 | 12 | 8-23 | 16 |
| 12. ლოკომოტივი | 20 | 3 | 5 | 12 | 11-27 | 14 |
| 13.ბათუმი | 20 | 3 | 3 | 14 | 10-37 | 12 |
| 14. დილა | 20 | 1 | 5 | 14 | 8-40 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 13 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 10 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 9 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი/ბათუმი) | 8 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 8 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |

მთავარი მატჩი. დინამო-ამერი

# ამერი დაცვაში არ ჩაჯდება

თქმა არ უნდა, ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო“-„ამერია“. დუშან უჰრინის გუნდს მეორე წრეში ჯერაც სათამაშო აქვს პრინციპული მატჩები - „ამერთან“, „ზესტაფონთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ - ეს ის გუნდები არიან, „დინამოსთვის“ ქულების ართმევა რომ შეუძლიათ. „დინამოს“ „ლოკომოტივთანაც“ დარჩა სათამაშო - გიორგი კიკნაძის გუნდი გამოცდილი და სახელიანი ფეხბურთელებით მოლონიერდა, რათა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

მოკლედ, „დინამოს“ დარჩენილი მატჩებიდან ოთხი გამორჩეულად ძნელი თამაში ელის.

რას დაუპირისპირებს „ამერი“ „დინამოს“? ამერელთა დამრიგებელ გიორგი ჩიხრაძეს მეტწილად ამაზე ვესაუბრეთ.

**- ოთხშაბათს თასის ნახევარფინალში „ბორჯომს“ ეთამაშეთ, „დინამომ“ კი ერთი დღით ადრე უმასპინძლა „ზესტაფონს“, ანუ დინამოელებს უფრო მეტი დრო ჰქონდათ ძალების ალსადგენად - ეს მნიშვნელოვან უპირატესობას უქმნის „დინამოს“?**

- რა თქმა უნდა, ამ ფაქტორის გამო „დინამო“ უკეთეს სიტუაციაშია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბორჯომს“ წვიმაში, მძიმე გრუნტზე ვეთამაშეთ, რასაც უფრო მეტი ჯანი მიაქვს.

**- და რა უპირატესობა აქვს „ამერს“ 12 აპრილის მატჩში?**

- ეს ძნელი სათქმელია. გავალთ მოედანზე და შევეცდებით, ჩვენი თამაში ვითამაშოთ, რომელიც შედეგზე იქნება ორიენტირებული. „დინამოს“ ძალიან სჭირდება მოგება, ჩვენ კი ასეთი ფსიქოლოგიური წნეხი არ გვექნება, თუმცა ჩემპიონატის მატჩები ჩვენთვის მეორეხარისხოვანი სულაც არ არის. „დინამოს“ ბრძოლას გავუმართავთ, ეს ჩვენთვისაც ძალიან პრინციპული თამაში იქნება.

**- „ვიტ ჯორჯია“ და „ზესტაფონი“ - ერთმა პირველ წრეში მოუგო „დინამოს“, მეორემ ახლახან გამართულ თასის ნახევარფინალში „დინამოს“ თბილისში ფრე ეთამაშა. „ვიტ ჯორჯიამ“ და „ზესტაფონმაც“ მსგავსი ტაქტიკა დაუპირისპირეს „დინამოს“ - რაც შეიძლება მეტი პასი ფორვარდებისკენ, რომლებმაც მოსვენება არ უნდა მისცენ „დინამოს“ დაცვის ცენტრს. ალბათ, „ამერიც“ გაითვალისწინებს ყოველივე ამას...**

- ეს თამაშები ვნახე, რა თქმა უნდა, ტაქტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, თუმცა ასეთ სტრატეგიას შენს სასიკეთოდ ან გამოიყენებ, ან - ვერა. მთავარია, შეცდომა არ დაუშვა, მაგრამ, მეორე მხრივ, გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ „დინამოს“ თუ შეუტევ, წარმატებასაც მიაღწევ.

**- როგორც უნდა იყოს, გუნდის ფუნდამენტი დაცვაა. მიუხედავად 4:1 გამარჯვებისა, „ბორჯომთან“ სათასო მატჩში გამოჩნდა, რომ „ამერის“ დაცვას არცთუ ცოტა პრობლემა აქვს...**

- „ბორჯომთან“ სამი მცველით ვითამაშეთ, აქცენტი ნახევარდაცვის გაძლიერებაზე გავაკეთეთ, „დინამოსთან“ კი ალბათ ოთხკაციან დაცვას დავუბრუნდებით.

**- „დინამოს“ შეტევათა წარმმართველი მარცხენაფლანგელი გიორგი მერებაშვილია, თუ მას თამაში წაუვიდა, „დინამო“ მეტოქეს უშანსოდ ტოვებს - მერებაშვილის აქტიურობის განეიტრალებას თქვენი მარჯვენაფლანგელის, გრიგოლ დოლიძის შემტევი პოტენციალით აპირებთ?**

- „დინამოსთან“ მატჩისთვის მონახაზი უკვე შემუშავებული მაქვს, თუმცა ჩემი გუნდის შემადგენლობაზე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ჯერ არ ვარ. მერებაშვილის მიმართ ყურადღებით უნდა ვიყოთ. „დინამო“ მთლიანობაში დაბალანსებული გუნდია და საფრთხეს მისი დანარჩენი ფეხბურთელებისგანაც ველით. ახლა მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია - „ამერი“ დაცვაში არ ჩაჯდება.

**- თასი იქნება თუ ჩემპიონატი, „ამერს“ „დინამოსთან“ დადებითი ბალანსი აქვს - რა გასაღებს არგებთ „დინამოს“?**

- აქ განსაკუთრებული არაფერია, უბრალოდ, „დინამო“ მოწინავე გუნდია და დიდი ტრადიციები აქვს, რაც სათანადო მოტივაციას გვძენს. გარდა ამისა, არის კიდევ წვრილ-წვრილი ნიუანსები, რაზეც ვამახვილებთ ყურადღებას.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ჩიხრაძე

ინტერვიუ ილია კოკაიასთან

# ინფრასტრუქტურა და ჩემპიონატის დონე, ესაა ამოსავალი

## ტოპმიოლერი ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ

**გასულ ორშაბათს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის ხელმძღვანელობა ქართული კლუბების თავკაცებსა და ინვესტორებს შეხვდა. საუბრის მიზანი კლუბებისა და ინვესტორებისადმი დახმარება, ქართულ საკლუბო ფეხბურთში ინვესტიციისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა იყო. სწორედ ამ შეხვედრასა და სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ მივმართეთ "ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას.**

- ფედერაციისაა და პროფლიგის ხელმძღვანელობა ქართული კლუბების სპონსორებს შეხვდა. ამ შეხვედრის მიზანი იყო თუ როგორ დავაინტერესოთ ინვესტორები ფეხბურთით.

**- რამდენადაც ვიცი ამ შეხვედრის მიზანი ერთი იყო – ინვესტორების მიერ ქართულ ფეხბურთში ჩადებული ფული მხოლოდ კეთილ ნებად არ უნდა დარჩეს და ეს საქმე ბიზნესად უნდა იქცეს...**

- დიახ, საუბრის ლაიტმოტივი სწორედ ეს გახლდათ. ყველა ინვესტორს გვკითხეს თუ რა პრობლემა აქვს. ყველამ თავ-თავის პრობლემაზე ისაუბრა.

**- მაინც რა პრობლემები ახსენეს?**

- პრობლემა არაერთი ითქვა, მაგრამ ჩემი აზრით, უმთავრესი პრობლემა ბაზაა. ამას გარდა სტადიონების გადაცემა თუ გამოსყიდვა სახელმწიფოსგან და ა.შ.

**- ბაზებისა და სტადიონების საკითხის გარდა სხვა რა პრობლემა ახსენეს?**

- კლუბებმა სხვადასხვა პრობლემა დააყენეს. მაგალითად დაბალპროცენტიანი კრედიტი... უმთავრესად ყველა პრობლემა ინფრასტრუქტრას უკავშირდებოდა. კარგია რომ ასეთი შეხვედრები დაიწყო. მსჯელობა გაგრძელდება და იმედი მაქვს შედეგიც მოჰყვება. ასე უნდა იყოს თორემ ისეთი ვითარებაა, რომ ჩვენ ყველანი, ქართული კლუბების მესვეურები, ინვესტორები საქმეს სახურავიდან ვიწყებთ. ამ დროს კი საძირკველი მყარი არაა და იმიტომაა ქართული კლუბები წელში რომ ვერ გაიმართნენ. საქმის საძირკველი ბაზები და სტადიონები, ინფრასტრუქტურაა.

ჩვენ ბაზისა და სტადიონის საკითხი დავაყენეთ. ჩვენში საფეხბურთო მარკეტინგი ჯერ არაა გამართული და ბუნებრივია უცხოელთა გამოცდილება გვჭირდება. ჩვენთვის ნამდვილად საჭიროა კონსალტინგური ჯგუფები და მათი რეკომენდაციები. თუნდაც იგივე FMMI-ის გამოცდილება.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში შეიძლება შეიქმნას ქართულ ფეხბურთში ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემო?**

- მთავარია, რომ საქმე დაიძრა და ჩვენ ყველანი ერთ აზრზე ვართ, ინფრასტრუქტურას უნდა მივხედოთ და ესაა ბაზისი ქართული ფეხბურთისა. ახლა მთავარია ფედერაციის მიერ მიწოდებული პრობლემებისადმი მთავრობა რამდენად გამოიჩენს დაინტერესებას. იმედი მაქვს მთავრობა მხარში დაგვიდგება.

**- ქართულ ფეხბურთს მთავრობაშიც საკმაო ლობი ჰყავს...**

- დიახ, მთავრობაში უყვართ ფეხბურთი და ჩვენც ამისი იმედი გვაქვს.

**- ფედერაციაში შემდეგი შეხვედრა 14 აპრილსაა დაგეგმილი. რამდენადაც ვიცი კლუბებმა თავიანთი პრობლემები და გეგმა უნდა წარმოადგინონ. ასეა?**

- დიახ, ასეა და ამაზე უკვე ვმუშაობთ.

**- "ზესტაფონი" კიდევ ერთხელ მიიწევს თასის ფინალისკენ. ამჯერად მაინც შეძლებთ თასის მოპოვებას?**

- მოდი ასე ვთქვათ, მოვიპოვეთ თასი ანაც გავხდით ჩემპიონები, მერე? გავალთ ევროტურნირებზე და... ეს არ მინდა რომ მოხდეს. მინდა რომ საქართველოდან ევრიტურნირზე გასულმა ნებისმიერმა გუნდმა წარმატებით იასპარეზოს. შეიძლება წააგოს კიდეც, მაგრამ არა პირველ ეტაპზე და წაგების მიუხედავად გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩეს.

ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ "ზესტაფონი" თასისა და ჩემპიონობისთვის არ იბრძოლებს. ჩვენ ორივე ტიტულისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. გუნდს ეს ამოცანა დავუსახეთ, არ მომიხსნია და ეს უნდა შეასრულოს. თუმცა, ეს ჩემთვის საკმარისი არაა. ფედერაციაში გამართულ შეხვედრაზე მკაფიოდ და ხაზგასმით ითქვა, ქართული საკლუბო ფეხბურთის დონე უნდა ამაღლდეს.

"ზესტაფონი" თუ არა რომელიმე კლუბი მაინც უნდა მოხვდეს ლიგის ან უეფას ჯგუფურ ეტაპზე. ვინც იქნება, ის მაინც მეცოდინება რომ ჯგუფურ ეტაპზე გასულ გუნდს ვეთამაშები. ეს კი ნებისმიერისტვის პრესტიჟი და დამატებითი მოტივაციაა.

**- "ზესტაფონის" ბაზის მშენებლობის საკითხი რა სტადიაშია?**

- ამჟამად მიწის შეძენის საკითხზე ვმუშაობთ და ალბათ, ძალიან მალე დავიწყებთ პროექტრებას და მერე მშენებლობას. საკითხის გადაწყვეტა ყველაზე მეტად მე მეჩქარება. რასაც დღეს კლუბისთვის ვხარჯავ, ამ თანხას იმდენი მოგება ჯერ არ აქვს. აი, ბაზა რომ გვექნება, მერე უფრო მეტი ფასი და მოგება ექნება კლუბისადმი გაწეულ ინვესტირებას.

**- ქართულ ფეხბურთში თქვენ სიტყვას ფასი აქვს და მინდა სანაკრებო თემასაც შევეხოთ. ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტი კვლავ ვაკანტურია. თქვენი აზრით ვინ უნდა გახდეს ნაკრების თავკაცი?**

- კლაუს ტოპმიოლერის კვალიფიკაციაში არავის ეჭვი არ გვეპარება. უმაღლესი დონის სპეციალისტი გვყავდა ნაკრებში და წარმატებით ვერ იმუშავა. შესაძლოა ის მომენტიცაა, რომ ვერ გამოვიყენეთ. შესაძლოა ჩვენი ნაკრები ჯერ არც კი იყო მზად ამ დონის სპეციალისტისათვის. დავითვალოთ რამდენი მწვრთნელი შეიწირა ნაკრების თავკაცის პოსტმა? ეროვნულის მწვრთნელის პოსტი ელექტროსკამივითაა. დღემდე არაერთი მწვრთნელი შეიწირა და ახლა მომდევნოს ელის.

თუნდაც ჩემი გუნდი ავილოთ, "ზესტაფონი" კაპელოს რომ ჩავაბარო, რას შემპირდება, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანს? არა, პირიქით გადაირევა, ეს სად მოვხვდიო. ალბათ საჭიროა ჯერ ნაკრები და მთლიანად ქართული ფეხბურთი ავიყვანოთ გარკვეულ დონემდე. ამიტომაც ჯერ ქართველ მწვრთნელს ვაძლევ შანსს. მინდა ის გუნდთან ერთად გაიზარდოს, გარკვეულ სიმაღლეზე ავიდეს.

**- ან ნაკრებში ქართველ მწვრთნელს უფრო ენდობით? კონკრეტულად ვინმეს ხომ არ დაასახელებდით?**

- კი, ასე ვფიქრობ. არაერთი წარმატებული ქართველი მწვრთნელი გვყავს, გეგუჩაძე, ჩიხრაძე, კიკნაძე-ზამთარაძის დუეტი კარგად მუშაობს, თუნდაც მახარაძე... ჩემი აზრით კლაუს ტოპმიოლერი ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ, თორემ მეტი სარგებლის მიღება შეიძლებოდა. შესაძლოა ზოგს ჰგონია, რომ ქართული მენტალიტეტი და მასთად ადაპტაცია იოლია. არაა იოლი, რთულია და მით უმეტეს გერმანელისთვის. ჩვენთან ყველა ევროპელ მწვრთნელს გაუჭირდა მუშაობა, ბოსკამპმა მენტალიტეტი დაგვიწუნა, შუშაკსაც გაუჭირდა, აგერ უჰრინსაც უჭირს, პისკოვეცსაც გაუჭირდა...

**დავით ცაბაძე**

# დავიბრუნოთ ქართული ფეხბურთი



გოჩა ჯამარაული, ზურაბ პეტრიაშვილი, ლევან ყიფიანი, მიხეილ ყაველაშვილი

1990 წლის 15 თებერვალს, ჭადრაკის სასახლეში შეკრებილმა საზოგადოებამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო: გამოცხადდა ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობა! და აი, 18 წლის მერე თბილისის ჭადრაკის სასახლემ არანაკლები მნიშვნელობის საფეხბურთო ფორუმს უნდა უმასპინძლოს - 21 აპრილს, 12 საათზე ქართული ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს საშუალება ექნება თავისი აზრი დააფიქსიროს სპორტის ამ სახეობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

ნიშანდობლივია, რომ ამ ფორუმზე გაჟღერდება კიდეც მთავარი მოთხოვნა - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა.

და კიდევ ერთი მთავარი მომენტიც - გუშინდელი დღიდან დაიწყო ქართულ ფეხბურთში განსხვავებული აზრის მქონე ძალთა კონსოლიდაცია. ამიერიდან, "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა", კავშირი "ჩვენი ფეხბურთი" და საზოგადოება "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს" ერთიანდებიან როგორც ტავად ამბობენ ქართული ფეხბურთის გადასარჩენად. სწორედ ამ თემას და 21 აპრილს დანიშნულ დიდ საფეხბურთო ფორუმს ემსახურებოდა კიდეც გუშინდელი პრესკონფერენცია, სადაც ჟურნალისტებს ზემოთხსენებული გაერთიანებების ხელმძღვანელებმა უმასპინძლეს. თითქმის ყველა გამომსვლელი ცალსახად აფიქსირებდა უმთავრეს მოთხოვნას: დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები!

**ლევან ყიფიანი** ("ჩვენი ფეხბურთი"): "უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენი კავშირი გაერთიანდა ყველა იმ ძალასთან, ვინც ოპოზიციურად არის განწყობილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ. ჩვენი მოთხოვნა უცვლელი რჩება - ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები და გადადგეს ალმასკომი".

**ზურაბ პეტრიაშვილი** ("ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა"): "სფფ-ის ხელმძღვანელობა ყველა განსხვავებულ აზრს იგნორირებას უკეთებს. ახლა, კლაუს ტოპმიოლერის გაშვებით, ჰგონიათ, რომ საქმე გამოსწორდება. არადა, გაიხედეთ, რა ხდება ბავშვთა ფეხბურთში! ანდა, რეგიონებში რა მდგომარეობაა? ქუთაისში, ფოთში, ლანჩხუთში, კახეთში გუნდები აღარ არის. ჩვენი ჩემპიონატის დონე ხომ, საერთო, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ამიტომაც გარბიან ქართველი ფეხბურთელები სომხეთში, აზერბაიჯანსა თუ ყაზახეთში..."

**მიხეილ ყაველაშვილი** ("ჩვენი ფეხბურთი"): "გულშემატკივრებს ვთხოვთ, რომ აქტიურობა გამოიჩინონ. თანაც, მთავარია, რომ სამართლიანობა დამკვიდრდეს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ ჩატარდეს სამართლიანი რიგგარეშე არჩევნები, სადაც გამოჩნდება ვინ იქნება უკეთესი ძალა..."

**მამუკა კვარაცხელია** ("გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს"): "მისასალმებელია, რომ სამი ძალა გავერთიანდით. აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენთან ერთად არის ფეხბურთში ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი, რომელიც თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე აპირებს კანდიდატურის წამოყენებას".

**გოჩა ჯამარაული** ("ჩვენი ფეხბურთი"): "ამას წინათ პრაიმ-ტაიმში" საზოგადოებამ თავისი პოზიცია ცალსახად დააფიქსირა - 5-მა პროცენტმა რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას დაუჭირა მხარი. ალბათ, დროა ღვაწლმოსილმა ვეტერანებმაც სათქმელი ხმამაღლა თქვან: რა მოსწონთ და რა - არა".

**დავით უგრელიძე** ("ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა") : "რატომღაც ყველას გვავიწყდება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი - რამდენად ლეგიტიმურია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა. ყველამ ვიცით, რომ ფედერაციის პრეზიდენტი არჩეული კი არა, დანიშნულია..."

**ლევან ყიფიანი**: "ჩვენი გაერთიანება პოლიტიკისგან დამოუკიდებელი იქნება. ანუ, არანაირი პოლიტიკური ძალა ჩვენს უკან არ დგას და არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრებიც არავინ არა ვართ.

დასასრულ, იმასაც ვიტყვით, რომ ამ სამი ორგანიზაციის კანდიდატი რიგგარეშე არჩევნებზე მიხეილ ყაველაშვილი იქნება".

**გია ტუხაშვილი**

## მიმართვა

### ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს

ჩვენ, "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა", კავშირი "ჩვენი ფეხბურთი" და საზოგადოება "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" ვერთიანდებით ქართული ფეხბურთის გადასარჩენად. კატასტროფამდეა მიყვანილი მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ფეხბურთი, შელახულია მისი იმიჯი, როგორც ქვეყნის შიგნით აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულმა ტენდენციამ საშიშროების წინაშე დააყენა ჩვენში ფეხბურთის არამარტო განვითარება არამედ მისი არსებობაც.

ფეხბურთს მართავენ არაპროფესიონალები, ამის თვალსაჩინო მაგალითია ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელების გაუთავებელი როტაცია. დღეს ატეხილი ხელოვნური აჟიოტაჟით, ფედერაციას შეგნებულად გადააქვს აქცენტი ახალი მწვრთნელის მოძიებაზე, რითაც მალავს ქართულ ფეხბურთში არსებულ რეალურ პრობლემებს: რეგიონებში ჩამკვდარ ფეხბურთს, კატასროფულ მდგომარეობას ბავშვთა ფეხბურთში, უსახურ ეროვნულ ჩემპიონატს, გაუმართავ ინფრასტრუქტურას...

ჩვენ მოვითხოვთ სფფ-ს პრეზიდენტის და ალმასკომის დაუყოვნებლივ გადადგომას, საარჩევნო სისტემის სრულყოფას და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი პოლიტიკისგან. მხოლოდ საფეხბურთო სამყაროს რჩეულს შეუძლია ჯანსაღი ძალების სრული კონსოლიდაცია, რაც არსებული კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა.

ამ მიზნით, 21 აპრილს, 12 საათზე, ჭადრაკის სასახლეში, დიდ საფეხბურთო ფორუმზე, რომლის დევიზია "დავიბრუნოთ ქართული ფეხბურთი!" ვიწვევთ ფეხბურთის გულშემატკივარს, რომელთათვისაც ძვირფასია ქართული ფეხბურთი და სულ ერთი არაა მისი მომავალი...

*ქომაგთა ლიგა: ვ. გუცაევი, ზ. პეტრიაშვილი, გ. გილიგაშვილი, მ. თევზაძე, დ. უგრელიძე*
*ჩვენი ფეხბურთი: მ. ყაველაშვილი, ლ. ყიფიანი, გ. ჯამარაული, ვ. მაისურაძე, ნ. ლობჟანიძე, ი. ზოიძე, მ. მაჭავარიანი, გ. დოლიძე, ზ. მაისურაძე*
*გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს: მ. კვარაცხელია, გ. კეტაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია

# ვილიას აბრამოვიჩი ეძახის




დაახლოებით ერთი თვის წინ **დავიდ ვილიამ** საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, საკუთარ მომავალზე უნდა ვიფიქროო. ესპანელმა ფორვარდმა "ვალენსიას" გულითადი სიყვარული კიდევ ერთხელ დაუდასტურა, თუმცა იქვე აღნიშნა, კარიერას ვერ გავიფუჭებ და სხვა გუნდში გადაბარგებაზე უნდა ვიზრუნოო. გუშინ ვილიას ძალიან სასიამოვნო ინფორმაცია მიანვდიდნენ. საქმე ის არის, რომ მასთან თანამშრომლობის სურვილი "ჩელსის" გაუჩნდა. ესპანური პრესის მტკიცებით, **რომან აბრამოვიჩის** ემისარი ვალენსიაში იმყოფებოდა და მოლაპარაკებების წამოწყება სცადა. "არისტოკრატები" დავიდს **ანდრეი შევჩენკოს** შემცვლელად მოიაზრებენ. მოგეხსენებათ, უკრაინელი ფორვარდის "მილანში" შესძალო დაბრუნების შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. გამორიცხული არ არის, "სტემფორდ ბრიჯი" **დიდიე დროგბამაც** დატოვოს. მსოფლიო დონის ორი ფორვარდის წასვლის შემდეგ "ჩელსის" ვილია აშკარად გამოადგება. "ვალენსიის" პრესსამსახურის ცნობით, ინგლისელები 27 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამენ. "ღამურებს" დავიდის ამ თანხად გასხვისება ენანებათ. ისინი 36 მილიონს მოითხოვენ. ესპანურმა მხარემ კარგად იცის, რომ აბრამოვიჩს ფული არ აკლია. სავარაუდოა, რომ "ჩელსისა" და "ვალენსიის" მესვეურებს შორის სერიოზული ვაჭრობა გაჩაღდება.

ამასობაში, დავიდ ვილიამ სანაკრებო ამბებთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მოგეხსენებათ, **ლუის არაგონესი რაულის** გამოძახებას ჯიუტად არ ჩქარობს. სასწაული უნდა მოხდეს, "რეალის" კაპიტანი ეროვნულ გუნდში რომ ვიხილოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "სელექსიონის" 7-ნომრიანი მაისურა ვაკანტური იქნება. სავარაუდოა, რომ ეს ნომერი სწორედ ვილიას დარჩება. ერთი შეხედვით, სკანდალური და უჩვეულო აქ არაფერია, მაგრამ რაულს იმხელა ავტორიტეტი აქვს, ესპანეთის საფეხბურთო საზოგადოებაში ერთი ამბავი ატყდა, ვილიამ გონსალეს ბლანკოს მაისურა წაართვაო. მითქმა-მოთქმამ მართლაც იმდენად დიდი მასშტაბი შეიძინა, რომ დავიდმა საგანგებო პრესკონფერენცია, ფაქტობრივად, მხოლოდ ამ საკითხის გასარკვევად გამართა: *"ჩემთვის არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაისურზე რა ნომერი მეწერება. თუ ხელმძღვანელობა შემომთავაზებს, უარს არ ვიტყვი, მაგრამ ამის გამო რაულის მტრობას ნურავინ დამწამებს. უზომოდ ბედნიერი ვიქნები, თუ გონსალეს ბლანკო "სელექსიონში" დაბრუნდება, სამწუხაროდ, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ყველაფერი ლუის არაგონესზეა დამოკიდებული. ძალიან გთხოვთ, ინფანტილურ საკითხს არნახულ მასშტაბს ნუ შესძენთ და სკანდალს ნუ ააგორებთ. მე და რაული ურთიერთობას უპრობლემოდ გავარკვევთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მაისურის ნომერს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას მიაღწიოს".*

## სახიფათო მსგავსებები 1986 წელთან

გასულ ტურში "მურსიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ "ვალენსიას" პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე დაემუქრა. მართალია, "ღამურები" მე-18 ადგილზე მყოფ "სარაგოსას" 6 ქულით უსწრებენ, მაგრამ ბოლოდროინდელ კატასტროფულ დინამიკას თუ გავითვალისწინებთ, წარმოუდგენელი სულაც არ იქნება, თუ **რონალდ კუმანის** შეგირდები გასავარდნ ზონაში ამოყოფენ თავს. "ვალენსია" პრიმერა დივიზიონს ბოლოს 1986 წელს დაემშვიდობა. სტატისტიკურ მონაცემებს თვალს თუ გადავავლებთ, ძალიან ბევრ მსგავსებას დავინახავთ. მაშინ პრიმერა დივიზიონში 18 გუნდი ასპარეზობდა და სეზონის დასრულებამდე 7 ტურით ადრე "ღამურებს" მონაგარში 14 წაგება ჰქონდათ. ალბათ, საგულისხმოა, რომ ახლაც ანალოგიური სიტუაციაა. სეზონის დასრულებამდე 7 ტურით ადრე კუმანის ბიჭებს მაშინდელივით 14 თამაში აქვთ წაგებული. ისევ 1986 წელს დავუბრუნდეთ და გავიხსენოთ, რომ ბოლო ტურებში ვალენსიელებმა სამარცხვინო შედეგები აჩვენეს. მაგალითად, "რეალთან" და "სოსიედადთან" მათ ზედიზედ წააგეს, სამეფო კლუბთან 0:5 დათმეს, სანსებასტიანელებისგან კი 6 უპასუხო ბურთი მიიღეს. ამას "ბარსელონასთან" განცდილი კრახი მოჰყვა (0:3)...

შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ 22 წლის წინ "ვალენსიას" სუსტი შემადგენლობა ჰყავდა და უძლიერესთა ლიგას ამიტომაც გამოეთხოვა. ნურას უკაცრავად, გუნდის ღირსებას მაშინ ისეთი მაღალი დონის მოთამაშეები იცავდნენ, როგორებიც **არიასი, კასტელიანოსი, ფერნანდო, ურუტი, სუბირატსი, ბარმელი, აროიო, კიკე სანჩეს ფლორესი** და სხვები არიან. კვალიფიციური ფეხბურთელების ნაკლებობა ახლაც არ შეიმჩნევა. კიდევ ერთი მსგავსება მწვრთნელების შეცვლა გახლავთ. 1985-86 წლების სეზონი **ოსკარ რუბენ ვალდესმა** დაიწყო, მაგრამ 22-ე ტურში მის ნაცვლად ლეგენდარული **ალფრედო დი სტეფანო** დანიშნეს. ამ სეზონში კი კიკე სანჩეს ფლორესი რონალდ კუმანმა შეცვალა. სხვათა შორის, დი სტეფანო ჰოლანდიელი სპეციალისტის მსგავსად, წამყვან ფეხბურთელებს აუხირდა და მათ გუნდიდან გაშვებით დაემუქრა. გულშემატკივრებს **ალბელდასა და კანისარესის** ისტორიის შეხსენება არ სჭირდებათ. პარადოქსულია, მაგრამ მაშინდელ და დღევანდელ გუნდებს შორის კიდევ რამდენიმე მსგავსების დასახელება შეგვიძლია. მაგალითად, პრეზიდენტი **პედრო პორტესი** იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა და პოსტი **ვისენტე ტორმოსთვის** დაეთმო. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც კატასტროფული შედეგების გამო **ხუან ბაუტისტა სოლერმა** პრეზიდენტის სავარძელი მიატოვა და გუნდი აგუსტინ მორერას ჩააბარა. მაშინაც და ახლაც სატრანსფერო პოლიტიკის წარმოებისას სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული. 1986 წელს "ვალენსიას" **სანჩეს ტორესი** არ გამოადგა, წელს კი **ჟიგიჩის** უვარგისობაზე საუბრობენ. დაგვეთანხმებით, დასკვნების გამოსატანად საკმარისზე მეტი პარალელი გავავლეთ. გულშემატკივრებს შეშფოთების საფუძველი აშკარად აქვთ, მაგრამ აუცილებელი არ არის 22 წლის წინანდელი წარუმატებლობა ახლაც განმეორდეს. ურთულესი ვითარების მიუხედავად, "ვალენსია" 6-ქულიან უპირატესობას ფლობს. თუ გუნდი ძალას მოიკრებს და დარჩენილი 7 ტურიდან ორს მაინც მოიგებს, პრიმერა დივიზიონში დარჩენის მშვენიერ შანსს შეიძენს. რონალდ კუმანს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ბიჭები ამ ამოცანას გადაჭრიან. ჰოლანდიელი სპეციალისტი ახლა 16 აპრილის მატჩზე უფრო ფიქრობს. მას დიდი იმედი აქვს, რომ „ვალენსია" ესპანეთის სამეფო თასის ფინალში „ხეტაფეს" დაამარცხებს.


რონალდ კუმანი

ატლეტიკო

# ხავიერ აგირე: ისევ მექსიკა?

მადრიდის "ატლეტიკო" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის გამალებით იბრძვის. დედაქალაქური კლუბი ყოველ თამაშში ბოლომდე იხარჯება. სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ "როხიბლანკო" არასტაბილურად ასპარეზობს, თუმცა ისეთებიც არიან, რომლებიც **ხავიერ აგირეს** გუნდის გამოსვლას წარმატებულად მიიჩნევენ. ასეა თუ ისე, სეზონის დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე, "ატლეტიკოს" ბედი დიდწილად სწორედ მექსიკელ სპეციალისტზეა დამოკიდებული. წესით, ახლა ის მხოლოდ საკუთარ კლუბზე უნდა ფიქრობდეს, მაგრამ გუშინ სენიორ აგირეს სამშობლოდან ისეთი წინადადება შესთავაზეს, მხოლოდ "ატლეტიკოს" ბედ-იღბალზე ფიქრი ძალიან გაუჭირდება. საქმე ის არის, რომ მექსიკის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა "როხიბლანკოს" დამრიგებელს ქვეყნის ეროვნული გუნდის გაძღოლას სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ სენიორ ხავიერს მექსიკის ჩემპიონატის ხუთი გუნდიც ეპატიჟება. საუბარია "ატლანტეზე", "ატლასზე", "ჩიპასზე", "ჩივასსა" და "პუმასზე". მექსიკის საფეხბურთო ასოციაციის მესვეურები ითვალისწინებენ, რომ აგირეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა აქვს გადასაჭრელი და მას პასუხის გაცემას არ აჩქარებენ. "ატლეტიკოს" დამრიგებელს მოსაფიქრებლად საკმარისი დრო ექნება. სხვათა შორის, ბევრს საუბრობენ, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, **ენრიკე სერესო** ხავიერ აგირეს თანამდებობიდან გაათავისუფლებს. თუ მოვლენები სწორედ ამგვარი სცენარით განვითარდება, ეს სპეციალისტი უმუშევარი ნამდვილად არ დარჩება.


ხავიერ აგირე

გუშინ "დიარიო ასის" კორესპონდენტი **ხესუს სანჩო** "როხიბლანკოს" თავკაცს დაუკავშირდა და მექსიკელთა შეთავაზებაზე განცხადების გაკეთება სთხოვა. აი, რა უპასუხა სენიორ აგირემ: *"მე მექსიკელი ვარ და ჩემი ქვეყანა უზომოდ მიყვარს. არ არსებობს სპეციალისტი, რომელიც ეროვნული გუნდის გაძღოლაზე არ ოცნებობს. ვამაყობ, რომ საფეხბურთო ასოციაციის მესვეურებს ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდათ. სპეციფიკური სიტუაცია რომ არ იყოს შექმნილი, არც დავფიქრდებოდი, მაგრამ ახლა "ატლეტიკოსთან" ერთად სერიოზული ამოცანა მაქვს გადასაწყვეტი. ჩვენ ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოვიპოვოთ. ამ მიზანს ნებისმიერ ფასად უნდა მივაღწიოთ. ასეც რომ არ იყოს, გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს. მოკლედ, დღეს პასუხის გაცემა ძალიან გამიჭირდება. სჯობს, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ".*

ხავიერ აგირე ერთადერთი არ არის, ვისაც "ვისენტე კალდერონის" დატოვებას სთავაზობენ. ადრეც გაუწყეთ, რომ "იუვენტუსს" **მაქსი როდრიგესთან** თანამშრომლობის უდიდესი სურვილი ამოძრავებს. გუშინ ტურინული კლუბის მესვეურები სენიორ სერესოს დაუკავშირდნენ და კონკრეტული წინადადებით მიმართეს. "ბებერი ქალბატონი" მზადაა არგენტინელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 18 მილიონი გადაიხადოს. მადრიდელები ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. კულუარული ინფორმაციით, სენიორ სერესო იტალიელთა წინადადებით სერიოზულად დაინტერესდა, მაგრამ ამბობენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დირექტორატში ერთიანი აზრი არ არსებობს. "ატლეტიკოს" დირექტორთა ერთი ნაწილი მაქსის საკვანძო ფეხბურთელად მიიჩნევს და მის გაყიდვას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ამასობაში, სერესო შემადგენლობის გასაძლიერებლად კვლავ ინტენსიურად მუშაობს. მოგეხსენებათ, მადრიდელები ერთბაშად რამდენიმე სატრანსფერო მოლაპარაკებას აწარმოებენ. ახლა კი, ცნობილი ხდება, რომ დედაქალაქელებს "რეკრეატივოდან" **სინამა პონგოლეს** გადაბირების სურვილიც გაუჩნდათ. სენიორ სერესო აცხადებს, დროის დაკარგვა და ერთმანეთისთვის კბილის მოსინჯვა საჭირო არ არისო. მან უელველებს 10 მილიონი შესთავაზა და გარკვევით უთხრა, ამაზე მეტს მაინც არავინ გადაგიხდით და სინამა ჩვენთან გამოუშვითო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაგოსა

# კატასტროფის წინაშე

## მხოლოდ სახელითა და ფულით წარმატებას ვერ მიაღწევ. ანუ, რა მოაქვს თავმოუზმელობას

წარმოუდგენელია, მაგრამ "სარაგოსა" პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია. წინა ტურში განცდილი მარცხის გამო არაგონელები მე-18 ადგილზე აღმოჩნდნენ. დარჩენილ 7 ტურში ისინი სიტუაციას რადიკალურად თუ ვერ გამოასწორებენ, ეშმაკიც ვერ უშველით. მართლაც, წარმოუდგენელია, რომ ფანტასტიკური შემადგენლობის მქონე გუნდი ასეთი ამოცანის გადაჭრისთვის იბრძვის. სეზონის დასაწყისში ყველა ფიქრობდა, რომ "სარაგოსა" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელი იქნებოდა. გუნდს არც კვალიფიციური ფეხბურთელები აკლია და არც ფული. ბევრისთვის გაუგებარია, ამ პირობებში არაგონელები ამდენ ქულას როგორ კარგავენ. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "დიარიო ასის" კორესპონდენტი **უგო სერესო** "სარაგოსის" კაპიტანს, **საპატერს** შეხვდა და პირდაპირ ჰკითხა, თქვენ გუნდს რა უბედურება სჭირსო? ჩვენმა კოლეგამ საკმაოდ საინტერესო პასუხი მიიღო: *"ფეხბურთში წარმატებას მხოლოდ სახელებითა და ფულით რომ აღწევდნენ, გამარჯვების შანსი "რეალის", "ბარსელონისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა არავის ექნებოდა. ფინანსური პრობლემები ნამდვილად არ გვაწუხებს. შემადგენლობის თვალსაზრისითაც ერთ-ერთი გამორჩეულები ვართ, მაგრამ საქმეზე ეს არ აისახება. ქუჩაში სიარულის მრცხვენია. გულშემატკივრები მაჩერებენ და მეკითხებიან, პრობლემებს რატომ ვერ აგვარებო. როგორც ჩანს, "სარაგოსა" არაეფექტური მმართველობის გამო ზარალდება. ჩვენ შემადგენლობას თვალს თუ გადაავლებთ, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ აბსოლუტურად სხვა მიზნებისთვის უნდა ვიბრძოდეთ. მაშ, რაშია საქმე?! ალბათ, ხელმძღვანელობამ მწვრთნელების არჩევისას შეცდომა დაუშვა. შესაძლოა, მთავარი შეცდომა სულაც ვიქტორ ფერნანდესის თანამდებობიდან გადაყენება იყო. ფაქტია, იმ კაცის წასვლის შემდეგ გუნდის საქმე უკან მიდის. კატასტროფამდე არაფერი გვიკლია. უბედურება ის არის, რომ თითოეული მატჩის წაგების შემდეგ, ფსიქოლოგიური წნეხი იზრდება. შეუძლებელია, არ ფიქრობდე, კიდევ ერთხელ თუ წავიფორხილებ, სიტუაცია გამოუსწორებელი გახდებაო. მერწმუნეთ, ამაზე ფიქრი შესაძლებლობების ბოლომდე გამომჟღავნებაში ხელს გვიშლის. მიუხედავად ყველაფრისა, ოპტიმიზმი არ უნდა დავკარგოთ. ვალდებულები ვართ, ბოლო 7 ორთაბრძოლა არნახული ენთუზიაზმით ჩავატაროთ. "სარაგოსის" პრიმერა დივიზიონიდან გავარდნა დაუშვებელია. მოდით, ერთად ვილოცოთ და უკეთესი მომავლის იმედი ვიქონიოთ".*

საპატერი უდავოდ მართალია. არაგონელების ყველა წარუმატებლობა ხელმძღვანელობის თავმოუზმელობით უნდა აიხსნას. გაუგებარია, **დიეგო მილიტოს, რობერტო ფაბიან აიალას, პაბლო აიმარის, რიკარდო ოლივეირასა** და იმავე საპატერის გუნდი ასეთ დღეში როგორ აღმოჩნდა. ალბათ, დროა ფეხბურთელებმა პასუხისმგებლობა იტვირთონ და შეუძლებელი შეძლონ. თავგანწირვის ფასად "სარაგოსას" პრიმერა დივიზიონში დარჩენა არ გაუჭირდება. თუ არაგონელები უძლიერესთა შორის ადგილს შეინარჩუნებენ, სავარაუდოა, რომ მომავალ სეზონში ანალოგიურ შეცდომებს აღარ დაუშვებენ და გუნდი ამბიციური მიზნებისთვის იბრძოლებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



სარაგოსას კაპიტანი ალბერტო საპატერი

იტალია. სერია A. XXXIII ტურის წინ

# დიდი ჯახი ტურინში

## დღეს იუვე-მილანია. არც კალაძე, არც ნესტა. სამი დიდი ბრძოლა შესანიშნავ შვიდეულში



პირველი წრის მატჩი. მილანი-იუვე 0:0. გატუზო ძანეტის წინააღმდეგ

**დღეს**

**პალერმო-კატანია**
**იუვენტუსი-მილანი**

**ხვალ**

**უდინეზე-რომა**
**რეჯინა-სამპდორია**
**ნაპოლი-ატალანტა**
**ჯენოა-ტორინო**
**ლაციო-სიენა**
**ლივორნო-კალიარი**
**ემპოლი-პარმა**
**ინტერი-ფიორენტინა**

იტალიაში მეტად საინტერესო ტურია. ერთმანეთს პირველი შვიდეულის გუნდები უპირისპირდებიან. უიქენდი კი დღეს, ტურინში, ძველი და პრინციპული მეტოქეების ჯახით იწყება: "იუვენტუსი" "მილანს" მასპინძლობს. 2006 წლამდე სერია A-ს ბოლო ორი დეკადა სწორედ მათი დომინაციის ნიშნით ჩატარდა: 16 სკუდეტოდან 13 მათი ნადავლი გახდა. დღეს ვითარება განსხვავებულია. ორივე გუნდს პრობლემები აქვს. "მილანი" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, ხოლო სამომავლოდ, ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირზე მოხვედრის შანსი არცთუ შთამბეჭდავი აქვს. "იუვე", ჯერჯერობით, ინარჩუნებს ადგილს სამეულში, თუმც არც ეს პოზიციაა მაინც და მაინც მყარი. შესაბამისად, დღევანდელ შეხვედრას მოტივაცია არ აკლია.

ტურინში ისინი 73-ედ ხვდებიან ერთმანეთს. საგულისხმოა, რომ "ქალბატონს" ბოლო 5 დაპირისპირება არ მოუგია. "იუვეს" უკანასკნელი გამარჯვება (2:1) 2002 წლის ნოემბრით თარიღდება. საინტერესო დამთხვევა: მაშინ, "სინიორას" ის **კარლო ანჩელოტი** წვრთნიდა, რომელიც დღეს "მილანის" თავკაცია.

"იუვენტუსმა" წინა ტურის შეხვედრა პალერმოში 3:2 წააგო, "როსონერიმ" კი იოლად მოუგო (3:1) "კალიარის", რასაც ანჩელოტიმ რენესანსი (ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?) უწოდა. ისე, თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე "მილანს" ზედიზედ 2 საშინაო მატჩი ჰქონდა წაგებული, კარლეტოს სიხარული სრულიად ბუნებრივია.

გადავიდეთ საკადრო სიტუაციაზე. "მილანს" დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს. თავად განსაჯეთ: **ოდო** და **იანკულოვსკი** ტრავმირებულები არიან, **კახა კალაძესა** და **ნესტას** კი დისკვალიფიკაცია აქვთ. ანჩელოტისთვის მცირე შვებაა **ფავალის** გამოჯანმრთელება. ის მარცხენა ფლანგს ჩაიბარებს. დაცვის ცენტრში კი **ბონერა** და **მალდინი** იქნებიან, ხოლო მარჯნივ **კაფუ**. ჯერაც ტრავმა აქვს **პატოს**, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში კვლავ **ინძაგი** იქნება, ოდნავ უკან **კაკა** და **ზეედორფი** განლაგდებიან.

"იუვენტუსისთვის" მთავარი დანაკლისი იქნება **ნედვედი**, რომელმაც წინა ტურში, პალერმოელ **გუანასთან** შეჯახებისას, ტრავმა მიიღო და ერთი ღამე ჰოსპიტალშიც გაატარა. მართალია, ჩეხი ვეტერანი თავს უკეთ გრძნობს და ვარჯიშობს კიდეც, მაგრამ ექიმთა რეკომენდაციით, **კლაუდიო რანიერი** მას ძირითადში არ დააყენებს. ნედვედის ადგილს, ალბათ, **ნოჩერინო** დაიკავებს. ჯერჯერობით, ტრავმის გამო ვერც **კრისტიანო ძანეტი** ითამაშებს, ისევე, როგორც ცენტრალური მცველი **ანდრადე**.

სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი:** ბუფონი, ზებინა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, სალიჰამიჯიჩი, კამორანეზი, სისოკო, ნოჩერინო, ტრეზეგე, დელ პიერო.

**მილანი:** კალაჩი, კაფუ, მალდინი, ბონერა, ფავალი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ინძაგი.

კვირას (22:30) "ინტერი" "ფიორენტინას" უმასპინძლებს. ლიდერის შანსი, შეიძლება, გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ ხუთშაბათს, ფლორენციელებმა მთელი ენერგია "ეინდჰოვენთან" საუეფასთასო მატჩს შეალიეს და დაუფასდათ კიდეც: **ჩეზარე პრანდელის** გუნდი ნახევარფინალში გავიდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს შეიძლება დამატებით მოტივაციად იქცეს და ჩემპიონს პრობლემებიც შეექმნას. არადა, "ინტერისთვის" ახლა ყურადღების მოდუნება დაუშვებელია. მას კუდში მისდევს "რომა", რომელიც ლიგიდან გავარდნის შემდეგ მთელ ძალებს შინაურ ფრონტზე გადაისვრის.

**რობერტო მანჩინის** ყველა რგოლში უჭირს. ტრავმების გამო თავდასხმაში ვერ ითამაშებენ **იბრაჰიმოვიჩი** და **სუასო**, დაცვას **კორდობა** და **რივასი** გამოაკლდებიან, შუა ხაზს კი **დაკური**, ხოლო **სტანკოვიჩის** თამაში საეჭვოა. აქედან გამომდინარე, წინა ხაზზე **ბალოტელისა** და **კრუსის** ტანდემს ვიხილავთ. შესაძლოა, მანჩინიმ **კრესპოც** ათამაშოს. რაც შეეხება "ფიორენტინას", აქ ერთადერთი პრობლემაა ნახევარმცველ **მარკო დონადელის** სახით, რომელიც ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის.

ტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება უდინეში, სადაც "რომა" ჩადის. ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება გამარჯვება: "ჯალოროსის" "ინტერზე" წნეხის შესანარჩუნებლად, ხოლო "უდინეზეს" საჩემპიონთალიგო პერსპექტივისთვის. **პასკუალე მარინოს** გუნდს ბოლო 7 მატჩია, არ წაუგია (4 მოგება, 3 ფრე). ფრიულელებს ერთადერთი პრობლემა აქვთ: დისკვალიფიცირებულია საყრდენი ნახევარმცველი **მესტო**. "რომას" კი კვლავ არ ეყოლება **ტოტი**, რომელმაც გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ასევე არ იქნებიან მცველები - **ფერარი** და **კასეტი**. თავდასხმაში **ვუჩინიჩი** და **მანსინი** დაწყვილდებიან.

"სამპდორია", რომელმაც ბოლო ექვს მატჩში 5 მოიგო და ერთი ფრე ითამაშა, "რეჯინას" სტუმრობს. ეს იქნება გენუელთა მწვრთნელ **ვალტერ მაძარის** პირველი ჩასვლა კალაბრიაში მას მერე, რაც გასულ ზაფხულს "რეჯინა" დატოვა და "სამპს" მიაშურა. "გრანილოზე" მას აპლოდისმენტებით შეხვდებიან. თუმცა იქაურ პუბლიკას უფრო ის აინტერესებს, შეძლებს თუ არა მისი საყვარელი გუნდი კრიზისის დაძლევასა და გასავარდნი ზონიდან თავის დაღწევას. ლოკალური ამოცანის შესასრულებლად "რეჯინას" საბრძოლო შემადგენლობა ეყოლება, "დორიას" კი დანაკლისი აქვს მცველ **აკარდისა** და ნახევარმცველ **პალომბოს** სახით.

"ნაპოლი", რომელიც წინა ტურში "კატანიასთან" შერცხვა (0:3), საკუთარ მოედანზე "ატალანტასთან" ეცდება ნამუსის მოწმენდას. მასპინძლებს ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავთ, განსხვავებით ბერგამოელებისგან, რომელთაც დისკვალიფიცირებული კაპიტანი **დონი** არ ეყოლებათ. დაცვაში ვერ ითამაშებს **რივალტა**, რომელიც ტრავმირებულია.

"ლაციო", რომელსაც რომაული დერბის შემდეგ სამი ტურია არ მოუგია, "სიენასთან" საშინაო მატჩში შეეცდება სიტუაციის გამოსწორებას. **ბეჰრამი, მუდინგაი, ბიანკი, ფირმანი, დელ ნერო** და **სივილია** ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც **დელიო როსი** ხვალინდელ მატჩში ვერ დაიხმარს. ტოსკანელებს კაპიტანი **ბერტოტო** დააკლდებათ.

"ჯენოასთან" გასვლითი მატჩი, ალბათ, გადამწყვეტი იქნება "ტორინოს" მწვრთნელ **ვალტერ ნოველინოსთვის**, რომელსაც წაგების შემთხვევაში პოსტის დატოვება მოუწევს. "ტორომ" ზედიზედ ორი საშინაო მარცხი იწვნია. განსაკუთრებით მტკივნეული იყო ბოლო წაგება (0:1) "ემპოლისთან", რამაც გუნდი კვლავ გასავარდნ ზონას მიუახლოვა. სირთულეებს ემატება ისიც, რომ დისკვალიფიცირებულია ფორვარდი **სტელონე**, ნახევარმცველებს - **კომოტოსა** და **ნატალის** კი ტრავმები აწუხებთ.

ყოფნა-არყოფნისთვის ბრძოლაში საინტერესო დაპირისპირება უნდა იყოს "ლივორნო"-"კალიარი". ტოსკანელებს 6 ტურია არ მოუგიათ - 3 ფრე, 3 მარცხი და ერთადერთი გატანილი გოლი. სარდინიელები კი აშკარად გამოცოცხლდნენ და სერია A-ში დარჩენის შანსიც გაუჩნდათ. "ემპოლიმ" "პარმასთან" საშინაო მატჩში უნდა დაამტკიცოს, რომ "ტორინოსთან" ერთი კვირის წინანდელი გამარჯვება შემთხვევითი არ იყო.

დღეს კი ტური სიცილიური დერბით დაიწყება. "კატანიასთან" საშინაო მატჩში "პალერმოს" ნახევარმცველი **სიმპლისიუ** და ფორვარდი **კასანი** დააკლდებიან. **ვალტერ ძენგას** კი, რომელსაც წინა ტურში ბრწყინვალე დებიუტი (3:0 "ნაპოლისთან") ჰქონდა, "რენცო ბარბერაზე" ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 32 | 21 | 9 | 2 | 59-21 | 72 |
| 2. რომა | 32 | 20 | 8 | 4 | 58-32 | 68 |
| 3. იუვენტუსი | 31 | 16 | 10 | 5 | 53-28 | 58 |
| 4. ფიორენტინა | 32 | 16 | 8 | 8 | 47-32 | 56 |
| 5. მილანი | 32 | 14 | 10 | 8 | 48-28 | 52 |
| 6. სამპდორია | 32 | 15 | 7 | 10 | 46-37 | 52 |
| 7. უდინეზე | 32 | 14 | 9 | 9 | 43-40 | 51 |
| 8. ჯენოა | 32 | 11 | 9 | 12 | 40-46 | 42 |
| 9. ატალანტა | 32 | 10 | 11 | 11 | 46-46 | 41 |
| 10. ლაციო | 32 | 9 | 12 | 11 | 39-40 | 40 |
| 11. ნაპოლი | 32 | 11 | 7 | 14 | 41-46 | 40 |
| 12. პალერმო | 32 | 10 | 9 | 13 | 42-51 | 39 |
| 13. სიენა | 32 | 8 | 13 | 11 | 34-39 | 37 |
| 14. ტორინო | 32 | 6 | 16 | 10 | 32-39 | 34 |
| 15. კატანია | 32 | 7 | 11 | 14 | 28-38 | 32 |
| 16. პარმა | 31 | 6 | 12 | 13 | 37-47 | 30 |
| 17. ლივორნო | 32 | 6 | 11 | 15 | 29-47 | 29 |
| 18. ემპოლი | 32 | 7 | 8 | 17 | 25-45 | 29 |
| 19. კალიარი | 32 | 7 | 8 | 17 | 29-50 | 29 |
| 20. რეჯინა | 32 | 5 | 12 | 15 | 27-47 | 27 |

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტურის წინ

# ბორუსიასთან რიბერის გარეშე?

## ფინალის რეპეტიცია მიუნხენში. ბრძოლები ჩემპიონთა ლიგისა და გადარჩენისთვის


ბაიერნს რიბერის გარეშე გაუჭირდება

**გუშინ**
ნიურნბერგი-ვოლფსბურგი შეწყდა

**დღეს**
ჰამბურგი-დუისბურგი
კარლსრუე-ჰანზა
ჰანოვერი-აინტრახტი
კოტბუსი-არმინია
ბოხუმი-ჰერტა
ვერდერი-შალკე

**ხვალ**
ბაიერნი-ბორუსია
ლევერკუზენი-შტუტგარტი

ბუნდესლიგის ამ უიქენდზე სამი გამორჩეული მატჩია. შაბათს "ვერდერი" "შალკეს" უმასპინძლებს და ეცდება, მეორე ადგილზე დაბრუნდეს, თუმცა ამაში, შეიძლება, ხელი "ჰამბურგმა" შეუშალოს, რომელიც საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ "დუისბურგს" მასპინძლობს. "ზებრებმა" ორი კვირის წინ სიურპრიზი შემოგვთავაზეს, როცა ბრემენში ადგილობრივ გუნდს 2:1 მოუგეს. დაგვეთანხმებით, ასეთი რამ იშვიათად ხდება და "ჰამბურგი" დღეს უპირობო ფავორიტი იქნება, მით უმეტეს, **ჰუუბ სტევენსის** შეგირდებს საკუთარი მაყურებლის თვალში რეაბილიტაცია სჭირდებათ.

გავაგრძელოთ ბრემენული მატჩით. **თომას შააფი**, ალბათ, არ შეცვლის შემადგენლობას, რომელმაც წინა უიქენდზე ბერლინში 3 ქულა უზრუნველყო. ერთადერთი, საეჭვოა, ითამაშებს თუ არა ნახევარდაცვის ლიდერი **ბოროვსკი**, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს. თავდასხმაში **როზენბერგისა** და **კლასნიჩის** ტანდემს ვიხილავთ. "შალკეს" რაც შეეხება, "ბარსელონასთან" მატჩში დაშავებული **ლევან კობიაშვილი**, სავარაუდოდ, თადარიგში იქნება. ისევე, როგორც "კამპ ნოუს" მატჩში, მის ადგილს **გროსმიულერი** დაიკავებს. **მირკო სლომკას** სერიოზული დანაკლისი აქვს ტრავმირებული ნახევარმცველის **პანდერის** სახით, თუმც ის მაინც იქნება თადარიგში. ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ **რაკიტიჩი** და **ბაირამოვიჩი**. თავდასხმაში **კურანი-ასამოას** დუეტს დააყენებენ, **ჰალილ ალთინთოფი** კი ოდნავ უკან გამწესდება.

აქვე გავიხსენოთ, რომ "ვეზერშტადიონზე" შარშანდელი შეხვედრა "ხუმარებმა" 2:0 მოიგეს. თუმცა, საერთო ჯამში, ჩრდილოელებს სოლიდური საშინაო ბალანსი აქვთ: 25 მოგება, 5 ფრე, 8 ნაგება. ბურთები: 66-27.

გადავინაცვლოთ AOL-არენაზე, სადაც "ჰამბურგი" "დუისბურგის" მასპინძელი იქნება. სტევენსს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს, **მატიისენის**, **ოლიჩისა** და **იაროლიმის** სახით. თუმცა ჰოლანდიელი სპეციალისტი მაინც შემტევ მოდელს აირჩევს და **ზიდანს გერეროსთან** ახლოს დააყენებს. "ზებრების" დამრიგებელ **რუდი ბომერს** ერთი გამოკვეთილი ფორვარდი ეყოლება, რუმინელი **ნიკულესკუს** სახით. ტრავმების გამო სტუმრებს ორი წამყვანი ფიგურა, დისკვალიფიცირებული **შლიკე** და ტრავმირებული **იშიაკუ** დააკლდებათ, **ლავრიჩი** კი ჯერჯერობით, მსუბუქად ვარჯიშობს.

"კარლსრუე", რომელსაც 5 ტურია არ მოუგია, მიიღებს "ჰანზას", ვისაც, თავის მხრივ, ლამის ორი თვეა გამარჯვების გემო გადაავიწყდა. არადა, როსტოკელებს გასავარდნად აქვთ საქმე. "კარლსრუემ" კი კარგად დაწყებული სეზონის შემდეგ ტემპს მოუკლო და ახლა "ინტერტოტოს" თასზე გასვლას თუ მოახერხებს. შარშან, ამ გუნდებს მეორე ბუნდესლიგაში დრამატული მატჩი ჰქონდათ. "ჰანზა" სტუმრად 1:4-ს აგებდა, მაგრამ იმდენი ქნა, რომ თამაში ფრემდე (4:4) მიიყვანა. "კარლსრუეს" შემადგენლობაში **ალექსანდრე იაშვილი** ძირითადისთვის მოიაზრება. **ედი ბეკერს** არ ეყოლება ორი წამყვანი მოთამაშე - შემტევი ნახევარმცველი **კარნელი** და საყრდენი **მუტცელი**. "ჰანზასთვის" ერთადერთი დანაკლისი შუახაზელი **ორესტესია**.

საინტერესო თამაში უნდა იყოს "ბოხუმი"-"ჰერტა". ერთ-ერთი მათგანის გამარჯვება დიდწილად იქნება იმის გარანტია, რომ ბუნდესლიგიდან გავარდნის საფრთხე მინიმუმამდე შემცირდება. დედაქალაქელებს 5-ტურიანი მოუგებელი სერია აქვთ. "ბოხუმმა" კი ორთვიანი წაუგებელი ციკლი გასულ კვირას "ბაიერნთან" მარცხით (1:3) შეწყვიტა. შარშან, "ჰერტამ" "რევირპოვერშტადიონზე" 3:1 მოიგო, თუმცა საერთო ბალანსი მასპინძელს ერთობ შთამბეჭდავი აქვს: 14 მოგება, 2 ფრე და ამდენივე მარცხი. რურელებს **დაბროვსკი** და **ზდებელი** აკლიათ, ბერლინურ კრებულს კი ტრავმირებული ფორვარდი **პანტელიჩი** არ ეყოლება.

წინა ტურში საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ "ნიურნბერგისგან" შერცხვენილი "აინტრახტი" გასვლაზე ეთამაშება "ჰანოვერს", რომელსაც ევროტურნირზე მოხვედრის შანსი ჯერ არ დაუკარგავს. ცნობისთვის, **დიტერ ჰეკინგის** გუნდს 5 ტურია არ მოუგია. დისკვალიფიკაციის შემდეგ მწყობრში ბრუნდება ფორვარდი ჰანკე. "ჰანოვერს" ტრავმირებული ჰყავს **ბრდარიჩი**, **ბალიტჩი**, **ლაუთი** და **ტარნატი**. "აინტრახტს" კი ძირითადი მეკარე **პრიოლი** უბრუნდება.

გადარჩენისთვის მებრძოლთა უშუალო დაპირისპირებაა "კოტბუსი"-"არმინია". ამ უკანასკნელმა წელს პირველი გამარჯვება გასულ ტურში მოიპოვა, კოტბუსელებმა კი ერთი კვირის წინათ დუისბურგიდან უმნიშვნელოვანესი 3 ქულა წაიღეს. საკუთარ მოედანზე მათ შანსი აქვთ, გადარჩენის გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან. საინტერესოა ისიც, რომ "არმინიას" კოტბუსში არასოდეს მოუგია. ბილეფელდელებს არ ეყოლებათ ძირითადი მეკარე **ჰაინი**, რომლის ადგილს რეზერვისტი **ფერნანდესი** დაიკავებს.

და კვირა. "ბაიერნი", რომელმაც ხუთშაბათს, დიდი ბრძოლის ფასად, უეფას თასის ნახევარფინალში გააღწია, დორტმუნდის "ბორუსიას" უმასპინძლებს. ეს იქნება ერთგვარი რეპეტიცია 19 აპრილისთვის, როცა პრინციპული მეტოქეები ერთმანეთს გერმანიის თასის ფინალში დაუპირისპირდებიან. ვესტფალიელებს ბუნდესლიგაში დარჩენის პრობლემა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი აქვთ და სავარაუდოდ, აქცენტს სწორედ ფინალურ მატჩზე გააკეთებენ. ეს ერთადერთი გზაა რეაბილიტაციისა და ევროტურნირებისკენ. ესეც არ იყოს, "ბაიერნთან" ურთიერთობის გარკვევა ხომ თავისთავად განსაკუთრებული მოტივაციაა.

"ხეტაფესთან" ომგამოვლილ მიუნხენელებს, შესაძლოა, **რიბერი** გამოაკლდეთ. ფრანგმა ხუთშაბათს ტრავმა მიიღო და ექიმის პასუხს ელის. **ოტმარ ჰიტცფელდმა** დღესვე უნდა გაარკვიოს ისიც, შეძლებს თუ არა **დანიელ იენსენის** ძირითადში დაყენებას. დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს **ვან ბომელი**, ხოლო **ჰამით ალთინთოფს** და **ვან ბუიტენს** ტრავმები აწუხებთ. "ბორუსია" საბრძოლო შემადგენლობით იქნება. ერთმატჩიანი სასჯელის შემდეგ ძირითადში ბრუნდება **ვიორნსი**, ისევე, როგორც შვეიცარიელი ფორვარდი **ფრაი**, რომელმაც "ლევერკუზენთან" წინა ტურის მატჩში, შეცვლაზე შესულმა, თამაშში გარდატეხა შეიტანა.

კვირასვე, "ლევერკუზენი" ალმავლობის გზაზე მდგარ "შტუტგარტს" უმასპინძლებს. ბოლო 8 ტურში შვაბებმა 6 მატჩი მოიგეს და 2 ფრედ ითამაშეს, რასაც ვერ ვიტყვით "ლევერკუზენზე", რომელმაც, გარდა იმისა, რომ სამარცხვინოდ გავარდა უეფას თასიდან, ბუნდესლიგაში ზედიზედ 3 მატჩი დათმო და მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა. **მიხაელ სკიბე** ვერ დაიხმარს ნახევარმცველ **ბარნეტასა** და ვეტერან **რამელოვს**. "შტუტგარტს" კი კვლავ არ ეყოლება მთავარი დამრტყმელი ძალა **მარიო გომესის** სახით. გასულ წელს, "ლევერკუზენმა" მომავალი ჩემპიონი 3:1 დაამარცხა. საერთოდ, თუ ისტორიას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ "ბაიარენაზე" ამ გუნდების შეხვედრათა უმრავლესობა ფრედ მთავრდება. სულ, ლევერკუზენში მათ 38-ჯერ ითამაშეს. 11 მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 12-ში ფრე აღინიშნა, ხოლო 5-ჯერ სტუმრებს გაუმართლათ. ბურთები: 43-24. საგულისხმოა ისიც, რომ 1991/92 წლების სეზონის შემდეგ "შტუტგარტს" "ბაიარენაზე" ერთ გოლზე მეტი არ გაუტანია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 27 | 16 | 9 | 2 | 47-16 | 57 |
| 2. შალკე | 27 | 13 | 9 | 5 | 41-26 | 48 |
| 3. ჰამბურგი | 27 | 12 | 11 | 4 | 37-20 | 47 |
| 4. ვერდერი | 27 | 14 | 5 | 8 | 55-39 | 47 |
| 5. შტუტგარტი | 27 | 14 | 3 | 10 | 45-40 | 45 |
| 6. ლევერკუზენი | 27 | 13 | 5 | 9 | 47-30 | 44 |
| 7. ვოლფსბურგი | 27 | 12 | 7 | 8 | 45-38 | 43 |
| 8. აინტრახტი | 27 | 11 | 9 | 7 | 33-34 | 42 |
| 9. კარლსრუე | 27 | 10 | 8 | 9 | 30-34 | 38 |
| 10. ჰანოვერი | 27 | 9 | 8 | 10 | 38-45 | 35 |
| 11. ბორუსია | 27 | 9 | 7 | 11 | 41-45 | 34 |
| 12. ბოხუმი | 27 | 8 | 9 | 10 | 41-44 | 33 |
| 13. ჰერტა | 27 | 9 | 5 | 13 | 29-35 | 32 |
| 14. კოტბუსი | 27 | 6 | 8 | 13 | 29-43 | 26 |
| 15. არმინია | 27 | 6 | 7 | 14 | 26-51 | 25 |
| 16. ჰანზა | 27 | 6 | 6 | 15 | 22-38 | 24 |
| 17. ნიურნბერგი | 27 | 5 | 8 | 14 | 30-43 | 23 |
| 18. დუისბურგი | 27 | 6 | 4 | 17 | 27-42 | 22 |

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXII ტურის წინ

# ბარსელონა განადგურებულია

## ტრავმების ეპიდემია კატალონიურ გრანდში

**დღეს**
ვალენსია-რასინგი
რეკრეატივო-ბარსელონა

**ხვალ**
ვალიადოლიდი-ატლეტიკო
ბეტისი-ლევანტე
ხეტაფე-სარაგოსა
ესპანიოლი-ოსასუნა
დეპორტივო-ბილბაო
მალიორკა-სევილია
რეალი-მურსია
ალმერია-ვილიარეალი

გასულ ტურში "რეალმა" "მალიორკასთან" გასვლით შეხვედრაში ორი ქულა დაკარგა, მაგრამ სამეფო კლუბის კონკურენტებმა ამით ვერ ისარგებლეს და ერთპიროვნულ ლიდერთან მიახლოება ვერ შეძლეს. ბუნებრივია, **ბერნდ შუსტერი** მხოლოდ "ვილიარეალისა" და "ბარსელონის" პრობლემების იმედად ვერ იქნება. გერმანელი სპეციალისტი ვალდებულია შეგირდები ისე მოამზადოს, რომ "რეალმა" "მურსიასთან" მატჩში 3 ქულა მოიპოვოს. მოგეხსენებათ, დედაქალაქელებს გარკვეული საკადრო პრობლემები აქვთ. **რუუდ ვან ნისტელროიმ** რამდენიმე კვირის წინ ოპერაცია გაიკეთა. გუშინ მან ვარჯიში განაახლა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში მისი დაბრუნება მაინც ნაადრევია. ჰოლანდიელმა ფორვარდმა დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში ფიზიკური მომზადების სპეციალისტების მეთვალყურეობით იძუნძულა. შემდეგ **იკერ კასილიასს** პენალტები დაურტყა და სახლში წავიდა. მოკლედ, "მურსიასთან" ის ვერ ითამაშებს. ამ შეხვედრას **სერხიო რამოსიც** გამოტოვებს. სამეფო კლუბის ახალგაზრდა მცველმა "მალიორკასთან" მატჩში წითელი ბარათი მიიღო და ახლა დისკვალიფიკაციის მოხდა მოუწევს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ რამოსის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **მიგელ ტორესი** იასპარეზებს. შუსტერი ახალგაზრდა მცველს მთელი კვირის განმავლობაში საგანგებოდ ამზადებდა. ესპანელ ჟურნალისტებს თუ დავუჯერებთ, ჰერ ბერნდი **ხავიერ სავიოლასაც** მისცემს შესაძლებლობის გამომჟღავნების შანსს. გარდა ამისა, ძირითად შემადგენლობაში **მარსელოს** დაბრუნებასაც ელიან.

"ხეტაფესთან" საშინაო შეხვედრაში ორი ქულის დაკარგვით განბილებულმა "ბარსელონამ" განწყობა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლით გაიუმჯობესა. კატალონიელებს უელვაში "რეკრეატივოსთან" მძიმე მატჩის გამართვა მოუწევთ. პარასკევს **ფრენკ რაიკაარდს** შესუსტებულ შემადგენლობასთან მოუხდა მუშაობა. **ტიერი ანრის**, **ჯანლუკა ძამბროტას**, **ჩავი ერნანდესს**, **ვიქტორ ვალდესსა** და **ერიკ აბიდალს** მიკროტრავმები აწუხებთ. ექიმებმა ჰოლანდიელ სპეციალისტს ამ ბიჭების დატვირთვა აუკრძალეს. **ანდრეს ინიესტა** კიდევ უფრო ცუდ დღეშია, კატალონიელ ნახევარმცველს კოჭი ისე აქვს გასიებული, რომ "რეკრეატივოსთან" თამაშს ვერ შეძლებს. რაიკაარდი ოპტიმიზმს მაინც არ კარგავს. მთავარ მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ფეხბურთელები გამოჯანმრთელებას მოასწრებენ და უელველთა დამარცხებას შეძლებენ. "ბარსელონა" ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მომავალი ორი ტურის შეხვედრა მათთვის ბოლო შანსი იქნება.

ილია ნიკოლაიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 31 | 21 | 3 | 7 | 65-30 | 66 |
| 3. ბარსელონა | 31 | 17 | 8 | 6 | 60-29 | 59 |
| 2. ვილიარეალი | 31 | 18 | 5 | 8 | 52-39 | 59 |
| 4. ატლეტიკო | 31 | 16 | 5 | 10 | 56-39 | 53 |
| 5. რასინგი | 31 | 14 | 8 | 9 | 35-30 | 50 |
| 6. სევილია | 31 | 15 | 3 | 13 | 60-42 | 48 |
| 7. ესპანიოლი | 31 | 13 | 6 | 12 | 40-43 | 45 |
| 8. მალიორკა | 31 | 9 | 14 | 8 | 50-43 | 43 |
| 9. ბილბაო | 31 | 11 | 10 | 10 | 31-29 | 43 |
| 10. ალმერია | 31 | 11 | 9 | 11 | 31-35 | 42 |
| 11. ბეტისი | 31 | 11 | 8 | 12 | 39-43 | 41 |
| 12. ხეტაფე | 31 | 11 | 7 | 13 | 37-39 | 40 |
| 13. დეპორტივო | 31 | 11 | 7 | 13 | 39-43 | 40 |
| 14. ვალენსია | 31 | 11 | 6 | 14 | 34-47 | 39 |
| 15. ვალიადოლიდი | 31 | 10 | 8 | 13 | 38-50 | 38 |
| 16. ოსასუნა | 31 | 10 | 7 | 14 | 32-34 | 37 |
| 17. რეკრეატივო | 31 | 9 | 9 | 13 | 33-49 | 36 |
| 18. სარაგოსა | 31 | 8 | 9 | 14 | 41-54 | 33 |
| 19. მურსია | 31 | 7 | 8 | 16 | 28-48 | 29 |
| 20. ლევანტე | 31 | 5 | 4 | 22 | 25-60 | 19 |


ფრანკ რაიკაარდს უამრავი თავსატეხი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სატრანსფერო ციებ-ცხელება

# ადრიანო გალიანი: რონალდინიო და შევჩენკო 180 პროცენტით მილანის მოთამაშეები არიან

## ესპანური მედია რონალდინიოს დაემშვიდობა. გაუჩოს მილანში გადასვლა გადაწყვეტილიაო. როსონერი შევჩენკოსაც ელოდება

**გუშინ, იტალიურ მედიასთან საუბარში "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ასეთი განცხადება გააკეთა: შევჩენკო და რონალდინიო 180 პროცენტით "როსონერის" ფეხბურთელები არიანო. საქმე დაძრულია და მის დაბოლოებას, ეტყობა, ბევრი არაფერი უკლია. ქვემოთ სწორედ ამ ამბებზე მოგითხრობთ...**



მაგრამ სატრანსფერო ამბები ჯერ სხვა ინფორმაციით დავიწყოთ. ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის მიუხედავად, "ფენერბაჰჩე" ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს. პირიქით, თურქული კლუბი მომავალი სეზონისთვის ძალიან ამბიციურ მიზნებს ისახავს. ამ ამბიციური ამოცანების გადაჭრას კი შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერება სჭირდება. შესაძლოა, ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ გუშინ **ჩიკი ბეგირისტაინს რობერტო კარლოსმა** დაურეკა და კლუბის მესვეურთა სურვილი გაუმხილა. "ფენერბაჰჩეს" თვით **სამუელ ეტოოს** გადაბირება სურს. მართლაც უალრესად ამბიციური განაცხადია, მაგრამ თურქები აშკარად არ ხუმრობენ. აქამდე კატალონიურ გრანდს ყველაზე დიდი ფულის გაკეთების შესაძლებლობას **რონალდინიოს** ტრანსფერი აძლევდა, მაგრამ "ფენერბაჰჩეს" შეთავაზების შემდეგ ყველაზე ძვირადღირებული ეტოო გახდა. თავად განსაჯეთ, თურქები მზად არიან, კამერუნელი ფორვარდის სანაცვლოდ, 90 მილიონი ევრო დღესვე გადაიხადონ. ეს ინფორმაცია ჩიკი ბეგირისტაინმა "ტელე სინკონსთვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა: "თურქები რობერტო კარლოსის საშუალებით დამიკავშირდნენ. სიმართლე გითხრათ, ბრაზილიელის სატელეფონო ზარით გაოცებული დავრჩი. ის "რეალის" ფეხბურთელი იყო და ჩვენთან არაფერი აკავშირებდა. მოგვიანებით, "ფენერბაჰჩეს" ერთ-ერთმა დირექტორმაც დამირეკა და კონკრეტული წინადადება შემომთავაზა - ეტოოს თუ დაგვითმობთ, 90 მილიონ ევროს გადაგიხდითო. 90 მილიონი დიდი თანხაა, მაგრამ თურქები მაინც უნდა გავანბილო. სამუელ ეტოო "ბარსელონის" ერთ-ერთი ლიდერია და მის გაყიდვას არ ვაპირებთ. ჩვენ მომავალშიც ამბიციური მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, ამიტომ ეტოო ჰაერივით გვჭირდება."

"ტელე სინკოს" კორესპონდენტმა თავად ეტოოსთან გასაუბრებაც შეძლო. კამერუნელმა ვარსკვლავმა "ფენერბაჰჩეში" გადასვლის შესაძლებლობა გამორიცხა: "იმედია, კლუბის ხელმძღვანელობაც ისევე ფიქრობს, როგორც მე. "ბარსას" დატოვება არ მინდა. ყველა გუნდს, რომელიც ჩემთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს, დიდ პატივს ვცემ და მადლობას მოვახსენებ, მაგრამ ამ ეტაპზე "კამპ ნოუდან" აბარგება დაგეგმილი არ მაქვს. "შალკეს" დამარცხების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავედით. ახლა მთელი გუნდის ყურადღება აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. სხვა საკითხებზე ფიქრი და მსჯელობა კარგს არაფერს მოგვიტანს. შიდა არეულობამ ისედაც სერიოზულად დაგვაზარალა."


რონალდინიოს ძმა რობერტო დე ასისი და მილანის ემისარი ერნესტო ბრონცეტი

სამუელ ეტოო შიდა არეულობაში "ბარსელონის" ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის სენიორ **სალა მარტინის** განცხადების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს გულისხმობდა. ვიცეპრეზიდენტმა კატალონიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე თქვა, რომ "ბარსელონაში" ფეხბურთელთა რამდენიმე დაჯგუფება არსებობს და ეს დაჯგუფებები ერთმანეთს ემტერებიან. "ტელე სინკოს" კორესპონდენტმა ეტოოს, რა თქმა უნდა, ამ საკითხთან დაკავშირებითაც ჰკითხა აზრი: "როცა უსამართლობას ვაწყდები, ყოველთვის ხმას ვიღებ და იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. ჩემთვის იერარქია არ არსებობს. ზედმეტი ბიუროკრატია არაფერში მჭირდება. ყველას პატივს ვცემ და მოვითხოვ, რომ მეც პატივისცემით მომეპყრონ. თუ აღმოვაჩენ, რომ ცილს მწამებენ ან შეურაცხყოფას უსამართლოდ მაყენებენ, საკუთარ უფლებებს ხმალამოღებული დავიცავ. სენიორ სალა მარტინი უსინდისოდ მოიქცა. "ბარსელონაში" არანაირი დაჯგუფებები არ არსებობს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ვკამათობთ ხოლმე, მაგრამ ასეთი რამ ყველა კლუბში ხდება. შემადგენლობა, ხელმძღვანელობა, სამწვრთნელო და სამდიცინო შტაბი საერთო საქმეს პატიოსნად ემსახურებიან. ვერ გამიგია, ვიცეპრეზიდენტმა ასეთი სისულელე რატომ თქვა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მე, როგორც გუნდის ერთ-ერთ წევრს, უპატივცემულოდ მომეპყრნენ. შედეგების თვალსაზრისით, ცხადია, სერიოზული პრობლემები გვაქვს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კლუბში დაჯგუფებები ჩამოყალიბდა და ერთმანეთს ვებრძვით. კარგი იქნებოდა, სენიორ მარტინს კონკრეტული მაგალითი მოეყვანა. დარწმუნებული ვარ, ის ამას ვერ შეძლებს. მთელი შემადგენლობა გაოგნებული და გაცოფებულია. სამწუხაროდ, ვიცეპრეზიდენტთან პირადად შეხვედრის საშუალება არ მოგვეცა. ალბათ გვემალება, თუმცა სად წავა, ადრე თუ გვიან მაინც ვნახავთ და ყველაფერს პირში მივახლით. სანამ წარმატებების მიღწევის შანსი გვაქვს, იმედი და ოპტიმიზმი არ მოკვდება. უმჯობესია, ახლა დავმშვიდდეთ და მომავალი მატჩებისთვის მოვემზადოთ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ნახევარფინალში "მანჩესტერ იუნაიტედს" ვაჯობოთ და მოსკოვური მატჩის საგზური მოვიპოვოთ."



როგორც ხედავთ, "ბარსელონას" ხელმძღვანელობას "ფენერბაჰჩეს" შეთავაზება სასაცილოდაც არ ყოფნის. რამდენიმე თვის წინ რონალდინიოს გაყიდვის შესაძლებლობაც არ განიხილებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. უკლებლივ ყველა ესპანური სპორტული გაზეთი გვამცნობს, რომ 10 აპრილს ბარსელონაში რონალდინიოს ძმა **რობერტო დე ასისი**, "ბარსელონის" გენერალური დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი და "მილანის" ემისარი **ერნესტო ბრონცეტი** შეხვდნენ. ამ შეხვედრას, რა თქმა უნდა, ერთადერთი მიზანი ჰქონდა - კლუბების წარმომადგენლებსა და საფეხბურთო მენეჯერს რონალდინიოს ბედი უნდა გაერკვიათ. ესპანეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის სპორტული რედაქციის ინფორმაციით, ერთ-ერთი სასტუმროს რესტორანში შემდგარმა შეხვედრამ კონკრეტული შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა იგივე ტელეარხი ამტკიცებს, რომ ბეგირისტაინმა ბრონცეტის რონალდინიოს გაყიდვის პირობა მისცა. უახლოეს დღეებში ეს სამეული კიდევ ერთხელ შეიკრიბება და საბოლოო დეტალებს შეათანხმებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, "მილანს" სულ მცირე, 26 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. საქმე ის არის, რომ გაუჩოს სანაცვლოდ "ინტერი" 25 მილიონის გადახდის მზადყოფნას გამოთქვამს. "როსონერიმ" ამ ბრძოლის მოსაგებად დამატებით ერთი მილიონის დახარჯვაზე უარი ნამდვილად არ უნდა თქვას...

საგულისხმოა "ელ მუნდო დეპორტივოში" გამოქვეყნებული სტატია. კატალონიური გაზეთის პუბლიკაციას საინტერესო სათაური უძღოდა - ჩაო რონი! ამ სიტყვებით სპორტული გაზეთის რედაქცია ბრაზილიელ ფორვარდს გამოემშვიდობა. ჩვენი კოლეგები დარწმუნებით იუწყებიან, რომ გაუჩოს ბედი გადაწყვეტილია და მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე "მილანის" სრულფასოვანი წევრი გახდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# კაპაროსი კოლოჩინის უჩივლებს

## დაპირისპირება არგენტინელი მცველის სკანდალური განცხადების გამო

**ფ**აბრიციო კოლოჩინიმ სრულიად მოულოდნელად საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და სერიოზული სკანდალი ააგორა. არგენტინელმა მცველმა "დეპორტივოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელის **ხოაკინ კაპაროსის** წინააღმდეგ გაილაშქრა. კოლოჩინის მტკიცებით, "ბილბაოს" ამჟამინდელი დამრიგებელი ქსენოფობიითაა შეპყრობილი და ფეხბურთელებს წარმომავლობის მიხედვით არჩევს: *"როცა კაპაროსი "დეპორს" ავარჯიშებდა, უცხოელებს საშინელ დღეში გვაგდებდა. მთავარი მწვრთნელი ყოველთვის გვაგრძნობინებდა, რომ მისთვის მეორეხარისხოვანი ადამიანები ვიყავით. სამაგიეროდ, ესპანელებს ძალიან თბილად და მეგობრულად ეპყრობოდა. საკმარისი იყო, რაიმე კითხვა დამესვა, ძალიან ღიზიანდებოდა და უხეშად მპასუხობდა. ზოგჯერ, საერთოდ ხმასაც არ მცემდა. ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ჩემს მიმართ რომ ჰქონოდა, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სენიორ კაპაროსი ალდო დუშერსა და ლიონელ სკალონისაც ამ დღეში ამყოფებდა. არ ვიცი, შესაძლოა, არგენტინელები განსაკუთრებით ვძულდით. ყოველ შემთხვევაში, ეს კაცი ადამიანადაც არ გვაგდებდა. მადლობა ღმერთს, ახლა მიგელ ანხელ ლოტინა გვავარჯიშებს. წინა წლებში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საკონცენტრაციო ბანაკში ვცხოვრობდი."*


ფაბრიციო კოლოჩინი

კოლოჩინის ამ განცხადებამ კაპაროსი შოკში ჩააგდო. "ბილბაოს" დამრიგებელი ყველა ბრალდებას უარჰყოფს და სასამართლოში სარჩელის შეტანაზე ფიქრობს: *"თუ კოლოჩინის ძირითადში არ ვათამაშებდი ან ზედმეტად ვავარჯიშებდი, იმის გამო ხდებოდა, რომ მისი მომზადებით უკმაყოფილო ვიყავი. ეროვნული კუთვნილება არაფერ შუაშია. დარწმუნებული ვარ, "დეპორტივოს" სხვა ფეხბურთელებს რომ ჰკითხოთ, კოლოჩინის არ დაეთანხმებიან. ქსენოფობი არასოდეს ვყოფილვარ. უამრავი უცხოელი მეგობარი მყავს და მათ უდიდესი სიყვარულით ვეპყრობი. "დეპორტივოს" მცველმა ამ ცილისწამებით უდიდესი შეურაცხყოფა მომაყენა. გაჩუმებას არ ვაპირებ. ჩემს ადვოკატთან კონსულტაციებს გავივლი და სავარაუდოდ, სასამართლოში ვიჩივლებ. ჩემი ღირსების დასაცავად ყველაფერს გავაკეთებ."*

მას შემდეგ, რაც კაპაროსმა სასამართლოზე ჩამოაგდო სიტყვა, **ალდო დუშერმა** და **ლიონელ სკალონიმ** "დიარიო მარკას" რედაქციაში დარეკეს. მათ კოლოჩინის დაცვა გადაწყვიტეს და **ხოსე ფელიქს დიასს** დაუდასტურეს, რომ სენიორ კაპაროსი ნაციონალურ დისკრიმინაციას ეწეოდა. სხვათა შორის, დუშერმა ისიც თქვა, ყოფილმა მწვრთნელმა ერთხელ გონებაშეზღუდული და უკულტურო, არგენტინელი მიწოდაო. "დიარიო მარკას" გალისიის რეგიონული ბიუროს წარმომადგენლებმა "დეპორის" სხვა ფეხბურთელების განცხადებების ჩაწერა სცადეს, მაგრამ აღნიშნულ თემაზე საუბრისგან ჯერჯერობით, ყველა თავს იკავებს.

რეალი

# მარადიული გუტი




**გ**უშინ, რამონ კალდერონმა ზუსტად 40 დღის წინ საზოგადოებისთვის მიცემული პირობა შეასრულა. მადრიდის "რეალის" პრეზიდენტი გულშემატკივრებს შეპირდა, რომ **რაულ გონსალესისა** და **იკერ კასილიასის** მსგავსად, უვადო კონტრაქტს **ხოსე მარია გუტიერესსაც** გაუფორმებდა. კალდერონმა სიტყვა არ გატეხა. "დიარიო მარკამ" დიდი ზარ-ზეიმით გვამცნო, რომ გუტის სამეფო კლუბთან გაფორმებული ხელშეკრულება 2011 წლამდე გაუხანგრძლივეს. 2011 წლის შემდეგ თუ ხოსე მარია სეზონში 30 ოფიციალურ პაექრობას ჩაატარებს, კონტრაქტი ავტომატურად კიდევ ერთი წლით გაუგრძელდება. და ასე დაუსრულებლად, ყოველ ახალ სეზონში 30 ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობა საკმარისი გახდება იმისთვის, რომ ხელშეკრულება ისევ ერთი წლით გაგრძელდეს. ასე რომ, ახლა ყველაფერი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. თუ გუტი ფორმას შეინარჩუნებს და ყოველწლიურად ყბადაღებულ 30 ოფიციალურ შეხვედრას გამართავს, შეიძლება "რეალის" ღირსება უპრეცედენტოდ დიდ ხანს დაიცვას. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, ნახევარმცველმა 40 წლამდე ან კიდევ უფრო დიდ ხანს ითამაშოს. საგულისხმოა, რომ თავად მას კარიერის დასრულება 36 წლის ასაკში აქვს გადაწყვეტილი...

ამ ხელშეკრულებაზე საუბარი 15 თებერვალს დაიწყო. იმ დღეს რამონ კალდერონმა "რეალის" ინჩასებს ახარა, რომ რაულმა და კასილიასმა სამეფო კლუბს სამუდამოდ დაუკავშირეს ბედი. ქომაგებს მართლაც ძალიან გაუხარდათ, მაგრამ იმავე წუთს გაჩნდა კითხვა, ამ სიაში გუტის გვარს რატომ ვერ ვკითხულობთო. სხვათა შორის, ანალოგიური ხელშეკრულების გაფორმების პირობა მაშინ არა მარტო კალდერონმა, არამედ ლეგენდარულმა **დი სტეფანომაც** დადო. **დონ ალფრედომ** განაცხადა, პრეზიდენტს პირადად ველაპარაკე და დაზუსტებით ვიცი, რომ გუტი შემდეგი ფეხბურთელი იქნება, რომელთანაც მუდმივმოქმედ ხელშეკრულებას დავდებთო. მადრიდული გრანდის ხელმძღვანელობამ ამ ნაბიჯით კიდევ ერთხელ დადაასტურა, რომ გუნდის თავდადებულ მოთამაშეებს გარჯას არასოდეს უკარგავენ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს ფეხბურთელი "რეალის" კანტერაშია აღზრდილი. მოგეხსენებათ, რაული, კასილიასი და გუტი სწორედ დედაქალაქური კლუბის საყმაწვილო სკოლაში სწავლობდნენ.

ხოსე მარია პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილი დარჩა. ესპანელ ჟურნალისტებს გუტისთან შეხვედრა არ გაჭირვებიათ. გუნდის პრესსამსახურმა ისინი საგანგებო პრესკონფერენციაზე დაპატიჟა. ჩვენმა კოლეგებმა საკმაოდ საინტერესო განცხადება მოისმინეს: *"რეალი" ჩემთვის მხოლოდ საფეხბურთო გუნდი არასოდეს ყოფილა. ის უდიდესი გატაცება და ვნებაა. მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს გვიმართლებს და საშუალება გვეძლევა მისი ღირსება და ვიცვათ. "სანტიაგო ბერნაბეუზე" ასპარეზობა უდიდესი პატივია. მუდმივი კონტრაქტის გაფორმებაზე კი ალარაფებს ვამბობ. ამ ნაბიჯით სამეფო კლუბის დიდმა ოჯახმა დამიდასტურა, რომ მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვარ. ვფიქრობ, დღეს "რეალის" ისტორიის განუყოფელი ნაწილი გავხდი. მუდმივი კონტრაქტი ჩემზე გაცილებით დიდ ფეხბურთელებსაც არ ღირსებიათ. ბედნიერი ვარ, რომ ერთგულება, სიყვარული და თავდადება დამიფასეს. მომავალში კიდევ უფრო დიდი შემართებით ვიმუშავებ. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. "რეალში" იქამდე დავრჩები, მანამ მუხლში ძალა არ მიმტყუნებს. თეორიულად, 50 წლამდეც შემიძლია თამაში. რა თქმა უნდა, ასეთი ილუზია არ მამოძრავებს, მაგრამ თუ პრაგმატულად და რაციონალურად ვიმუშავებ, კარიერას მინიმუმ 6 წელი არ დავასრულებ. იმედია, ყველაფერი კარგად წარიმართება და 2011 წლის შემდეგ სეზონში სულ მცირე 30 ოფიციალური შეხვედრის ჩატარებას მოვახერხებ."*

ამასობაში სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას **სერხიო რამოსის** ძმა **რენე რამოსი** დაუკავშირდა. ის **დიეგო კაპელის** მენეჯერია და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, დედაქალაქური გრანდის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება რატომ გადაწყვიტა. **პრედრაგ მიატოვიჩს** მან საკუთარი კლიენტის შეძენა შესთავაზა. კაპელი 20 წლისაა და 12 მილიონ ევროდაა შეფასებული. სხვათა შორის, მიმდინარე სეზონში დიეგო შესანიშნავად გამოიყურება. პრესა მას ყოველთვის საქებარი სიტყვებით ანებივრებს. რენე რამოსს თუ დავუჯერებთ, მისი კლიენტი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჭკუას კარგავს. სამეფო კლუბში თამაში მისი დიდი ოცნება ყოფილა. კაპელმა პრიმერა დივიზიონში სადებიუტო ორთაბრძოლა 2004 წლის 20 ოქტომბერს ჩაატარა. მაშინ ის სულ რაღაც 16 წლის იყო. იმ პერიოდში "სევილიას" **ხოაკინ კაპაროსი** ავარჯიშებდა. "ბილბაოს" ამჟამინდელმა დამრიგებელმა ჟურნალისტებს რამდენჯერმე განუცხადა - ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, დიეგო უნიჭიერესია და მაქსიმუმ 4-5 წელიწადში მსოფლიო გრანდების ყურადღებას მიიპყრობსო. კაპაროსის სიტყვები გამართლდა, რადგან რენე რამოსის შეთავაზებას მიატოვიჩი უდიდესი ენთუზიაზმით გამოეხმაურა. როგორც გაირკვა, გენერალური დირექტორი თავად აპირებდა სევილიაში ჩასვლას და კაპელის სატრანსფერო თანხის მოკითხვას. აშკარაა, რენე რამოსმა მიატოვიჩის გეგმების შესახებ წინასწარ შეიტყო. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, საფეხბურთო აგენტმა ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საიდან მოიპოვა. ასეა თუ ისეა, "რეალის" გენერალური დირექტორი უახლოეს დღეებში ანდალუსიაში ჩასვლას აპირებს. გუშინ მან სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა და ოფიციალურად განაცხადა, რომ კაპელი მადრიდელთა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იქნება: *"ვისაც ფეხბურთი ესმის, ყველა დამეთანხმება, რომ დიეგო უნიჭიერესი ყმაწვილია. მას დიდი მომავალი აქვს,"რეალი" კი ნიჭიერ ახალგაზრდებს მთელ მსოფლიოში ეძებს. კაპელის ხელში ჩასაგდებად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. მთავარია, სევილიელმა კოლეგებმა სატრანსფერო მოლაპარაკებებისას ხელოვნური დაბრკოლებები არ შეგვიქმნან. თუ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ჩვენ გვაქვს დაგეგმილი, დიეგო კაპელი მომავალ სეზონში აუცილებლად სამეფო კლუბში იასპარეზებს."*

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ნახევარმცველს "სევილია" 12 მილიონ ევროდ აფასებს. დაგვეთანხმებით, თანამედროვე საფეხბურთო ტენდენციების გათვალისწინებით, ეს საკმაოდ მოკრძალებული თანხაა. როგორც გაირკვა, სიიაფეს წლების წინ გაფორმებული ხელშეკრულება განაპირობებს. კაპელს ანდალუსიელებმა პირველი პროფესიული კონტრაქტი ხუთი წლის წინ გაუფორმეს. მაშინ დოკუმენტში გარკვევით ჩაიწერა, რომ დიეგოს გადაბირების მსურველ კლუბს მხოლოდ და მხოლოდ 12 მილიონის გადახდა მოუწევდა. არსებობს კიდევ ერთი პუნქტი - თუ კაპელი ერთ სეზონში 40 ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს, სატრანსფერო თანხა 15 მილონ ევრომდე გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის სევილიელს 36 ოფიციალური პაექრობა აქვს გამართული. იმ შემთხვევაში, თუ **მანოლო ხიმენესი** 20 წლის ნახევარმცველს კიდევ ოთხჯერ ათამაშებს, თანხა ავტომატურად გაიზრდება, თუმცა "რეალს" 15 მილიონის გადახდაც არ გაუჭირდება.

"რეალი" ამ ტრანსფერით მართლაც სერიოზულადაა დაინტერესებული. მსგავს შემთხვევებში ფეხბურთელები პირადი მოსაზრებების გამომზეურებას ერიდებიან ხოლმე. მაგრამ ამჯერად, **რობინიომ** აბსოლუტურად მოულოდნელი განცხადება გააკეთა. ბრაზილიელი ფეხბურთელის აზრით, "რეალს" კაპელი არაფერში სჭირდება: *"შესძლოა, დიეგო მართლაც კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, სამეფო კლუბში რა უნდა გააკეთოს. დარწმუნებული ვარ, ის კონკურენციას ვერ გაუძლებს და მთელ დროს სათადარიგოთა სკამზე გაატარებს. ჩემი აზრით, ამ ტრანსფერის განხორციელება ორივე მხარისთვის წამგებიანი იქნება. "რეალი" ტყუილად ფულს დაკარგავს, დიეგო კაპელოს კი სათამაშო პრაქტიკა მოაკლდება."*

დაგვეთნახმებით, ასეთ თამამ განცხადებებს ფეხბურთელები ძალიან იშვიათად აკეთებენ ხოლმე. "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა **ხოსე ფელიქს დიასმა** შანსი ხელიდან არ გაუშვა და რობინიოს მწვავე განცხადება სკანდალის ასაგორებლად გამოიყენა. მან კომენტარის გაკეთება თავად კაპელს სთხოვა და ისეთი პასუხი მიიღო, როგორსაც ელოდა: *"რობინიო გენიალური ფეხბურთელია, მაგრამ, როგორც ჩანს, უცნაური ადამიანი ყოფილა. თუ ჩემს გადაბირებას გადაწყვეტენ, იმედია, მას არაფერს კითხავენ. ტრანსფერებზე გენერალური დირექტორი აგებს პასუხს და ფეხბურთელის აზრი არავის აინტერესებს, თუნდაც ის მსოფლიო დონის ვარსკვლავი იყოს. მის ადგილზე ასე არ ვილაპარაკებდი. სანყენია, რომ კოლეგა არაკოლეგიალურად გეპყრობა. გავა დრო და რობინიო აუცილებლად ინანებს. ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება. "რეალში" თავდაპირველად ყველას უჭირს, მაგრამ ადაპტაციას თუ გაივლი და შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოამჟღავნებ, საკუთარი ადგილის დამკვიდრება არ გაგიჭირდება."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/4 ფინალი. განმეორებითი მატჩები

# ხეტაფემ ითამაშა, ბაიერნმა გაიმარჯვა

## რეინჯერსი უეფას თასის ნახევარფინალში პირველადაა

**ზენიტი-ლევერკუზენი 0:1 (4:1)**

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, დენისოვი, შირლი, შიროკოვი, ფაიზულინი (87. რადიმოვი), არშავინი, პოგრებნიაკი.

**ლევერკუზენი:** ადლერი, კალსენ-ბრაკერი, პაგი, დუმი (75. გეკასი), სინკევიჩი, შნაიდერი, სარპეი, ფრაიერი (68. კისლინგი), კასტრო, შვეგლერი (59. როლფესი), ბულიკინი.

**გოლი:** 0:1 ბულიკინი (18)

*85-ე წუთზე ტიმოშჩუკმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 11(2)-10(6); **კუთხური:** 9-4; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 18-17; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 21 500

**სპორტინგი-რეინჯერსი 0:2 (0:0)**

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, ტონელი, აბედი, გლადსტონი (69. პერეირინია), გრიმი (76. ტიუი), იზმაილოვი (62. ჯალო), ვუკჩევიჩი, ჟოაო მუტინიო, რომანიოლი, ველოზო, ლიედსონი.

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, დეილი, ბროუდფუტი, პაპაჩი, კუელარი, მაკალოხი (77. უაიტეკერი), ბ. ფერგიუსონი, ჰემდანი, ტომსონი, დევისი, დარშევილი (72. კუზენი).

**გოლები:** 0:1 დარშევილი (60), 0:2 უაიტეკერი (90)

**გაფრთხილება:** 0-5; **დარტყმა:** 15(6)-6(5); **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 12-17; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 31 155

**ხეტაფე-ბაიერნი 3:3 დ.დ. (1:1)**

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა (66. მარიო კოტელო), კორტესი, ტენა, ლიხტი, სელესტინი, კასკერო, გავილანი, უჩე (20. ბელენგერი), მანუ (61. ბრაულიო), დე ლა რედი.

**ბაიერნი:** კანი, ლუსიო, ლამი, ლელი (46. იანსენი), ვან ბომელი, ზე რობერტო (75. პოდოლსკი), შვაინშტაიგერი (64. სოსა), დემიკელისი, რიბერი, კლოზე, ტონი.

**გოლები:** 1:0 კონტრა (44), 1:1 რიბერი (89), 2:1 კასკერო (91), 3:1 ბრაულიო (93), 3:2 ტონი (115), 3:3 ტონი (120)

**გაძევება:** დე ლა რედი (6. ხეტაფე)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 7(5)-17(4); **კუთხური:** 2-5; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 7-14; **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 20 000

**ეინდჰოვენი-ფიორენტინა 0:2 (1:1)**

**ეინდჰოვენი:** გომეში, კრომკამპი, სალსიდო, მარსელისი, რაიკოვიჩი, სიმონსი, ედისონ მენდესი (84. ცონეველდი), დჟუდჩაკი, კოვერმანსი, კულინა (80. ვაირინენი), ბაკალი (46. ლაზოვიჩი).

**ფიორენტინა:** ფრაი, გამბერინი, უიფალუში, იორგენსენი, ლივერანი, დონადელი, სანტანა (79. კუჟმანოვიჩი), გობი, მონტოლივო, მუტუ (87. ოსვალდო), პაცინი (74. ვიერი).

**გოლები:** 0:1 მუტუ (37), 0:2 მუტუ (54)

*82-ე წუთზე სიმონსმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 4(1)-13(8); **კუთხური:** 2-6; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 10-11; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 36 200



ლუკა ტონი გამარჯვების გოლს ზეიმობს

**1/2 ფინალი**

**ბაიერნი-ზენიტი**
**რეინჯერსი-ფიორენტინა**

პირველი მატჩები 24 აპრილს გაიმართება, საპასუხო 1 მაისს

ამას ვერავინ წარმოიდგენდა: "ბაიერნმა" უეფას თასის ნახევარფინალში ძლივს გააღწია. მიუნხენურ გიგანტს მოკრძალებული ესპანური კოლექტივის გავლა ჯოჯოხეთურად გაუჭირდა. "ხეტაფემ" მას ნამდვილი განსაცდელი მოუწყო. ესპანელებმა 114 წუთი რიცხობრივ უმცირესობაში გაატარეს. იტალიელმა არბიტრმა **მასიმო ბუსაკამ რუბენ დე ლა რედი** მეექვსე წუთზე მიაბრძანა მინდვრიდან. ახალგაზრდა მცველი **მიროსლავ კლოზეს** წაქცევისათვის გააგდეს. გერმანელი თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ გადიოდა. აქვე გავიხსენოთ, რომ პირველსავე წუთზე, ტონის იერიშისას ესპანელმა მცველებმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს.

ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე **კოზმინ კონტრამ** თავისიანები წინ გაიყვანა (მან მიუნხენშიც შეაგდო). რუმინელმა მცველმა ბურთი ცენტრის ხაზთან ახლოს მიიღო, სტუმართა ორ მცველს შორის გაიარა და შორიდან მაღალ კუთხეში გაიტანა. ამ გოლმა "ბაიერნის" ფანები ისე გააგულისა, რომ თავიანთ სექტორში სკამები დალეწეს და პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო. "ხეტაფემ" მინიმალური უპირატესობა ბოლოსწინა წუთამდე შეინარჩუნა. მასპინძელი გულშემატკივარი ზეიმისათვის მოემზადა. ამ დროს **ფრანკ რიბერიმ** გაათანაბრა და მატჩი დამატებულ დროში გადაიყვანა. "ბაიერნმა" სულის მოთქმა ვერ მოასწრო. მას ორ წუთში ორი გოლი გაუტანეს. **ფრანსისკო კასკეროსა** და **ბრაულიოს** ეგონათ, "ბაიერნი" საიქიოს გავისტუმრეთო.

მიუნხენელებსაც ასე ეგონათ, სანამ **ლუკა ტონი** დუბლს გამოაცხობდა. 115-ე წუთზე **რობერტო აბონდანსიერი** უხეშად შეცდა. **მარკ ვან ბომელმა** საჯარიმოში ჩააწოდა. არგენტინელს ბურთი ხელიდან გაუვარდა. იტალიელი იქვე გაჩნდა და სხვაობა შეამცირა...

120-ე წუთი დაიწყო. თამაშის დასრულებას ალარაფერი უკლდა. **ოლივერ კანმა** მეტოქის საჯარიმოს მიაშურა. მაღალ ბურთს სწორედ ის შესწვდა და იერიში დაიწყო, რომლის ბოლოსაც ბურთი ტონის მიუვიდა. იტალიელმა ახლო მანძილიდან თავით დაარტყა. ბურთი მიწაზე დაეცა და წინ გამოსულ აბონდანსიერის ზემოდან გადაახტა - 3:3. თამაში განახლდა თუ არა, ბუსაკამ საფინალო სასტვენი მისცა. უეფას თასის ნახევარფინალში პეტერბურგის "ზენიტთან" თამაშის პატივი "ბაიერნს" ერგო.

ნამატჩევს **ოტმარ ჰიტცფელდმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მინდა, მივულოცო "ხეტაფესა" და ლაუდრუპს. მათ დღეს ჩვენზე უკეთ ითამაშეს. "ბაიერნი" დამცირებას გადაურჩა."* **მიკაელ ლაუდრუპი** უკიდურესად იმედგაცრუებული იყო: *"ლაპარაკი მიძნელდება, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. გავა რამდენიმე დღე და თითოეული ფეხბურთელი მიხვდება, რომ "ბაიერნთან" დიადი მატჩი ჩაატარა."*

მიუნხენელთა მომავალმა მეტოქემ, "ზენიტმა" ნახევარფინალის საგზური ერთი კვირის წინათ, ლევერკუზენში გაიფორმა (4:1). ამიტომ შინ ძალიან ალარ დახარჯულა. გერმანელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს, მაგრამ რევანში არ შედგა. სტუმართა გოლი რუსი თავდამსხმელის **დმიტრი ბულიკინის** ანგარიშზეა. თამაშის მიწურულს "ზენიტის" კაპიტანმა **ანატოლი ტიმოშჩუკმა** პენალტი ვერ გამოიყენა - ბურთი მეკარე **რენე ადლერმა** ხელებში მოიგდო.

"ფიორენტინამ" "ეინდჰოვენს" სტუმრად მოუგო. **ადრიან მუტუმ** დუბლი მიითვალა. ფლორენციელებმა ორი მატჩის ჯამში 3:1 მოიგეს. ალსანიშნავია, რომ ერთი კვირის წინანდელ მატჩშიც მუტუმ გაიტანა. მან იტალიელები ტაიმის მიწურულს, 25 მეტრიდან გატანილი საჯარიმოთი დააწინაურა. შესვენების შემდეგ, რუმინელმა თავდამსხმელმა **ჯამპაოლო პაცინის** იერიში დააგვირგვინა. "ეინდჰოვენის" მეკარე **ეურელიო გომესს** ბურთი ხელიდან გაუვარდა. მუტუმ ის იმავე წამს დასაჯა. **ჩეზარე პრანდელი:** *"დიდებულ შედეგს მივაღწიეთ. დღევანდელი საღამოს გმირები მუტუ და პაცინი იყვნენ."* თამაშის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე ფლორენციელთა მეკარე **სებასტიან ფრეიმ ტიმი სიმონსის** პენალტი მოიგერია.

სტუმრად გაიმარჯვა კიდევ ერთმა ნახევარფინალისტმა "რეინჯერსმა". მან ლისაბონის "სპორტინგს" 2:0 მოუგო (გლაზგოში 0:0). მასპინძლები პირველივე წუთიდან დომინირებდნენ. ამიტომ მე-60 წუთზე, **ჟან კლოდ დარშევილის** გოლი სრულიად ალოგიკური იყო. მსაჯისაგან წამატებულ დროში, **სტივ ვიტეკერმა** თამაშს წერტილი დაუსვა. შოტლანდიელებმა თავიანთ ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერეს. "რეინჯერსი" უეფას თასის ნახევარფინალში არასოდეს ყოფილა. კაპიტანი **ბარი ფერგიუსონი** "ფიორენტინასთან" პირველ მატჩს გამოტოვებს. მას პორტუგალიაში მეორე ყვითელი ბარათი უჩვენეს. დისკვალიფიკაციის გამო "რეინჯერსს" ვერც **კევინ ტომპსონი** დაეხმარება. მაგრამ ხუთშაბათ საღამოს სტუმართა თავკაც **უოლტერ სმიტს** უსიამოვნო ამბებზე ფიქრისათვის არ ეცალა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტურის წინ

# არსენალის ბოლო შანსი

**დღეს**

ბოლტონი-ვესტ ჰემი
რედინგი-ფულჰემი
ბირმინგემი-ევერტონი
დერბი-ასტონ ვილა
ტოტენჰემი-მიდლსბრო
სადერლენდი-მანჩესტერ სიტი
პორტსმუთი-ნიუკასლი

**ხვალ**

ლივერპული-ბლექბერნი
მანჩესტერ იუნ.-არსენალი

**ზეგ**

ჩელსი-ვიგანი

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ტიტულის შესანარჩუნებლად დარჩენილ ხუთ მატჩში 13 ქულა უნდა მოიპოვოს. „ეშმაკებს" ორი კონკურენტი ჰყავთ: „ჩელსი" და „არსენალი". დღეს მათ ერთი მეტოქის ჩამოცილება შეუძლიათ. გამარჯვების შემთხვევაში, „იუნაიტედი" „მეთოფეებს" ცხრა ქულით გადაუსწრებს. ოთხ მატჩში ცხრა ქულის ალმოფხვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

რაც შეეხება „ჩელსის", **სერ ალექს ფერგიუსონს** მიაჩნია, რომ მეტოქეს „იუნაიტედზე" უკეთესი განრიგი აქვს. „არისტოკრატები" ორშაბათს „ვიგანს", ხოლო ხუთშაბათს „ევერტონს" შეხვდებიან. ხუთშაბათის შემდეგ „ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე ისინი თითქმის ერთკვირიან დასვენებას გამოიწერენ. შემდეგ კიდევ ხუთი თავისუფალი დღე ექნებათ 26 აპრილამდე, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა უმასპინძლონ და კიდევ ოთხი დღე „ლივერპულთან" განმეორებით მატჩამდე. „იუნაიტედი" 23 აპრილს „ბარსელონას" შეხვდება. სამ დღეში, შაბათს, „ჩელსის" ესტუმრება და კიდევ სამ დღეში, სამშაბათს, კატალონიელებთან განმეორებითი ნახევარფინალი ელის...

დავუბრუნდეთ „მანჩესტერისა" და „არსენალის" პაექრობას. ლონდონელებმა ყველა ტურნირზე ჩატარებული ბოლო 12 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგეს, პრემიერლიგის ბოლო შვიდი შეხვედრიდან - მხოლოდ ერთი. სტატისტიკა სავალალოა, მაგრამ **არსენ ვენგერი** ბრძოლას მხოლოდ მაშინ შეწყვეტს, როცა გაჩემპიონების მათემატიკურ შანსსაც დაკარგავს.

„არსენალი" „იუნაიტედისათვის" უხერხული მეტოქეა. ამ სეზონში ისინი უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ წრეში, „ემირიტს სთედიუმზე" შეხვედრა 2:2 დასრულდა. 16 თებერვალს, ასოციაციის თასის მეხუთე რაუნდში, „მანჩესტერმა" შინ 4:0 გაიმარჯვა. გასულ სეზონში, ამ გუნდების მატჩში „ოლდ ტრეფორდზე" სტუმართა მინიმალური გამარჯვებით დასრულდა.

„იუნაიტედს" **რიო ფერდინანდი** დაუბრუნდება. ტრავმა მოიშუშა **პატრის ევრამაც. კრისტიანო რონალდო** და **უეინ რუნი** ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ. რონალდომ „რომასთან" განმეორებითი მატჩი გამოტოვა. რუნიმ - ცოტა ხანს ითამაშა. „არსენალს" საყრდენი ნახევარმცველი **მატიო ფლამინი** სამი კვირით გამოაკლდა. მას **ჟილბერტო სილვა** შეცვლის. ძირითადში დაბრუნდება **რობინ ვან პერსი**.




როგორც ალვნიშნეთ, „ჩელსი" „ვიგანს" ორშაბათს შეხვდება. ინფორმაცია, თითქოს **პეტრ ჩეხმა** სეზონი დაასრულა, ნაჩქარევი და გადაუმოწმებელი ალმოჩნდა. მეკარეს სახის ტრავმა უხორცდება. რამდენიმე დღეში მას ნაკერებს ამოულებენ და დასკვნით შეხვედრებში ძირითად შემადგენლობაში იქნება. იქამდე „არისტოკრატთა" კარს მესამე ნომერი **ენრიკე ილარიო** დაიცავს. მოგეხსენებათ, **კარლო კუდიჩინიც** დაშავებულია. თადარიგში სარეზერვო გუნდის გოლკიპერი, 18 წლის **რის ტეილორი** იქნება. „ვიგანს" ორი წამყვანი ფეხბურთელი - **მაიკლ ბრაუნი** და **ჯეისონ კუმასი** უბრუნდება. მათ სასჯელები მოიხადეს.

"ლივერპული" „ბლექბერნს" შეხვდება. მერსისაიდელები მეოთხე ადგილს, ხოლო სტუმრები - უეფას თასის საგზურს უმიზნებენ. ლივერპულელთა მდევარი „ევერტონი" გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატ „ბირმინგემ სიტის" ესტუმრება.

**რაფა ბენიტესის** გუნდს **ხავიერ მასკერანო** ვერ დაეხმარება. არგენტინელი ნახევარმცველი სამმატჩიან სასჯელს იხდის. **დანიელ აგერის, ჰარი კიუელისა** და **ჯერმეინ პენანტის** ტრავმების ამბავი ცნობილია. „ბლექბერნის" თავდამსხმელ **ჯეისონ რობერტსს** საზარდულის ტრავმა აქვს. საეჭვოა ნახევამცველ **დევიდ დანის** თამაში. მუხლის ტრავმის გამო მას „ტოტენჰემთან" ბოლო ტურის მატჩი გაუცდა.

"პორტსმუთი", რომელმაც 1939 წლის შემდეგ პირველად გააღწია ასოციაციის თასის ფინალში, პრემიერლიგაშიც შთამბეჭდავად ასპარეზობს. **ჰარი რედნაპის** გუნდი უეფას თასის საგზურისათვის იბრძვის. ის „ევერტონს" ოთხი ქულით ჩამორჩება. დღეს „პორტსმუთი" „ნიუკასლს" უმასპინძლებს. ორმატჩიანი პაუზის შემდეგ **ჯერმეინ დეფო** ბრუნდება. საეჭვოა **ლასანა დიარას** თამაში. ჯორდებს წამყვანი მცველი **სტივენ ტეილორი** გამოუჯანმრთელდათ. შესაძლოა, განაცხადში ვიხილოთ **სტივ კარი, ჯეიმს მილნერი** და **კლაუდიო კასაპა**.

"ტოტენჰემს" „მიდლსბროსთან" შეხვედრაში ნახევარმცველი **ჯეიმი ოჰარა** ვერ დაეხმარება. დაშავებულია მეკარე **პოლ რობინსონიც**. კაპიტანი **ლედლი კინგი** თამაშს მომავალ სეზონში განაახლებს. რივერსაიდელები იმავე შემადგენლობას გაიყვანენ, რომელმაც ერთი კვირის წინათ „მანჩესტერ იუნაიტედთან" 2:2 ითამაშა. მწყობრშია ნახევარმცველი **ფაბიო როშემბაკი. რობერტ ჰუთის** გამოჯანმრთელებას საშველი არ დაადგა.

პრემიერლიგიდან გავარდნილი "დერბი" "ასტონ ვილასთან" პრესტიჟის თამაშს ჩაატარებს. ბირმინგემელები უეფას თასის საგზურისათვის იბრძვიან. სხვა ორი აუტსაიდერი - „ბოლტონი" და „ფულჰემი", „ვესტ ჰემსა" და „რედინგთან" შეეცდება სასიცოცხლოდ აუცილებელი ქულების მოხვეჭას. კიდევ ერთ მატჩში „სანდერლენდი" „მანჩესტერ სიტის" უმასპინძლებს. **როი კინის** გუნდმა პრემიერლიგაში დარჩენა, ფაქტობრივად, გაინალდა. „სიტიმ" უსახური მატჩების სერია გამოაცხო, რის გამოც ევროპული საგზურის დაუფლების მიზერული შანსი დარჩა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 33 | 24 | 5 | 4 | 70-17 | 77 |
| 2. ჩელსი | 33 | 22 | 8 | 3 | 58-23 | 74 |
| 3. არსენალი | 33 | 20 | 11 | 2 | 63-27 | 71 |
| 4. ლივერპული | 33 | 17 | 12 | 4 | 57-25 | 63 |
| 5. ევერტონი | 33 | 18 | 6 | 9 | 49-27 | 60 |
| 6. პორტსმუთი | 33 | 16 | 8 | 9 | 47-33 | 56 |
| 7. ასტონ ვილა | 33 | 14 | 10 | 9 | 56-44 | 52 |
| 8. ბლექბერნი | 33 | 13 | 12 | 8 | 43-39 | 51 |
| 9. მანჩესტერ ს. | 33 | 13 | 10 | 10 | 37-39 | 49 |
| 10. ვესტ ჰემი | 33 | 12 | 8 | 13 | 35-40 | 44 |
| 11. ტოტენჰემი | 33 | 10 | 10 | 13 | 62-56 | 40 |
| 12. ნიუკასლი | 33 | 10 | 8 | 15 | 40-58 | 38 |
| 13. სანდერლენდი | 33 | 10 | 6 | 17 | 32-50 | 36 |
| 14. მიდლსბრო | 33 | 8 | 11 | 14 | 30-47 | 35 |
| 15. ვიგანი | 33 | 9 | 7 | 17 | 30-47 | 34 |
| 16. რედინგი | 33 | 9 | 5 | 19 | 37-61 | 32 |
| 17. ბირმინგემ ს. | 33 | 7 | 9 | 17 | 38-51 | 30 |
| 18. ბოლტონი | 33 | 6 | 8 | 19 | 30-52 | 26 |
| 19. ფულჰემი | 33 | 4 | 12 | 17 | 30-56 | 24 |
| 20. დერბი | 33 | 1 | 8 | 24 | 16-68 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# მესამე კედელი



ნესტორ ხერგიანი

**ძიუდოისტი ზაზა კედელაშვილი (66) ზედიზედ მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი და ახალ ეპოქასაც დაუდო სათავე - დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამგვარ წარმატებას პირველმა მიაღწია.**

**ლისაბონში ჩემპიონატის დასაწყისი ჩვენთვის ნამდვილად ფეხბედნიერი გამოდგა - 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნესტორ ხერგიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სხვათა შორის, კარიერაში მეექვსედ, რაც ჩვენთვის დღემდე ასევე უპრეცენდენტოა. თუმცა ხერგიანის რეკორდები ამით არ ამოიწურება - მას პირველხარისხოვან ტურნირებზე უკვე 12 მედალი მოუგროვდა. ამათგან 9 - ევროპაზე (2 ოქრო, 1 ვერცხლი და 6 ბრინჯაო); 2 - მსოფლიოზე (თითო ვერცხლი და ბრინჯაო) და ერთი ოლიმპიადაზე - ვერცხლი. ასეთი მიღწევით ძიუდოში კი არა, მთლიანად დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში ვერ დაიკვეხნის ვერავინ. სტატისტიკას მივადექით და ბარემ ისიც ვთქვათ, ჩვენმა ნაკრებმა ევროპირველობა შარშანაც ზუსტად ანალოგიური შედეგით დაიწყო და მედლები მაშინაც იმავე დუეტმა მოიპოვა.**

ზაზა კედელაშვილმა ფინალში ძლიერი უნგრელი, ევროპის ექსჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **მიკლოშ უნგვარი** დაამარცხა. ისინი შარშან მსოფლიო პირველობის პირველ წრეშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ უნგრელმა დამაჯერებლად მოიგო. დღეს, როცა ღირსეული რევანში შედგა, უკვე თამამად შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ მაშინ კედელაშვილი ძალიან ღელავდა და არც მალავდა იმის შიშს, რომ ის შეხვედრა მისთვის იქნებ ბოლოც ყოფილიყო ჩემპიონატზე. მაშინ არ გაჭრა არანაირმა გამხნევებამ, შექებამ, თანადგომამ - კედელაშვილს ავი წინასწარმეტყველება ავადვე აუხდა და იმ ტურნირზე მეტის ჭიდაობა მართლაც არ მოუწია.

ლისაბონში გამგზავრებამდე თავად დავესწარი ნაკრების ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშს ბორჯომში, შეკრებაზე და დავრწმუნდი, ამჯერად კედელაშვილი ბევრად უკეთ მომზადებული და ფორმაში მყოფი მიდიოდა ევროპაზე. კედელაშვილში იგრძნობოდა მზადყოფნა, შემონახული ძალა. ეტყობოდა, რომ იმაზე მეტი შეეძლო, ვიდრე დახარჯა და საჭიროების შემთხვევაში მოუმატებდა კიდეც. თავადაც თავდაჯერებული ამბობდა, რომ ლისაბონში მესამედ გასაჩემპიონებლად მიდიოდა და სიტყვაც აასრულა. იგი რომ კარგ ფორმაში იყო, ამას მის მიერ ჩატარებული შეხვედრების სტატისტიკაც მოწმობს - 5 ბრძოლიდან 4 წმინდად მოიგო. თან, ისიც სათქმელია, ვინ დაამარცხა ასე სუფთად: ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი, მოლდოველი **მარსელ ტრუდოვი**, სომეხი ევროპის ჩემპიონი **არმენ ნაზარიანი**, პოლონელი ევროპის პრიზიორი **ტომაშ ადამეცი** და ფინალში - უნგვარი. ერთადერთი, მხოლოდ ნახევარფინალში გაუჭირდა საკმაოდ გამოცდილ ჰოლანდიელ **დაქს ელმონტთან**, თუმცა მძაფრ ბრძოლაში ქულებით მაინც მოუგო. ფინალური შეხვედრა მისი მშვენიერი გამოსვლის მართლაც რომ გვირგვინი გამოდგა. კედელაშვილი თითქოს ფრთხილად ჭიდაობდა, მაგრამ მთელი შეხვედრა ინიციატივას მაინც ფლობდა. რამდენჯერმე საილეთედაც წამოიკიდა მეტოქე, თუმცა გდება ბოლომდე შედეგიანად ვერ დაასრულა, მაგრამ ბოლოს გარედან კარგად ჩაუხვია ფეხი და უზადო მოგვერდზეც წამოკიდა.

ევროპის უცვლელ ჩემპიონს დაჯილდოების ცერემონიალის დამთავრებისთანავე დავუკავშირდით და მილოცვის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ. რადგან ჩემპიონს დოპინგკონტროლზე ეჩქარებოდა, დიდხანს არ დავაყოვნეთ და მხოლოდ მცირე კომენტარით შემოვიფარგლეთ: **- აქ წამოსვლამდე ვამბობდი, რომ მესამედ მსურდა ევროპის ჩემპიონობა. დღეს, როცა ჩანაფიქრი ავისრულე, იმდენად გახარებული ვარ, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. მოგეხსენებათ, მიკლოშ უნგვარი ძლიერი მოჭიდავეა და მასთან შარშან მსოფლიო ჩემპიონატზეც დავმარცხდი. ცხადია, ის შეხვედრა მწარედ მახსოვდა, მაგრამ ფინალში მასთან საბრძოლველად ყოველგვარი შიშის გარეშე, მოგების სურვილით ავსებული გავედი. ფინალის წინ ვხუმრობდი, მოვუგებ კი არა, მოვკლავ-მეთქი. ეს ხუმრობით, თუმცა რაღაც უნდა დამჯდომოდა, ეს შეხვედრა მაინც უნდა მომეგო. იმის მიუხედავად, რომ ძალიან ძლიერია, მსოფლიოზე მარცხისთვის ღირსეული რევანში ავიღე. ცხადია, ეს წარმატება საოლიმპიადოდაც დიდი სტიმულია და ვეცდები, პეკინშიც ისევე გავახარო ქართველი ხალხი, როგორც - დღეს.**

გუშინ, ქართულ დუბლამდე სულ ცოტა დაგვაკლდა - ნახევარფინალში ხერგიანიც გავიდა, მაგრამ იქ მომავალ ჩემპიონთან, ავსტრიელ **ლუდვიგ პაიშერთან** დამარცხდა და ნამდვილის ნაცვლად სანუგეშოს ფინალს დასჯერდა.

ნესტორმა პირველ წრეში, კარიერაში უკვე მერამდენედ, იაპონური წარმოშობის ესპანელი **კენძი უემაცუ** დაამარცხა, მეორეში - ლატვიელი **ოლეგ ფილიპოვსიც** დასცა, მეოთხედფინალში კი ჩეხი **პეტრიკოვიც** ჩამოიცილა და ნახევარფინალში პაიშერთან საჭიდაოდ გავიდა. ევროპის ჩემპიონი პაიშერი ამ წონის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია - ბოლო ორი მსოფლიო პირველობიდან მედლებით ბრუნდება. 2005-ში ფინალი გავიდა, მაგრამ **კრეიგ ფელონთან** წააგო, შარშან კი ბრაზილიაში ბრინჯაო მოიპოვა. ამას ევროპის პირველობაზე მოპოვებული რამდენიმე ვერცხლ-ბრინჯაოც დაუმატეთ და თავად მიხვდებით, რამდენად სტაბილური და ძლიერი ფალავანია. ის და ხერგიანი კარგად იცნობენ ერთმანეთს, ხშირადაც უჭიდავიათ და მეგობრობენ კიდეც. როცა ჩვენებური ბრაზილიაში, მსოფლიო პირველობის ფინალში დამარცხდა, მოსათელ დარბაზში დაბრუნებულს პირველი პაიშერი მივარდა, თან მიულოცა და თან მეგობრულად ანუგეშა. მაგრამ მეგობრობა და პიროვნული ურთიერთობები ერთია, ტატამზე კი მეტოქეები არიან და ერთმანეთისთვის საკმაოდ უხერხულნიც. ბუნებრივია, ამ ურთიერთდაპირისპირებაში ხერგიანსაც ხშირად გაუმარჯვია, მაგრამ პაიშერი მისთვის მაინც ერთ-ერთი არასასურველი მეტოქეა. სამწუხაროდ, ახლანდელი შერკინება ავსტრიელის გამარჯვებით დასრულდა, ხერგიანი კი სანუგეშოს ფინალზე გადაერთო.

ამ საპასუხისმგებლო შეხვედრაში მას ნაცნობი მეტოქე ელოდა - რუსეთის ნაკრების ლიდერი, ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **რუსლან კიშმახოვი**. უეჭველია, ხერგიანს მწარედ ახსოვდა მასთან მარცხი 2006 წელს, მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე. ხერგიანმა შეხვედრა ტრადიციულად ფრთხილად დაიწყო, მაგრამ ინიციატივას თავიდანვე დაეუფლა, რისი შედეგიც მალევე გამოჩნდა - მსაჯმა კიშმახოვი გააფრთხილა. შეხვედრის სცენარი არც ამის შემდეგ შეცვლილა - ხერგიანს აღარ გაურისკავს, მაგრამ არც დაცვაში ჩამდგარა. სიფრთხილესთან ნაზავ შემტევ სტილს ბოლომდე უერთგულა. ბუნებრივია, შეხვედრის გადასარჩენად მეტოქეც ბევრს ეცადა, მაგრამ ხერგიანმა ორთაბრძოლა წარმატებით მიიყვანა მისთვის სასარგებლო დასასრულამდე და ბრინჯაოსაც დაეუფლა.

**ამდენად, პირველი დღე წარმატებულად დავასრულეთ. ვნახოთ, როგორ გააგრძელებენ ესტაფეტას დღეს დავით ქევხიშვილი (73) და გიორგი ბაინდურაშვილი (81), ხვალ - ირაკლი ცირეკიძე (90), ლომერ ყორყოლიანი (100) და ლაშა გუჯეჯიანი (+100).**

**ირაკლი თავაძე**

| 60 კგ. |
|---|
| ლუდვიგ პაიშერი, ავსტრია |
| რუბენ ჰოუკესი, ჰოლანდია |
| ნესტორ ხერგიანი, საქართველო |
| ლავრენტის ალექსანიდისი, საბერძნეთი |
| **66 კგ** |
| ზაზა კედელაშვილი, საქართველო |
| მიკლოშ უნგვარი, უნგრეთი |
| ალიმ გადანოვი, რუსეთი |
| პედრო დიასი, პორტუგალია |

ჩოგბურთი. დევისის თასი. სლოვაკეთი-საქართველო 1:1

# 19:17, ლაბაძე ტრიუმფით დაბრუნდა

**ირაკლი ლაბაძე** ჩოგბურთში დაბრუნდა და ეს მან ტრიუმფით გააკეთა! გუშინ დევისის თასის ევრო-აფრიკული I ზონის გადამწყვეტ მატჩში, ბრატისლავის თიხნარზე, პირველები სლოვაკთა ლიდერი **ლუკაშ ლაჩკო** (151) და ირაკლი ლაბაძე (ურეიტინგო) გავიდნენ. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბოლო 16 თვის განმავლობაში უთამაშებელი ლაბაძე ამხელა წინააღმდეგობას გაუწევდა სლოვაკთა ამომავალ ვარსკვლავს. პირველი სეტის 4:6 წაგების მერე, ირაკლიმ ტაი-ბრეიკში გაათანაბრა ანგარიში. მესამე სეტი კვლავ ლაჩკოსი იყო - 3:6, თუმცა ლაბაძე ამანაც ვერ გატეხა და მასპინძელთა მხარდაჭერის მიუხედავად ლაჩკოს იოლად მოუგო მეოთხე სეტი - 6:3. ამას კი გადამწყვეტი მარათონი მოყვა, ბევრი რამ მეხუთე სეტის მე-20 (!) გეიმზე გადაწყდა, 9:10-ზე ლაბაძე საკუთარ მოწოდებაზე 0:40-ს აგებდა, თუმცა ირაკლიმ ზედიზედ სამი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მერე კი - კიდევ ერთი, უპირატესობაც მიიღო. ბრძოლა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა და ლაბაძის გამარჯვებით დასრულდა - 4:6, 7:6, 3:6, 6:3, 19:17.

მეორე მატჩისთვის კორტი 20 წლის **ნოდარ ითონიშვილს** და მსოფლიოს ყოფილ მე-12 ჩოგან **დომინიკ ჰრბატის** (199) დაეთმოთ. მოულოდნელობა აქაც შემოგვთავაზა ქართველმა ჩოგბურთელმა, რომელმაც სამივე სეტში თანაბარი ბრძოლა გაუმართა ჰრბატის - 4:6, 4:6, 4:6. ანგარიში მატჩში გათანაბრდა - 1:1. დღეს, საქართველოს დროით 16 საათზე, შესაძლოა, გადამწყვეტ მატჩია, ნოდარ ითონიშვილისა და ირაკლი ლაბაძის დუეტი **მიხალ მერტინაკს** და **ფილიპ პოლაშეკს** დაუპირისპირდება. აქ გამარჯვების შემთხვევაში ყველაფერი კვირას გადაწყდება. შეგახსენებთ, რომ სლოვაკეთ-საქართველოს მატჩში გამარჯვებულები დევისის თასის მსოფლიო ჯგუფის პლეიოფის საგზურს მოიპოვებენ.

**წუხელ ბრატისლავაში ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლეილა მესხს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.**

- საოცარი მატჩი იყო. ირაკლიმ ურთულესი ბრძოლა გადაიტანა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. აღფრთოვანებული ვართ მისი შემართებით, - თითქმის ერთი წელიწადია არ უთამაშია და რომ გაუჭირდებოდა ვიცოდით, მაგრამ ნიჭისა და ვაჟკაცური ხასიათის წყალობით გაიმარჯვა - ხუმრობა ხომ არ არის - ხუთი მატჩბოლი გადაარჩინა და იქით აჯობა მეტოქეს. ირაკლი კორტს ღირსეულად დაუბრუნდა და ჩვენც დაგვიბრუნა გამარჯვების იმედი.

**- ანუ სლოვაკების დამარცხებაზე სერიოზულად დაიწყეთ ფიქრი?**

- რა თქმა უნდა, თუკი ირაკლიმ ასევე გაგრძელა, გამარჯვება რეალურია. აღვნიშნავ, რომ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნოდარ ოთინიშვილმაც - სლოვაკთა პირველ ნომერს დომინიკ ჰრბატის ტოლ-სწორად ეთამაშა და მცირე სხვაობით დამარცხდა. ნოდარის თამაშიც გვაიმედებს და თუკი წყვილთა მატჩს ლაბაძე-ითონიშვილი მოიგებენ, ფავორიტებად ჩვენ ვიქცევით.

**- დიდი ხნის უთამაშებლობამ ძალიან ხომ არ დაღალა ირაკლი?**

- ხუთსეტიან ბრძოლაში რომ დაიღლებოდა, ფაქტია, მაგრამ მომზადება აშკარად ეტყობა, - წონა საგრძნობლად აქვს დაკლებული - ლამის იდეალურ წონაშია, აღდგენით პროცედურებსაც ჩავუტარებთ და არ გვგონია, რომ ხვალ ფორმაში არ იყოს, ახლა სწორედ მასაჟის სპეციალისტთან არის და პროცედურებს იტარებს.

**- წარმატებებს გისურვებთ, ბიჭებს ჩვენი მოკითხვაც გადაეცით.**

- დიდი მადლობა, აუცილებლად გადავცემ მოკითხვას. ეს მათთვის დიდი სტიმული იქნება.

**ზვიად შათირიშვილი,**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ირაკლი ლაბაძე

# ტატიშვილი მეოთხედფინალშია

18 წლის **ანა ტატიშვილი** ამერიკის ქალაქ ჯექსონში საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) მეოთხედფინალშია. მსოფლიოს 293-ე ჩოგანმა მეორე წრეში გერმანელ **კარმენ კლაშკას** (289) მოუგო. პირველი ორი სეტის ბედი ტაი-ბრეიკებში გადაწყდა, მესამეში კი გერმანელმა ტრავმის გამო ბრძოლა შეწყვიტა - 6:7 (4), 7:6 (4), 3:0. ტატიშვილის მიღწევა ვერ გაიმეორა 21 წლის **სალომე დევიძემ** (608), რომელმაც საკვალიფიკაციო ბადის დაძლევის მერე პირველ წრეშიც იმარჯვა. მეორე წრეში სალომე ჩეხ **მიხაელა პაშტიკოვასთან** (240) დამარცხდა - 1:6, 0:6. ჯექსონის ტურნირის მეოთხედფინალში ანა ტატიშვილი ტაივანელ **ჩინ-ვეი ჩანს** (261) შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი

# სათავეები



ლონდონის ყველა ჯანმრთელ მამაკაცს, ციხეში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად ეკრძალება შემდეგი გართობანი: ფეხბურთი, ქვების სროლა, კატაპულტის მეშვეობით ხისა და რკინის საგნების ტყორცნა და სხვა ამგვარი ფუქსავატური და უსარგებლო თამაშებით გართობა. დამტკიცებულია მისი უდიდებულესობის ბეჭდით. ედუარდ III, 1369 წლის 12 ივლისი.

რიჩარდ მეორე კი 1389 წლიდან ფეხბურთელებს სიკვდილითაც სჯიდა. მოგეხსენებათ, ვატიკანშიც თამაშობენ ფეხბურთს. ამას თავისი ახსნა გააჩნია. მსოფლიოში პირველი წიგნი ფეხბურთზე ხომ ფრანგული მონასტრის წინამძღვარმა რიუსკერმა დაწერა 1395 წელს და მისი მწვრთნელობით ბევრი ბერი სპორტის ამ სახეობაში დაოსტატდა.

წიგნი, რომელშიც მოთხრობილია ფეხბურთის შესახებ, შეთხზა იტალიელმა ჯოვანი და ბარდომ 1580 წელს და მისი სათაური, რა თქმა უნდა, არის "საუბრები ფეხბურთის თამაშის საობაზე".

შემორჩენილია გამოსახულება (ანტიკური საბერძნეთი IV ს. ძვ.წ.ა.), სადაც აშკარად ფეხბურთელები არიან გამოსახულნი. ბუნებრივია, იმდროინდელ ასპარეზობებს სპორტის ამ სახეობაში თავისი სპეციფიკა ჰქონდა: მოედანი საკმაოდ მაღალი გვიმრისმაგვარი ბალახითაა დაფარული, ბურთი არც თუ მრგვალია და, რაც მთავარია, ფეხბურთელები... შიშვლები არიან!

ალკოჰოლი რომ სპორტის მტერია, ყველამ იცის, მაგრამ ძალიან ცოტას თუ ეცოდინება, რომ პირველ ფეხბურთელებს (ან უფრო ზუსტად, ფეხბურთის მსგავსი თამაშის ძიუ-ნიუს ოსტატებს), გამარჯვების შემდეგ ჩინეთის იმპერატორი თასში ჩასხმული ღვინით უმასპინძლდებოდა (2697 წ. ჩვ.წ.ა.). მოდი, ახლა ნუ შესვამ!

მსოფლიოში უძველესი ბურთი ხუთი საუკუნის წინათ არის შეკერილი. მისი კამერა ღორის შარდის ბუშტისგანაა დამზადებული, ხოლო ტყავი ირმისაა. სპორტინვენტარი ინგლისის შოტლანდიელ დედოფალს მარიამ სტიუარტს ეკუთვნოდა. ძნელი სავარაუდოა, რომ გვირგვინოსანს თავად ეთამაშა, მაგრამ აი, მსაჯობას ნამდვილად შეძლებდა.

საფეხბურთო მატჩის პირველი კომისარი გახლდათ ინგლისის მეფე ჩარლზ II. მისი წყალობით ნება დაერთო სამეფო ყმებს ეთამაშათ გრაფ ალბერ შეილის ყმების წინაალმდეგ. მატჩის შემდეგ თვითმპყრობელი მიხვდა, რომ თამაში ფრიად სასარგებლოა ახალგაზრდების ჯანმრთელობისთვის და ამიტომ ფეხბურთს დევნილის სტატუსი მოეხსნა. ჭკვიანი კაცი ყოფილა ჩარლზ II.

თანამედროვე საფეხბურთო ბურთის მამად ეჭვგარეშეა ითვლება მისტერ მაკინტოში (სხვათა შორის შოტლანდიელი). მან შექმნა წყალგაუმტარი ბურთი რეზინის კამერით. ბურთი შეკერილი იყო საგანგებოდ დამზადებული ტყავის 18 ნაჭრისგან, რომელთაც ხელით კერავდნენ. სხვათა შორის, დღევანდელი ტექნოლოგიების მიუხედავად, ბურთების დამზადებისას ბოლო ნაკერს მაინც ხელით კერავენ!



ლივერპული არა მარტო "ბითლზების" სამშობლოა, არამედ საფეხბურთო ბადისაც. ფეხბურთიზაციის ერის დასაწყისში, საფეხბურთო კარები შედგებოდა ორი ბოძისა და მათ შორის გაბმული თოკისგან. ბადის გამოჩენას ხელი შეუწყო... დოყლაპია მსაჯმა. მეთევზეთა ინვენტარით ერთ-ერთი მოვაჭრის საყვარელმა გუნდმა მეტოქის კარში ბურთი გაიტანა, რეფერიმ კი ეს ვერ შენიშნა. გამძვინვარებულმა გულშემატკივარმა მსაჯს სათვალის შეძენა ურჩია, მოედანზე კი მისი მეცადინეობით კარებზე დაამაგრეს თევზის საჭერი ბადე (სხვათა შორის, ხარიხასთან ერთად). ეს ყოველივე 1891 წელს მოხდა.

საფეხბურთო ბადეების ყველაზე ცნობილი ინგლისური ფირმა "ბროდი" გახლავთ. ბროდების ოჯახი სამშობლოს XIII საუკუნიდან ემსახურება - მეფე ჯონსს ამარაგებდა საბორდაჟო კიბეებით, შემდგომში კი "უემბლის" სტადიონს კარის ბადეებით.

"თავისუფალი ქვისმთლელების" დუქანში ფეხბურთის წესების დამდგენთა ისტორიული კრება 1863 წელს შედგა. ბურთაობა ორად გაიყო - ფეხბურთად და რაგბად. ფეხბურთის საწინააღმდეგო არგუმენტები ასეთნაირად ჟღერდა: "თუ ჩვენ მარტო ფეხებით ვითამაშებთ, ფრანგებიც კი მოგვიგებენ!" სხვათა შორის, პროტესტანტების ვარაუდი 135 წლის შემდეგ გამართლდა!

ღირსსახსენებელი ანტიფანე, უდავოდ მსოფლიოში პირველი სპორტული კომენტატორია. აი, მისი რეპორტაჟი: "მოთამაშემ ბურთი თავის პარტნიორს გადააწოდა. ამან წინ, გვერდით მდგომს. სხვები ამ დროს გაჰკივიან: მომე! მიდი! უკან! სად ეტენები?!" (ძველი საბერძნეთი 386 წელი ჩვენ წელთაღრიცხვამდე). ამ ბრწყინვალედ აღწერილ ეპიზოდში ნათლად მოჩანს, რომ 24 საუკუნის წინათ, თავდამსხმელი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა!

საფეხბურთო წესების პირველი შემდგენელი იყო XIX საუკუნის მღვდელმსახური ჯონ ტრინგი. იგი აპენჰეიმის სკოლის დირექტორი გახლდათ და მისი დაწერილია "სასკოლო ღირსების კოდექსი".

**ალექსანდრე ჯინორია**

*გაგრძელება იქნება*

იყო ასეთი შემთხვევა

## რომაელები აღშფოთდნენ

ბევრის მნახველ რომაელებს თუ რაიმე გააოცებდა, ძნელი წარმოსადგენი იყო. ისინი დიდ ინტერესით მოელოდნენ ბერძენთან მონაწილეობით რომში პირველი ოლიმპიური თამაშების გამართვას (186 წ. ძვ. წ). რომაელთა გაოცება და აღშფოთება უსაზღვრო იყო, როცა მათ სარბიელზე საასპარეზოდ გამოსული ათლეტები შიშველი იხილეს. ეს ის დრო იყო, როცა საბერძნეთში უკვე ათლეტთა დედიშობილა ასპარეზობა წესად იყო დამკვიდრებული.

## საკუთარ თავზე, სხვებზე, სპორტზე

"როცა არ მძინავს, ცხენზე ვზივარ" - თქვა ცხენოსნობაში საფრანგეთის ნაკრები გუნდის მხედარმა **ერიკ ნავემ**, რომელიც ქვეყნის ნაკრებში 1990 წელს სტოკჰოლმში მსოფილო ცხენოსნური თამაშების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩარიცხეს საკუთარი ცხენით და... ოქროს 2 მედალი მოიგო.

ალაგირდას შოციკასი: "სპორტის ყველა სახეობიდან კრივმა შემოინარჩუნა მამაკაცური ორთაბრძოლის თავდაპირველი შინაარსი. ვერც ერთი სხვა სახის შერკინება, იქნება ეს სამბო, ძიუდო თუ კარატე, ვერ დაიკვეხნის ასეთი უპირატესობით".

მიშელ პლატინი: "ფეხბურთი ბიზნესი კი არა, ემოციებია".

"უეფა ჩემთვის კომპანია კი არა, ფეხბურთის სახლია".

ჟოაო აველანჟი (ფიფას ყოფილი პრეზიდენტი): "ვინ არის ჩემი იდეალი ფეხბურთში? რა თქმა უნდა, **პელე**. ის ყველაზე საუკეთესოა. თანამედროვეთაგან კი საუკეთესო **ზინედინ ზიდანია**.

## კვიმატი ობიექტივი



რას არ გაიგებ

## იტალიაში ცხენებს ვიაგრას აძლევენ

დოლები, რომ მოეგოთ და ქარზე უსწრაფესები ყოფილიყვნენ, სხვადასხვა დროს ცხენებს რას არ აძლევდნენ: სტიმულატორებს სუნთქვისთვის, ანაბოლიკებს, სხვა პრეპარატებს. ალბათ, გსმენიათ, ვიაგრას შესახებ, რომელიც მამაკაცებში იმპოტენციის დროს საკმაოდ ეფექტური პრეპარატია, ხოლო ცხოველების ორგანიზმში გვევლინება, როგორც გულსისხლძარღვთა და სასუნთქ ორგანოთა ძლიერი სტიმულატორი. და, აი საოცარება, ვიაგრით გაჭყეპილი ჯაგლაგი უმალ ბედაურად მოგვევლინება, რომელიც მზად არის "იფრინოს" სადოლე წრეზე.

იტალიის განსაკუთრებული ქვედანაყოფის კარაბინიერებმა აღმოაჩინეს და "ამოქოლეს" ცხოველებისათვის განკუთვნილი დოპინგის შემოტანის არხი. მათ დააპატიმრეს 25 ადამიანი, გამოვლენილია დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელსაც დოპინგის შემოტანის გარდა, ბრლად ედება არალეგალური დოლების მოწყობა, გაყალბებული რეცეპტების გამოწერა და აკრძალული პრეპარატების წარმოება.

ჟოკეებისა და მწვრთვნელების გარდა, დაპატიმრებულთა შორის აღმოჩდნენ პირონვენებები, რომლებიც საზოგადოებაში არავითარ ეჭვს არ იწვევდნენ: აფთიაქარები, ფარმაცევტები, ექიმები და სანიტარებიც კი. ამოღებულია ანტიდოპინგური სააგანტოს მიერ აკრძალული სამედიცინო პრეპარატების 10 ათასი შეკვრა. კონფისკიცირებულია 82 ცხენი.

მარილიანოში დახურულია არალეგალური იპოდრომი, ნეაპოლთან ახლოს 30 ათას კვადრატულ მეტრზე განთავსებული იყო სადოლე წრე, ტრიბუნები, ბოქსები 80 ცხენზე, ავტოსტარტი, სამსაჯო კოშკურა და ავტოსადომი. ამ იპოდრომის ხშირი სტუმრები ცხენოსნობის მოყვარულთა გარდა იყვნენ არალეგალური ტოტალიზატორების ორგანიზატორები და ფსონების დამდებები.

არის შეშფოთების კიდევ უფრო დიდი სბაბი ვიდრე ეს უკანონო დოლებისა და ტოტალიზატორების მოწყობაა. "ცხენებში აკრძალული ფარმაკოლოგიური პრეპარატები იწვევს მათი ორგანიზმის გამოფიტვას და სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ მათ პირდაპირ უთმობდნენ საყასბოებს "- აზუსტებენ იტალიელი პროკურატურის გამომძიებლები.

## კროსვორდი

თარაზულად: 1. ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე, მუჰამედ... 3. მოსკოვის ტანმდები ქალაქი 1980 წ. ოლიმპიადის მასპინძლობაში; 8. კომპლექსური სპორტული ღონისძიება, რომელიც უკავშირდება მონათა აჯანყების ხემლძლვანელის სახელს; 11. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 12. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით); 14. ცნობილი რუსი საფეხბურთო მსაჯი საბჭოთა პერიოდში; 16. ავიაკატასტროფაში დაღუპული ტაშკენტელი ფეხბურთელი; 17. პარტია ჩოგბურთში; 18. სოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი, ლორდი.

შვეულად: 2. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი; 4. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა თბილისში; 5. საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით); 6. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 7. ხელბურთის სამშობლო ქვეყანა; 9. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 10. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ვეტერანი მეკარე, მსოფლიოს ჩემპიონი; 13. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის დადგენილი რაოდენობა; 15. ლეგენდარული მოკრივე ლასლო... 16. მთამსვლელ გიგანის სახელი.




**წინა გამოშვების კროსვორდის პასუხები**

თარაზულად: 1. იოტა, 3. ფალიანი, 7. იური, 8. ფიცარნაგი, 10. დიუსელდორფი, 12. ნბა, 13. ბა, 16. ხურცილავა, 20. კოე, 21. პა, 22. ორძელი, 23. ტუა, 24. ოდა, 25. ლი, 26. ფინიში.

შვეულად: 1. ისინდი, 2. ტარტუ, 4. "ლაციო", 5. "ნანტი", 6. "მგლები", 9. გელერი, 11. ფორვარდი, 14. ახმეტა, 15. ტოკიო, 17. ისარი, 18. პაიკი, 19. სეტი.

## თქვენთვის, ერუდიტებო

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატები**

**1. ვინ იყო პირველი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული?**
ა - არგენტინა
ბ - ურუგვაი
გ - ბელგია

**2. რამდენი გუნდი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ჩემპიონატში?**
ა - 16 გუნდი
ბ - 18 გუნდი
გ - 24 გუნდი

**3. დაასახელეთ მესამე მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი**
ა - ჟენგელერი (უენგრეთი)
ბ - პიოლა (იტალია)
გ - ლეონიდასი (ბრაზილია)

**4. სად გაიმართა მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატი და რომელ წელს?**
ა - საფრანგეთში, 1938 წ.
ბ - ბრაზილიაში, 1950 წ.
გ - შვეიცარიაში, 1954 წ.

**5. ვინ ითამაშა მეხუთე ჩემპიონატის ფინალში?**
ა - გფრ-მა და უნგრეთმა
ბ - ავსტრიამ და უნგრეთმა
გ - ურუგაიმ და გფრ-მა

პასუხები: 1 - ბ, 2 - ა, 3 - გ, 4 - ბ, 5 - ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. დღეს. 11:00. რუსეთი-საქართველო

# რუსები და ქართველები ევროპის ერთა თასისთვის

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები კრასნოიარსკში, რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ საჩემპიონო თამაშს ძირითად გარემარბის, **გიორგი შკინინის** გარეშე დაიწყებს. შკინინმა ტრავმა ვერაფრით მოირჩინა და მისი თამაში საერთოდაც სათუოა. მას ლელოელი **ალექსანდრე თოდუა** შეცვლის.

სხვა მხრივ განწყობა საბრძოლოა. ერთი ეგაა, ბიჭები უამინდობას და საკმაოდ მძიმე აკლიმატიზაციის პროცესს უჩივიან. შემადგენლობა გამოაცხადა რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა **კლოდ სორელმა**. 22 კაცი თითქმის იგივეა, რაც რუმინელების წინააღმდეგ გამართულ მოგებულ შეხვედრაში - 12:8 დაამარცხეს. ოცდაორკაციან შემადგენლობაშია ვეტერანი **ვიაჩესლავ გრაჩოვი**, რომელიც ამჟამად ფრანგული „პოს" ღირსებას იცავს. თუმცა სორელმა რუსების ყველაზე გამოცდილ მორაგბეს ძირითადში ადგილი მაინც ვერ ანდო.

შეგახსენებთ, რომ დღევანდელი დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის რიგით მეთორმეტეა. თერთმეტ შეხვედრაში კი ბორჯღალოსნებმა ცხრაჯერ მოუტანეს სიხარული რაგბის ქართველ ქომაგებს, ერთი მატჩი ფრედ დასრულდა და ერთიც, 15 წლის წინათ რუსებმა მოიგეს.

ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივ არხზე იხილავთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**რუსეთი-საქართველო**

საქართველო: 15.ოთარ ბარკალაია, 14.ირაკლი ჩხიკვაძე, 13.დავით კაჭრავა, 12.რეზო გიგაური, 11.ალექსანდრე თოდუა, 10.ლაშა მალაღურაძე, 9.ირაკლი აბუსერიძე (კაპ); 1.გოდერძი შველიძე, 2.ირაკლი ნატრიაშვილი, 3.დავით ქუბრიაშვილი, 4.კახაბერ უჩავა, 5.მამუკა გორგოძე, 6.რატი ურუშაძე, 7.გიორგი ჩხაიძე, 8.დიმიტრი ბასილაია. /16.დავით დადუნაშვილი, 17.სიმონ მაისურაძე, 18.გიორგი ნემსაძე, 19.შალვა სუთიაშვილი, 20.ბიძინა სამხარაძე, 21.მერაბ კვირიკაშვილი, 22.გიორგი შკინინი.

რუსეთი: 15.იგორ კლუჩნიკოვი, 14.ანდრეი კუზინი (კაპ), 13.იგორ გალინოვსკი, 12.ვიქტორ გრესევი, 11. ალექსანდრ გვოზდოვსკი, 10.იური კუშნარიოვი, 9.ალექსანდრ შაკიროვი; 1.ალექსანდრ ხროკინი, 2.ვლადისლავ კორშუნოვი, 3.ალექსეი ჩერნიშოვი, 4.ვალერი ფედჩენკო, 5.კირილ კულემინი, 6.ანდრეი ოსტრიკოვი, 7.ანდრეი გარბუზოვი, 8.ალექსეი პანასენკო. / 16.ვლადიმირ მარჩენკო, 17.ვლადიმირ ბოტვინიკოვი, 18.ევგენი მატვეევი, 19.ვიაჩესლავ გრაჩოვი, 20.ვიქტორ მოტორინი, 21.მიხაილ ბაბაევი, 22.სერგეი ტრიშინი.

მსაჯი: ფრანკ მასიელო (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 8 | 7 | 0 | 1 | +170 | 14 |
| 2.რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | +133 | 14 |
| 3.რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +125 | 12 |
| 4.პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| 5.ესპანეთი | 9 | 3 | 0 | 6 | -9 | 6 |
| 6.ჩეხეთი | 9 | 0 | 0 | 9 | -401 | 0 |

**19 აპრილი**

ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**

საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**

ესპანეთი-პორტუგალია

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. პრესკონფერენცია

# პირველად სპორტის სასახლეში: ავია-ენერჯი

კვირას, მიმდინარე ჩემპიონატის ორი ფავორიტი "ენერჯი და "ავიამშენი", ერთმანეთს სპორტის სასახლეში დაუპირისპირდება. ეს გუნდები ამ სეზონში ერთმანეთს მხოლოდ რუსთაველისა და ვერის ბალში ხვდებოდნენ, სპორტის სასახლეში კი პირველად გაეჯიბრებიან. კვირის მატჩთან დაკავშირებით, გუშინ კლუბ "12 მაგიდაში" პრესკონფერენცია მოეწყო.

"ენერჯის" თავკაცმა, დავით უსტიაშვილმა საუბარი სასიამოვნო თემით დაიწყო - **ტრავმირებულები არა გვყავსო.** - ლაშა გამყრელიძემ ფეხი საბოლოოდ მოირჩინა და იგი ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება. სადღეისოდ ცხრილში პირველ ადგილზე ვართ და დარჩენილ 6 ტურში რაც უნდა მოხდეს, ლიდერობას მაინც შევინარჩუნებთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოტივაცია დაგვაკლდება. მოედანზე წასაგებად არასოდეს გავსულვართ და "ავიასთან" მატჩის მოგებასაც ვაპირებთ. სხვა კლუბების დარად, თავისი პლუსები "ავიამშენსაც" აქვს, მაგრამ ვეცდებით მეტოქეს არაფერი დავუთმოთ.

**დაისვა კითხვა ანატოლი ბოისას შესახებაც:** - ბოისა სეზონის ბოლომდე არ ითამაშებს. მან დისციპლინა დაარღვია და ამის გამო დაისაჯა.

"ენერჯის" უკანახაზელი **ბესიკ ლეჟავა** საინტერესო ბრძოლას დაგვპირდა: - ამ შეხვედრაში გამარჯვების ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გვინდა მოგებათა სერია გავზარდოთ. შეხვედრა დაძაბული იქნება და ქომაგს ვურჩევ, არ გამოტოვოს.



კოტე ტულუში



დავით უსტიაშვილი

**ტრავმებს გვერდი ვერ აუარა "ავიას" მეორე მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ:** - დღეს ფეხის სერიოზული ტრავმა მიიღო **დავით იმნაძემ**. როდის დაგვიბრუნდება ჯერ არ ვიცით. მცირე ტრავმები აქვთ **ირაკლი ხოშტარიასა** და **გიორგი ნიკოლაძეს**. ისინი კვირას მოედანზე იქნებიან და შეძლებისდაგვარად დაგვეხმარებიან. გუნდი ამჟამად ფიზმომზადებას გადის და ვცდილობთ პლეი ოფისთვის ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგეთ. თუმცა, რეგულარულ ჩემპიონატშიც არ ვაპირებთ ვინმესთვის რამის დათმობას, "ენერჯი" იქნება, თუ "მაკაბი", ყველასთან ბოლომდე ვიბრძვით. გვინდა პირველი ეტაპი მეორე ადგილზე დავასრულოთ. ამისთვის ზეგ "ენერჯის" ძლევა აუცილებელი იქნება.

**მწვრთნელს დაეთანხმა "ავიას" გამთამაშებელი კოტე ტულუში:** - ამ თამაშის მოგება ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსთაველთათვის. მათ პირველი ადგილი დაბევებული აქვთ, ჩვენ კი პლეი ოფში გასვლის საკითხი საბოლოოდ არ გადაგვიწყვეტია. ვფიქრობ, საინტერესო მატჩი გამოვა, შედეგზე კი შეხვედრის შემდეგ თამამად ვისაუბრებ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

წყალხტომა

# მეექვსე რჩეულთა შორის

მოსკოვში დასრულდა მსოფლიო გრან პრის მესამე ეტაპი. საქართველოს წყვილი **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილი** სინქრონულ ხტომებში 22 რჩეულ წყვილ შორის ფინალურ ჯგუფში გავიდა და საბოლოოდ VI ადგილს დასჯერდა. თუ ვიტყვით, რომ ჩვენებმა წინ მხოლოდ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო დაევროპის პირველობებში თავგამოჩენილი ქვეყნების წარმომადგენლები გაუშვეს, VI ადგილი წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. დავძენთ, რომ ჩვენი ბიჭები ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მოასპარეზეები იყვნენ. კორახაშვილი 16 წლისაა, ჭანტურია – 18. ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთი; 2. ჩინეთი; 3. უკრაინა; 4. საბერძნეთი; 5. გერმანია; 6. საქართველო.

# მეათედი ორმაგ დუბლამდე



სერგო ათუაშვილი

**სერგო ათუაშვილის** ტტუ-მ ესტონეთის ჩემპიონატში 34-ე შეხვედრა ჩაატარა. ტტუ-ელებმა ამჯერად "დალკიას" მისსავე მოედანზე გაუმართეს ფიცხელი ბრძოლა და 28-ედ დამარცხდნენ - 77:84.

სერგოს თანაკლუბელები ბოლო მეოთხედში შეეცადნენ თამაშის შემოტრიალებს, პერიოდი მასპინძლებს 26:12 მოუგეს, მაგრამ გამარჯვებისთვის საკმარისი ესეც არ აღმოჩნდა.

ათუაშვილმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, მაგრამ "დალკიასთან" მხოლოდ 18 წუთი ითამაშა. ქართველმა ცენტრმა ეს დრო უქმად არ გაატარა, 6 ქულა (2-2 ორქულიან იდა საჯარიმო გამოიყენა), 9 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ტტუ-ს სნაიპერი 11 ქულით რონალდ რანდომა გახდა.

"დალკიასთან" შეხვედრა სერგოსთვის ტტუ-ს მაისურით მე-9 იყო. იგი საშუალოდ 24.8 წუთში 12.6 ქულასა და 9.9 მოხსნას აგროვებს. იმედი დავიტოვოთ, რომ დარჩენილ მატჩებში ათუაშვილი მოხსნების რაოდენობასაც ორნიშნა რიცხვით გამოსახავს და მისი საშუალო მონაგარი ორმაგ დუბლს გაუტოლდება. მომდევნო მატჩს ტტუ **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკთან" გამართავს.

ბოლოს დავძენთ, რომ სერგოს გუნდი სადღეისოდ მე-10 ადგილზეა (10 გუნდიან ჩემპიონატში). მას თითო მოგებით უსწრებენ "რაკვერე" და "კრაფტი".

აქვე მოგახსენებთ **მანუჩარ მარკოიშვილზე**, რომელიც "კიევთან" ერთად სლოვენიაში გადის შეკრებას. კოჭის ტრავმის გამო მანუ ინდივიდუალურად ვარჯიშობს და "მერკატორთან" ამხანაგურ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. უკრაინელებმა მეტოქე ქართველის გარეშეც იოლად დაამარცხეს - 94:56.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი. U 10

# ეროსის ხუმრობისა არ იყოს

ეროსი მანჯგალაძის თქმისა არ იყოს, ჩვენც მისი ერთი ცნობილი ხუმრობის მაგვარი რამ გამოგვივიდა: ვნერდით, საქართველოს 10 წლამდე გოგონათა და ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატზე გუშინ ბოლოსწინა - მერვე ტური უნდა გამართულიყო, სინამდვილეში კი ჩემპიონატი 11 ტურად ტარდება, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა - აქამდე ტრადიციულად 9 ტურში არკვევდნენ ურთიერთობას. ისე გამოგვივიდა, როგორც ეროსიმ იხუმრა ერთ-ერთი რადიორეპორტაჟის დროს - ორი გოლი შემონახული მქონდა თქვენთვის, პატივცემულო გულშემატკივრებო...

ბიჭებში ლიდერი გამოიკვეთა - **მამუკა ანთაძემ ალექსანდრე პანასენკო** დაამარცხა და 7 ქულა დააგროვა. ანთაძეს ნახევარქულიანი ჩამორჩენით ერთბაშად ხუთი მეტოქე ჩაუდგა კვალში: **ნოდარ მანაგაძე, ნიკა ლამბერია, ვახტანგ ჩაჩხიანი, ნოე თუთისანი** და **ალექსანდრე ურდულაშვილი**. 6 ქულა სამ მონაწილეს აქვს - **ლუკა გულიას, ლუკა ლიჩელსა** და **ალექსანდრე პანასენკოს**.

გოგონებში ორხელისუფლებიანობაა: **ნინო დახუნდარიძე** და **თინათინ ლალაძე** 7 ქულით ლიდერობენ. მათ 6.5 ქულით მხოლოდ ერთი მდევარი ჰყავთ - **ნინო ხომერიკი**. ასევე ერთია 6-ქულიანი მონაწილე - **სოფო ცაბაძე**. 5.5 ქულა ოთხ მოჭადრაკეს აქვს.

**ზვიად შათირიშვილი**

# მძლეოსნობას ზუგდიდში მხარდამჭერები ჰყავს

ბოლო წლებში ხშირად გაისმის საყვედურები ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებისა და მომეცადინეთა კონტინგენტის შემცირებასთან დაკავშირებით. რეფორმა მართლაც მტკივნეული გამოდგა, მაგრამ სადაც მოინდომეს, გამოსავალიც მოიძებნა. მთავარ კრიტერიუმად ისევ რჩება ადრები და ბაზები. ზუგდიდის მაგალითზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ იქ, სადაც კადრია, სპორტული ბაზა მოუგვარებელ პრობლემად არ მიაჩნიათ. მთელი ზუგდიდსა და რეგიონში კარგად იცნობენ მძლეოსნობის სპეციალისტს გიგლა ქაძანაიას, რომელიც თავის რდოზე თავდა იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომებში, ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მწვრთნელად მუშაობს და მძლეოსანთა არაერთი თაობა ალზარდა.



გიგლა ქაძანაია

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის მეპატრონეები, ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელს მხარში უდგანან. მომეცადინეებისთვის მუდამ ღიაა სპორტული სარბიელის კარი. მეტიც, მწვრთნელს დაპირდნენ, რომ 250-მეტრიან თანამედროვე სარბენ ბილიკსაც მოუწყობენ. ასაკის მიუხედავად, - **გიგლა ქაძანაია 70 წლისა** გახდა, მწვრთნელი ზუგდიდის მძლეოსანთა ნაკრებსაც უდგას სათავეში და სისტემატურად გამოჰყავს შეგირდები საქართველოს თუ რეგიონულ პირველობებში.

*"მადლობა ყველას, ვინც თავს მოვალედ თვლის დაეხმაროს მოზარდებს, მისცეს მათ სპორტში თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ასეთი მხარდაჭერა ზუგდიდში მძლეოსნობის ტრადიციების შენარჩუნებისა და გამდიდრების მყარ გარანტიას იძლევა".* - ამბობს მძლეოსანთა ვეტერანი ალმზრდელი გიგლა ქაძანაია.

*ლელოს კორესპონდენტი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA. რეგულარული

**დალასი–იუტა 97:94**

24:15, 23:25, 20:26, 30:28

დ: ნოვიცკი (32), ტერი (21), ბასი (14).
ი: ოქური (19+14 მოხსნა), უილიამსი (18+12 პასი), კირილენკო (15), ბუზერი (10).

**გ. სტეიტი–დენვერი 105:114**

37:22, 23:39, 22:28, 23:25

გ-ს: ელისი (29+5 ჩაჭრა), დევისი (20+10 მოხსნა+11 პასი), პარინგტონი (20), ჯექსონი (18), ბიედრინსი (11+19 არლქრპრგ).
დ: აივერსონი (33+9 პასი), ენტონი (25+5 ჩაჭრა), სმიტი (24), ნახერა (10).

**კლივლენდი–ლეიკერსი 78:106**

25:27, 17:24, 19:22, 17:33

კ: ბრენდი (23+7 მოხსნა), ტორნტონი (22+10 მოხსნა), პარკერი (12).
ლ: უოლტონი (18), ბრაიანტი (16), ოდომი (14+13 მოხსნა).

კალათბურთი

## სპურსს ჯინობილი გამოაკლდა

"სან ანტონიო სპურსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **მანუ ჯინობილიმ** "ფინიქსთან" მატჩში საზარდულის ტრავმა მიიღო. ამის გამო, არგენტინელ კალათბურთელს დღეს "სიეტლთან" მატჩის გამოტოვება მოუწევს. არ არის გამორიცხული, რომ ჯინობილიმ "ლეიკერსთან" ორშაბათის შეხვედრისთვისაც ვერ მოასწროს გამოჯანმრთელება.

*"არ ვიცი, რამდენი ხანი ვერ შეძლებს თამაშს ჯინობილი. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის უახლოეს ორ ტურში ვერ დაგვეხმარება"*, - ამბობს "სან ანტონიოს" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი.**

## ბინუმი ვერც პლეიოფს დაიწყებს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** ისევ ვერ ახერხებს მოედანზე დაბრუნებას. სავარაუდოდ, ახალგაზრდა კალათბურთელი რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურებში აპირებდა პარკეტზე გასვლას, მაგრამ ექიმებმა მას ამის ნება არ დართეს. უფრო მეტიც, ბინუმი ვერც პარტნიორებთან ერთად ვარჯიშობს და პლეიოფის პირველ მატჩებში მისი თამაში დიდ ეჭვს იწვევს.

*"ენდრიუ სარეაბილიტაციო კურსს აგრძელებს. მისთვის, ჯერჯერობით, მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშებია ნებადართული"*, - აცხადებს "ლეიკერსის" წარმომადგენელი.

როგორც ცნობილია, ბინუმს ფეხის მძიმე ტრავმის გამო, რეგულარულის ნახევარზე მეტის გამოტოვება მოუწია.

## ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**მონრეალი (1)–ბოსტონი (8) 4:1**

2:1, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ს. კოსტიცინი-1 (ბრისბუა-1), 2:0 ა. კოსტიცინი-1 (პლეკანეცი-1), 2:1 პნიდი-1 (ფერენსი-1, კესელი-1), 3:1 სმოლინსკი-1 (კოსტოპულოსი-1, კომისარეკი-1), 4:1 კომისარეკი-1 (ლაპიერი-1, შტრაიტი-1).

**სერია 1:0**

**დასავლეთი**

**დეტროიტი (1)–ნეშვილი (8) 3:1**

1:0, 0:1, 2:0

გოლები: 1:0 ფრანცენი-1 (პუდლერი-1, კრონვალი-1), 1:1 ტუტუ-1 (ზენონი-1, შ. უებერი-1), 2:1 ზეტერბერგი-1 (დაციუკი-1, ლიდსტრიომი-1), 3:1 ზეტერბერგი-2 (დრეიპერი-1).

**სერია 1:0**

**სან ხოსე (2)–კალგარი (7) 2:0**

0:0, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 პაველსკი-1 (ვლასიჩი-1, მარლო-2), 2:0 ტ. მიტჩელი-1 (მ. მიხალეკი-1, რივე-1).

**სერია 1:1**

**ანაჰაიმი (4)–დალასი (5) 0:4**

0:2, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 ოტი-1 (რობიდასი-1, მორროუ-1), 0:2 ლ. ერიქსონი-1 (ბ. რიჩარდსი-1, რობიდასი-2), 0:3 ი. ლეჰტინენი-1 (რიბეირო-1, მორროუ-2), 0:4 მორროუ-1 (რიბეირო-2, ი. ლეჰტინენი-1).

**სერია 0:1**

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# ამერიკას ახალგაზრდული გუნდი ჰყავს

კანადის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ნაკრების ძირითადი ბირთვი ამერიკის ნაკრების ხელმძღვანელობამაც შეარჩია. ამ შემთხვევაშიც, გუნდში ის ჰოკეისტები მოხვდნენ, რომელთა კლუბებიც სტენლის თასის გათამაშებაზე ვერ გავიდნენ.

ამერიკელთა შემადგენლობაში NHL-ის წლევანდელი სეზონის სამი დებიუტანტია (**კეინი, მიულერი და გილბერტი**), ხოლო გუნდის საშუალო ასაკი 23.9 წელს შეადგენს. 27 აპრილს, **ჯონ ტორტოლერას** შეგირდები პორტლენდში საწვრთნელ შეხვედრას შვედეთის ნაკრებთან გამართავენ.

ჯერჯერობით, აშშ-ის ნაკრებში 17 ჰოკეისტი ირიცხება:

**მეკარეები:** კრეიგ ანდერსონი ("ფლორიდა");

**მცველები:** ტომ გილბერტი, მეტ გრინი (ორივე - "ედმონტონი"), ჯეიმს ვიშნიევსკი, დასტინ ბაფლინი (ორივე - "ჩიკაგო"), კეიტ ბალარდი ("ფინიქსი");

**თავდამსხმელები:** დევიდ ბექსი, ლი სტემპნიაკი (ორივე - "სენტ ლუისი"), დასტინ ბრაუნი, პატრიკ ო'სალივანი (ორივე - "ლოს ანჯელესი"), ჯეფ ჰალპერნი ("ტამპა ბეი"), დრიუ სტეფორდი, ჯეისონ პომინვილი, პოლ გოსტადი (ყველა - "ბაფალო"), პატრიკ კეინი ("ჩიკაგო"), პიტერ მიულერი ("ფინიქსი"), დევიდ ბუტი ("ფლორიდა").

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი

# კალათბურთი კორტზე

საინტერესო გადაწყვეტილება მიიღეს ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (WNBA) ხელმძღვანელებმა. ჩოგბურთში 2008 წლის აშშ-ის ღია პირველობის წინ, Flushing Meadows-ს საჩოგბურთო არენის ცენტრალურ კორტზე WNBA-ს რეგულარული ჩემპიონატის მატჩი გაიმართება.

ეს იქნება ქალთა ლიგის ორი გუნდის, "ნიუ იორკისა" და "ინდიანას" დაპირისპირება, რომელიც 19 ივნისს **არტურ ეშის** სახელობის კორტზე ჩატარდება.

აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ საჩოგბურთო კორტი კიდევ ერთ საკალათბურთო შეხვედრას უმასპინძლებს. ამჯერად ეს იქნება NBA-ის გუნდების მატჩი. 11 ოქტომბერს, ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან "ფინიქს სანზი" და "დენვერ ნაგეტსი". შეხვედრა ინდიან უელსში გაიმართება, იმ არენაზე, რომელზეც ცოტა ხნის წინ, ATP-ის "მასტერსი" ჩატარდა.

**გიორგი თვალია**



ფლეშინგ მედოუ

მძლეოსნობა. ჯონსის საქმე

# მერიონის თანაგუნდელებიც დასაჯეს




ჯონსმა (მარჯვნიდან მეორე) თანაგუნდელებიც დაალალატა

**მერიონ ჯონსის** მიერ დოპინგის გამოყენების აღიარება მის თანაგუნდელებსაც ძალიან ძვირად უჯდებათ – ამერიკელ ქალ სპრინტერებს, რომლებმაც სიდნეის ოლიმპიადაზე, 4x400 მეტრზე ესტაფეტაში ოქროს, ხოლო 4x100 მეტრზე ესტაფეტაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, თავიანთი ნადავლის უკან დაბრუნება მოუწევთ.

ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ის) აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო, რომელმაც აშშ-ის ოლიმპიურ კომიტეტს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნულ ესტაფეტებში ამერიკელთა მიერ მოპოვებული მედლების დაბრუნებაა მოთხოვნილი.

ჯონსი პირველი ქალი მძლეოსანია, რომელმაც ერთ ოლიმპიადაზე ხუთი მედლის (მათ შორის, სამი ოქროსი) მოპოვება შეძლო. მაგრამ შარშან თავადვე აღიარა, რომ სიდნეის ოლიმპიადამდე და მის შემდეგაც, ინტენსიურად იყენებდა ანაბოლურ სტეროიდებს. ამის გამო, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მას სიდნეიში მოპოვებული მედლების დაბრუნება მოსთხოვა.

*"ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ გადაწყვეტილების გამო, სხვა სპორტსმენები უსამართლოდ ისჯებიან, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ამერიკის ოლიმპიურ კომიტეტს მივმართეთ, რომ მათ ეს მედლები უნდა დააბრუნონ"*, - ნათქვამია სოკ-ის პრესმდივან **ჟიზელ დევისის** განცხადებაში.

ჯონსმა თავისი მედლები (რომელთაგან ოქროები 100 და 200 მეტრზე სპრინტებში, ასევე 4x400 მეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა, ორი ბრინჯაო კი - სიგრძეზე ხტომასა და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში) შარშანვე დააბრუნა, მაგრამ ესტაფეტებში მისი თანაგუნდელები ამის გაკეთებას არ აპირებენ. თავიანთი მონაპოვრის დასაცავად, მათ ადვოკატი დაიქირავეს, რომელიც საქმეს საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივრებს.

სოკ-ი ჯერ არ აპირებს იმის განხილვას, თუ ვის უნდა მიეკუთვნოს ამერიკელებისთვის ჩამორთმეული მედლები. ამ საკითხის განხილვა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყება, რაც დასრულდება, ეგრეთ წოდებული, ბალკო-ს საქმე, რომელიც კალიფორნიის ლაბორატორიის დანაშაულებრივ საქმიანობას იძიებს. სოკ-ის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ამ საქმეში სხვა ცნობილი სპორტსმენებიც აღმოჩნდნენ გარეულნი.

რაც შეეხებათ იმ მორბენლებს, რომლებისგანაც მედლების დაბრუნებას მოითხოვენ. ესენი არიან: 4x400 ესტაფეტის გუნდში: **ჯერლ-მაილს კლარკი, მონიკ ჰენაგენი, ლატაშა კოლანდერ-რიჩარდსონი** და **ანდრეა ანდერსონი**, 4x100 ესტაფეტის გუნდში კი: **კრისტი გეინსი, ტორი ედვარდსი, ნენსინ პერი** და **პეშონ რიჩარდსონი.**

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჩოგბურთი

# დევისის თასს ფასი დაედო

ორი დღის წინ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) და პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP). ამ ორმა ორგანიზაციამ 2009-2013 წლებში დევისის თასის ჩატარების გრაფიკი შეათანხმა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მომავალი სეზონიდან დევისის თასის მსოფლიო ჯგუფში ნაჩვენები შედეგები ATP-ის რეიტინგში იქნება გათვალისწინებული. ასე რომ, წამყვან მამაკაც ჩოგბურთელებს გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის მეტი მოტივაცია ექნებათ.

ქულების დარიცხვის სისტემა ასეთია. გრადაციის მიხედვით, დევისის თასი ATP-ის Premium 500-ის კატეგორიაში გაიყვანეს, რომელიც დაახლოებით International Series Gold-ის ტურნირების რანგს შეესაბამება.

მერვედფინალში, ერთეულთა თანრიგში მოგებული თითოეული მატჩისთვის ჩოგბურთელს 40 ქულა ერიცხება, ანუ ამ ეტაპზე სარეიტინგო მარაგი ჯამში შეიძლება 80 ქულით შეივსოს. მეოთხედფინალში ერთი შეხვედრის მოგება 65 სარეიტინგო ქულას უდრის, ნახევარფინალში 70 ქულას და ფინალში - 75-ს.

ამასთან, კვირის ის თამაშები, რომელიც მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენს, სარეიტინგო ქულების დასარიგებლად არ გამოდგება.

ჩემპიონი გუნდის ჩოგბურთელი, რომელიც დევისის თასზე სეზონში 7 ერთეულთა თამაშს მოიგებს, დამატებით 75 ქულას მიიღებს. ხოლო 8 მოგებული შეხვედრისთვის, ბონუსის სახით 125 ქულაა გათვალისწინებული.




ამერიკა დევისის თასის მოქმედი ჩემპიონია

და კიდევ, მსოფლიო ჯგუფის რანგში ჩატარებულ შეხვედრაში, წაგებისთვის 10 ქულას იძლევიან.

ჩოგბურთელებისთვის დევისის თასზე ქულების დარიცხვის გადაწყვეტილებას შეიძლება რევოლუციური ეწოდოს. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ATP უხვად არიგებს ქულებს. ასე მაგალითად, დევისის თასის ფინალში ერთი მატჩის მოგება "დიდი სლემის" ტურნირის 1/16 ფინალში გასვლას უდრის. ქულათა მაქსიმალური რიცხვი, რაც ჩოგბურთელმა დევისის თასზე ერთი წლის განმავლობაში გამოსვლით შეიძლება მოიპოვოს 625-ს უდრის, არადა იმავე "დიდი სლემის" ნებისმიერი ტურნირის ფინალში გასვლა 700 ქულით ფასდება.

პირველი, ვინც ამ რევოლუციურ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი** იყო, რომელმაც არ მოიწონა ეს სიახლე, რადგან მიაჩნია, რომ ეს უსამართლობაა იმ ნაკრებების მოთამაშეების მიმართ, რომლებიც მსოფლიო ჯგუფში არ შედიან.

*"ჩემი აზრით, დევისის თასზე ქულების დაგროვება ძალიან რთული იქნება. ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ იქნება შენს გუნდში და რომელი ქვეყანა უმასპინძლებს მატჩს.. რეიტინგი - ინდივიდუალური წარმატების მაჩვენებელია და არ ღირს მისი დევისის თასთან დაკავშირება. და თუ შენ პატარა ქვეყანაში დაიბადე და არ შეგიძლია მარტო გაიყვანო გუნდი შემდეგ წრეში, შესაბამისად, ქულების მიღების საშუალებაც არ გექნება"*, - ამბობს ჰიუიტი.

**გია თვალაბეიშვილი**

ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მოკლე აუზი

# ამჯერად, მხოლოდ ერთი რეკორდი


ჯესიკა ჰარდი

მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე (მოკლე აუზში), რომელსაც მანჩესტერის სპორტული კომპლექსი "მენ არენა" მასპინძლობს, ჯერჯერობით მსოფლიო რეკორდის გარეშე დღეს არ ჩაუვლია. პირველსავე დღეს რომ სამი რეკორდი გაუმჯობესდა, ამაზე პირველ მანჩესტერულ რეპორტაჟში მოგიყევით. მეორე დღე მხოლოდ ერთი რეკორდით აღინიშნა და ის ამერიკელმა **ჯესიკა ჰარდიმ** 50 მეტრზე ბრასში დაამყარა.

ჰარდიმ შარშან ამავე დისტანციაზე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ამჯერად კი მოკლე აუზში გაინავარდა და ოქროს მედალთან ერთად, მსოფლიო რეკორდსმენის წოდებასაც დაეუფლა. მან დისტანცია 29.58 წამში გაცურა და 0.32 წამი მოაკლო ავსტრალიელი **ჯეიდ ედმინსტოუნის** მიერ ოთხი წლის წინათ, ბრისბენში (ავსტრალია) დამყარებულ რეკორდს.

ჰარდიმ სტარტზევე ხელთ იგდო ლიდერობა და ფინიშის დაფასაც პირველმა შეახო ხელი. მან ნახევარ წამზე მეტით აჯობა უახლოეს მდევარს რუსეთიდან, **იულია ეფიმოვას**. ეფიმოვამ ერთი თვის წინათ, 200 მეტრზე ბრასში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ამჯერად კი მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა ვერცხლი ვერ მიიღო, რადგან მსაჯებმა ფალსსტარტში გამოიჭირეს და ასპარეზობიდან (ნაფინიშევს) მოხსნეს.

ვერცხლი კი ორმა მოცურავემ, ბრიტანელმა **კეიტ ჰეივუდმა** და ავსტრალიელმა **სარა კაცულისმა** გაიყვეს, რომლებმაც დისტანცია ზუსტად იდენტურ დროში, 30.35 წამში გაცურეს. რაც შეეხება ედმინსტოუნს, ის ამჯერად მეხუთე ადგილს დასჯერდა და რეკორდთან ერთად, ზიმბაბველ მეტოქე-კოლეგას ორი წლის წინათ მოპოვებული, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც დაუთმო.

*"ჩემპიონატისთვის კარგად ვიყავი მომზადებული. ვიცოდი, რომ რეკორდის დამყარება შემეძლო და ამას ვიმედოვნებდი კიდეც, მაგრამ რეკორდის მოლოდინი არც მქონია"*, - დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ განაცხადა ჰარდიმ.

ჩემპიონატის მეორე დღეს ოქროს მეორე მედალი ზიმბაბველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **კირსტი ქოვენთრიმ** მოიპოვა, ვინც პირველივე დღეს მსოფლიო რეკორდის (400 მეტრზე ინდივიდუალურ შერეულ სტილში) დამყარებით ისახელა თავი. ამჯერად მან 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა და მართალია, მსოფლიო რეკორდს ველარ შესწვდა, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატების (მოკლე აუზში) საუკეთესო შედეგი (57.10 წამი) მაინც დააფიქსირა.

დისტანციის პირველი ნახევრის შემდეგ, ქოვენთრი მესამე ადგილზე იყო, მაგრამ მობრუნებულმა, უკან ჩამოიტოვა უკრაინელი **კატერინა ზუბკოვა** და ხორვატი **სანია იოვანოვიჩი**, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. მეორე ოქრო რომ მოიპოვა, ამერიკაში მოვარჯიშე ქოვენთრი ისევ აუზს დაუბრუნდა და 100 მეტრზე ინდივიდუალურ შერეულ სტილში ნახევარფინალური გაცურვა მოიგო.

*"ცოტა დავიღალე, მაგრამ ასეთი დატვირთული განრიგით ვარჯიშებზეც მიცურავია და რასაც იქ ვახერხებ, აქაც შევძლებ. ყველაფერი კი ფსიქოლოგიურად მაძლიერებს, რაც პეკინში ძალიან გამომადგება"*, - განაცხადა ქოვენთრიმ.

მეორე ოქრო მოიპოვა ამერიკელმა **რაიან ლოხტემაც**, ვინც ჩემპიონატის პირველ დღეს, თანაგუნდელებთან ერთად, 4x100 მეტრზე თავისუფალში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამჯერად, ის ყველაზე სწრაფი 400 მეტრზე ინდივიდუალურ შერეულ სტილში იყო.

ლოხტე სტარტიდანვე დაწინაურდა. მართალია, ბოლო დისციპლინამდე მას კვალში ორი მეტოქე - ამერიკელი **რობერტ მარგალისი** და ბერძენი **იოანის დრიმონაკოსი** ედგა, მაგრამ როცა საქმე თავისუფალ სტილზე მიდგა, მაშინვე გაზარდა უპირატესობა და ფინიშთანაც პირველმა მიცურა (4:03.21).

ლოხტეს კიდევ ერთი მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა, მაგრამ ამჯერად, ამერიკელებმა 4x200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ველარ ივარგეს. პირველობა არავის დაანებეს ოზებმა, ვერცხლი და ბრინჯაო კი, შესაბამისად, ბრიტანელთა და იტალიელთა ნადავლი გახდა.

ქალთა შორის 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდის დამყარებასთან ახლოს იყო ბრიტანელი **რებეკა ედლინგტონი**, მაგრამ ბოლო 50 მეტრზე აშკარად დაღლა დაეტყო და ოქროს მედალსლა დასჯერდა. სამაგიეროდ, დისტანცია მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო შედეგით (8:08.25) გაცურა. ცნობისათვის, ამერიკელი **კეიტ ციგლერის** მსოფლიო რეკორდამდე მას სულ რაღაც 0.25 წამი დააკლდა.

*"წარმოდგენაც არ მქონდა, რომ რეკორდთან ასე ახლოს ვიყავი, თორემ თავს არ დავზოგავდი. სამაგიეროდ, ამიერიდან მეცოდინება, რომ რეკორდის თავი მაქვს და ეს პეკინში გამომადგება"*, - განაცხადა ედლინგტონმა, ვინც ოთხ წამზე მეტით აჯობა ავსტრალიელ **კაილი პალმერს**.

ედლინგტონის გამარჯვებამდე, ბრიტანელთა გუნდს პირველი ოქრო **ლიამ ტენკოკმა** მოუპოვა, რომელმაც 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა. დისტანციის პირველი ნახევარი მანაც მსოფლიო რეკორდზე უკეთესი გრაფიკით გაცურა, მაგრამ ფინიშამდე ტემპის შენარჩუნება ვერ შეძლო და "მხოლოდ" ოქროს დასჯერდა. თანაც, უკან მოიტოვა ამერიკელი **რენდალ ბელი**, ვინც ამავე დისტანციაზე, ოღონდ გრძელ (სტანდარტულ) აუზში, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს 2001 წელს ფლობდა.

100 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდით (50.04) მოიგო სლოვენიელმა **პეტრ მანკოჩმა**. ჩემპიონატების რეკორდი (57.74) უკრაინელმა **იგორ ბორისიკმაც** დაამყარა, რომელიც ოქროს მედალს 100 მეტრზე ბრასში დაეუფლა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 12 აპრილი. შაბათი

#### I არხი

11:00 რაგბი. ერთა თასი. რუსეთი-საქართველო (LIVE).
19:05 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:10 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ვოლფსბურგი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე (LIVE).
19:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-რენი (LIVE).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რასინგი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ეინდჰოვენი-ფიორენტინა.
09:01 სპორტდოსიე.
09:29 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჩინეთი (LIVE).
11:50 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ქალები. უკრაინა-ჩინეთი. ბაქო. აზერბაიჯანი.
13:37 სპორტის სამყარო.
14:03 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. 1/4 ფინალი. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
15:39 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. ვაშინგტონი-ფილადელფია.
17:31 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-კატანია (LIVE).
22:00 სპორტის სამყარო.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი (LIVE).
00:29 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ბოავიშტა.
02:13 ბილია. ჩემპიონთა თამაშები.
03:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-ბარსელონა.
04:48 ფეხბურთი. Barca TV.
04:55 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). III დღე. ფინალები. მანჩესტერი. ბრიტანეთი.

#### EUROSPORT

10:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი.
10:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). IV დღე. მანჩესტერი. ბრიტანეთი (LIVE).
14:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
16:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
19:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). III დღე. ფინალები. მანჩესტერი. ბრიტანეთი.
19:15 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). IV დღე. ფინალები. მანჩესტერი. ბრიტანეთი (LIVE).
21:30 ცხენოსნობა. მსოფლიო ტური. კატარი (LIVE).
23:00 კიკ-ბოქსინგი. ესპანეთი (LIVE).
01:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. აშშ.
03:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ამელია აილენდი. აშშ.

#### EUROSPORT-2

06:00 პროფესიული კრივი. კ. ჯონსი (აშშ)-ფ. ტრინიდადი (პუერტო რიკო). ნიუ იორკი. აშშ.
08:00 პროფესიული კრივი. ჯ. მაკგირტი (აშშ)-კ. დე ლეონი (პუერტო რიკო). მაიამი. აშშ.
09:00 ახალი ამბები.
09:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი.
09:45 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. დუბაი. საემიროები.
15:45 ახალი ამბები.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. პრაქტიკა.
15:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
16:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი.
18:00 რაგბი. ერთა თასი. რუსეთი-საქართველო.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. "რვათა ფინალი". 1/2 ფინალი. ტურინი. იტალია (LIVE).
22:15 ახალი ამბები.
22:25 სერფინგი. ნორვეგია.
22:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. "რვათა ფინალი". 1/2 ფინალი. ტურინი. იტალია (LIVE).
00:45 ახალი ამბები.
01:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. დუბაი. საემიროები.
01:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ტელეჟურნალი.
01:45 ახალი ამბები.
02:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი.
03:00 ახალი ამბები.
03:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი.

### 13 აპრილი. კვირა

#### I არხი

15:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ავიამშენი-ენერჯიინვესტი (LIVE).
19:00 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია (LIVE).

#### მზე

16:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-ამერი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა.

#### რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა.
14:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-რენი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ტვენტე (LIVE).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-არსენალი (LIVE).
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბლექბერნი.
22:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ნიცა (LIVE).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-არსენალი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. B დივიზიონი. ხორვატია-უკრაინა. საპორო. იაპონია (LIVE).
10:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
11:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). V დღე. ფინალები. მანჩესტერი. ბრიტანეთი.
13:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
14:04 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. დეტროიტი-ნეშვილი.
15:49 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბლექბერნი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-არსენალი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მურსია (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ვილიარეალი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი (LIVE).
02:47 სპორტდოსიე.
03:16 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ფულჰემი.
05:33 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ბოავიშტა.
06:48 სპორტული ისტორია.

#### EUROSPORT

10:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი.
10:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
11:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). V დღე. მანჩესტერი. ბრიტანეთი (LIVE).
13:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. მოტოგრან-პრი. (LIVE).
18:30 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. პარიზი-რუბე. საფრანგეთი.
19:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). V დღე. ფინალები. მანჩესტერი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ამელია აილენდი. აშშ (LIVE).
22:45 მძლეოსნობა. მარათონი. ლონდონი. ბრიტანეთი
00:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. აშშ (LIVE).
01:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
02:00 პროფესიული კრივი.

#### EUROSPORT-2

09:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი.
09:45 ახალი ამბები.
12:00 მძლეოსნობა. მარათონი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
14:15 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ლარისა.
15:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი.
16:45 კალათბურთი. ULEB-ის თასი. "რვათა ფინალი". 1/2 ფინალი. ტურინი. იტალია.
18:00 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია (LIVE).
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. "რვათა ფინალი". ფინალი. ტურინი. იტალია (LIVE).
22:15 ახალი ამბები.
22:25 სერფინგი. ნორვეგია.
22:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
23:30 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-ედმონტონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| დონკასტერი-სუინდონი | 2:0 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | შეწყდა |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-კაიზერი | 0:0 |
| აუგსბურგი-მაინცი | 2:1 |
| ოსნაბრიუკი-კობლენცი | 2:0 |
| პადერბორნი-კიოლნი | 2:2 |
| ვეენი-სტ. პაული | 1:3 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვოლფსბურგი II-დინამო (დრ) | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ელვერსბერგი-ზანდჰაუზენი | 0:4 |
| შტ. კიკერსი-ოგერშაიმი | 1:0 |
| ინგოლშტადტი-კარლსრუე II | 1:1 |
| ზიგენი-შტუტგარტი II | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ნანტი | 2:1 |
| ამიენი-რეიმსი | 1:0 |
| ანჟერსი-შატორუ | 3:0 |
| ბულონი-ლიბურნი | 1:0 |
| დიჟონი-გრენობლი | 0:0 |
| ნიორი-კლერმონი | 1:0 |
| სედანი-ბრესტი | 2:0 |
| ტრუა-გენიონი | 2:2 |
| გინგამი-ჰავრი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვეენდამი-ვაალვიკი | 0:1 |
| კამბური-ჰელმონდი | 5:1 |
| დენ ბოში-ტელსტარი | 3:0 |
| ეინდჰოვენი II-აპელდოორნი | 4:1 |
| ფორტუნა-დენ ჰააგი | 2:2 |
| ჰაარლემი-მაასტრიხტი | 0:0 |
| ომნივორლდი-იგლზი | 0:4 |
| როსენდალი-ტოპ ოსი | 0:1 |
| ვოლენდამი-დორდრეხტი | 2:0 |
| ცვოლე-ემენი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| ლოკერენი-სტანდარდი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| ბენფიკა-აკადემიკა | 0:3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი-აუსტრია (კ) | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| გრატკორნი-შვადორფი | 1:0 |
| ლეობენი-ბად ოსი | 2:2 |
| ლუშტენაუ-ზალცბურგი II | 2:1 |
| პარნდორფი-აუსტრია II | 3:0 |
| შვანენშტადტი-აუსტრია (ლ) | 0:2 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-ბრეი | 1:1 |
| დერი-სლიგო | 0:0 |
| გალვეი-კორკი | 1:3 |
| უნივერსიტი-დროგედა | 1:3 |
| ფინ ჰარპსი-სტ. პატსი | 0:3 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კონკორდია-კიასო | 2:3 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ოფთასი | 0:1 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ტნს | 2:0 |
| ლანგეფნი-ბანგორი | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| სოსნოვეცი-გურნიკი | 0:2 |
| ლკს-ვიძევი | 2:0 |
| **უკრაინა** | |
| კარპატი-ვორსკლა | 1:2 |
| **უნგრეთი** | |
| ვაშაში-დებრეცენი | 0:3 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ULEB-ის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| დინამო-ტუროვი | 78:63 |
| ხირონა-უნიქსი | 75:66 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-ლე მანი | 84:62 |
| პსჟ-ორლეანეზი | 66:62 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| ს. იულიაევი-ლოკომოტივი | 4:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-კოშიცე | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ჰ371 | 3:3 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **WTA. ამელია აილენდი** | |
| რაზანო-კორნე | 4:6, 2:6 |
| დავენპორტი-შავაი | 6:4, 7:6 |
| შარაპოვა-ა. ბონდარენკო | 6:7, 6:3, 6:2 |
| **დევისის თასი** | |
| **რუსეთი-ჩეხეთი** | **1:1** |
| საფინი-ბერდიხი | 6:7, 4:6, 6:3, 6:2, 6:4 |
| ანდრეევი-შტეპანეკი | 3:6, 2:6, 4:6 |
| **გერმანია-ესპანეთი** | **0:2** |
| კიფერი-ნადალი | 6:7, 0:6, 3:6 |
| კოლშრაიბერი-ფერერი | 7:6, 3:6, 4:6, 2:6 |
| **არგენტინა-შვედეთი** | **1:1** |
| ნალბანდ-ტ. იოჰანსონი | 6:2, 5:7, 6:4, 6:2 |
| აკასუსო-სიოდერლინგი | 0:6, 4:6, 1:6 |
| **აშშ-საფრანგეთი** | **1:0** |
| როდიკი-ლოდრა | 6:4, 7:6, 7:6 |
| ბლეიკი-მატიო | გვ. დასრულდა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკითხვა

# ვინ არის ყველაზე მაგარი



გრაფი ნავრატილოვაზე მაღლა დააყენეს

ინგლისურმა ტაბლოიდმა "სანმა" საინტერესო რეიტინგი შეადგინა. ბრიტანელებმა გამოაქვეყნეს იმ 10 სპორტსმენის სია, რომლებიც სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში წლების განმავლობაში დომინირებდნენ.

### 10. სტივენ ჰენრი

შოტლანდიელი ბილიარდისტი თავისი სახეობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მართალია, დღეს ძველებურად ველარ ბრწყინავს, მაგრამ 90-იანების შუაში, მას ვერავინ შეედრებოდა. **ჰენრი** შვიდჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, თანაც 1992-96 წლებში ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა ტიტული.

### 9. როჯერ ფედერერი

ეს რეიტინგი ათი წლის შემდეგ რომ შეედგინათ, **ფედერერი** შეიძლება პირველ ადგილზეც ყოფილიყო. შვეიცარიელი ჯერ მხოლოდ 26 წლისაა, მაგრამ უკვე ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად განიხილება. როჯერს ხუთჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი, ოთხჯერ - აშშ-ის ღია პირველობა და სამჯერ - ავსტრალიის ღია პირველობა. მის ანგარიშზეა აგრეთვე როლან გაროსის ორი ფინალი.

### 8. ჯეკ ნიკლაუსი

ეს გოლფისტი, რომლის მეტსახელი "ოქროს დათვი" გახლავთ, **ტაიგერ ვუდსამდე** გოლფში მთავარი რეკორდსმენი იყო. 1962-86 წლების პერიოდში, მან 18 სუპერტურნირი მოიგო და ისტორიაში პირველი გოლფისტი გახდა, ვინც გოლფის ასოციაციის ოთხი მთავარი ტიტული (Masters, The Open, U.S. Open, PGA Championship) მოიპოვა.

### 7. შტეფი გრაფი

**გრაფი** პრაქტიკულად დაუმარცხებელი იყო 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში. მან "დიდი სლემის" 22 ტურნირზე მოიპოვა მთავარი პრიზი. მიუხედავად იმისა, რომ ტიტულების საერთო რაოდენობით გერმანელი **მარტინა ნავრატილოვას** ჩამორჩება, ინდივიდუალური ჯილდოების მხრივ, შტეფის ბადალი არ ჰყავს.

### 6. ფილ ტეილორი

ეს გახლავთ დარტსის მოთამაშე და მის ანგარიშზე მსოფლიო ჩემპიონის 13 ტიტული მოდის. **ტეილორმა** რვაჯერ ზედიზედ (1995-2002) მოახერხა საუკეთესო გამხდარიყო თავის სახეობაში. ბოლო ტიტული მან 2006 წელს მოიპოვა, თუმცა დღესაც შესანიშნავ შედეგებს აჩვენებს.

### 5. პიტ სამპრასი

როცა ფედერერი ჯერ კიდევ მოზარდი იყო, საჩოგბურთო კორტებს ერთი მეფე ჰყავდა - "პისტოლეტი პიტი". ის ყველა დროის რეკორდსმენია "დიდი სლემის" ტურნირებზე გამარჯვებების რაოდენობით - 14 ტიტული. აქედან 7 მოგება უიმბლდონზე მოდის, ხუთი - აშშ-ის ღია პირველობაზე და ორიც - ავსტრალიაზე. მხოლოდ როლან გაროსის დაპყრობა ვერ შეძლო ლეგენდარულმა ამერიკელმა.

### 4. მიხაელ შუმახერი

"წითელმა ბარონმა" "ფერარიში" ყოფნისას ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული, მანამდე ორჯერ "ბენეტონის" შემადგენლობაში გაჩემპიონდა. შუმახერის დომინირება იმდენად საგრძნობი იყო, რომ მაყურებლისთვის ფორმულა 1 მოსაწყენი სანახაობა გახდა, თუმცა ეს სულაც არ აკნინებს გერმანელის დამსახურებებს.

### 3. მუჰამედ ალი

ალი ყველა დროის საუკეთესო მოკრივედ ითვლება. 22 წლის ასაკში გაჩემპიონების შემდეგ, მას რინგზე დასაბრუნებლად ბევრი ბარიერის გადალახვა მოუხდა. მას **ჯო ფრეზერთან** და **კენ ნორტონთან** ორი წაგება ელოდა, მაგრამ მოკლე ხანში, ალიმ ფორმა დაიბრუნა, მან ჯერ ორ მოკრივეს აულო რევანში, ხოლო **ჯორჯ ფორმენის** დამარცხებით, ცხრა წლის შემდეგ ისევ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

### 2. ტაიგერ ვუდსი

მსოფლიო გოლფის ლიდერმა თავისი პირველი დიდი ტურნირი 1997 წელს მოიგო. მაშინ ის 22 წლის გახლდათ. იქედან მოყოლებული, კიდევ 12-ჯერ გახდა წლის მთავარი ტურნირების გამარჯვებული, სულ კი, პროფესიულ ტურში 64 ტიტულს ფლობს, საპრიზო თანხამ კი, მთელი კარიერის მანძილზე 80 მილიონ (!) დოლარს გადააჭარბა. და ეს არ არის მისი შესაძლებლობების ზღვარი.

### 1. ლენს არმსტრონგი

ტურ დე ფრანსზე გამარჯვება ყველაზე მეტ ფიზიკურ და მორალურ ძალას მოითხოვს და შეიძლება ამიტომაც მოხვდა პირველ ადგილზე ლეგენდარული ამერიკელი, რომელსაც მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულიველორბოლა ზედიზედ შვიდჯერ აქვს მოგებული (1999-2005). ეს ბრწყინვალე სერია მას შემდეგ განახორციელა, როცა მას 90-იანების შუაში ფილტვის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

**გია თვალაბეიშვილი**

ავტოსპორტი

# გოგონები ავტოდრომისთვის

## ბრიატორეს ქორწილი აქვს



მოტოსპორტის ბრიტანელი გულშემატკივრების ნანატრი დღეც დადგა. გამოქვეყნდა ამ წლის სეზონისთვის Bennetts-ის გოგონების (Bennetts Babes) სახელები. ისინი სულ თორმეტნი არიან და მთელი წლის განმავლობაში, სუპერბაიკში ბრიტანეთის და მსოფლიო ჩემპიონატის რანგში სხვადასხვა ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას.

ეს ქალბატონები თავიანთი ფორმებით ყოველი გრანპრის სასტარტო ბილიკს დაამშვენებენ. ფოტორეპორტიორების და გულშემატკივრების ყურადღებას ისინი შეჩვეულნი არიან. სანამ თავიანთი უშუალო მოვალეობების შესრულებას შეუდგებიან, გოგონებმა "სანის" ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა.

ამასობაში, იმავე "სანმა" იმ ლამაზმანების სია გამოაქვეყნა, რომლებიც ფორმულა 1-ის ჩემპიონატის ეტაპებს ამშვენებენ ხოლმე. ინგლისური ტაბლოიდის რჩეულები გახდნენ: **ელიზაბეტა გრეგორაჩი (ფლაივო ბრიატორეს** მეგობარი), **ლუნა ფიზიკელა (ჯანკარლო ფიზიკელა), კარენ მინირი (დევიდ კულტჰარდი), ჯენი დალმანი (კიმი რაიკონენი), რაკელ როსარიო (ფერნანდო ალონსო), რაფაელა ბასი (ფელიპე მასა), გაბრიელა კონსტანტინო (ნელსინიო პიკე), ფლორან ბრიუდენელ ბირუსი (ჯენსონ ბატონი).**

■ ■ ■

ამჯერად ამ პატივსაცემი ქალბატონებიდან ყურადღებას "რენოს" შეფის, ფლავიო ბრიატორეს მეგობარზე, 26 წლის მოდელ ელიზიბეტა გრეგორაჩიზე შევაჩერებთ. მიზეზი საპატიოა - გრეგორაჩისა და 56 წლის ბრიატორეს 11 ივნისს ქორწილი აქვთ დაგეგმილი.

"რენოს" ხელმძღვანელმა თავის ქორწილში უკვე დაპატიჟა საპატიო სტუმრები - **ბერნი ექლსტოუნი, ლუკა დე მონტეძემოლო და მაქს მოსლი.**

მაგრამ ამ უკანასკნელის საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია. როგორც შვეიცარიული ჟურნალი Motorsport Aktuell წერს, გრეგორაჩი კატეგორიული წინააღმდეგია, რომ FIA-ს პრეზიდენტი მის ქორწილს დაესწროს. როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ, მოსლი სექს-სკანდალში გაეხვა და სწორედ ამის შემდეგ შეელახა ბრიატორეს რჩეულის თვალში რეპუტაცია.

**გია თვალაბეიშვილი**



ელიზაბეტა გრეგორაჩი

# რა ღირს ერთი გრანპრი?

## საემიროების ეტაპი ოქტომბერში გაიმართება

ინდიანაპოლისის ცნობილი ავტოდრომის შეფს, **ტონი ჯორჯს** ხშირად უთქვამს იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის კალენდარში აშშ-ის გრანპრის დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ეტაპის ორგანიზატორები სოლიდურ სპონსორებს მოიზიდავენ. როგორც წესი, ავტოდრომები კალენდარში მოსახვედრად სოლიდურ თანხებს იხდიან და ნაწილობრივ, გრანპრიზე დასასწრები ბილეთები სწორედ ამის გამო ღირს ასეთი ძვირი. ამერიკელები ნაჩვევი არ არიან ასეთ ფასებს, ამიტომაც ტრიბუნებზე ანშლაგები ყოველთვის გარანტირებული არ იყო. შესაბამისად, ამერიკული ეტაპის ორგანიზატორებს ყოველთვის ჰქონდათ გაწეული ხარჯის ანაზღაურების პრობლემები.

საქმიანმა ჟურნალმა Formula Money-მ გამოაქვეყნა იმ თანხების ოდენობა, რაც ტრასების მფლობელებს გრანპრის ჩატარებისთვის ეხარჯებათ. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ეს ის თანხებია, რომელიც ყოველწლიურად ჩემპიონატის ადმინისტრაციის სალაროში ირიცხება. აი, რამდენიმე გრანპრის მონაცემი:

| | |
|---|---|
| მალაიზიის გრანპრი | $37.75 მლნ |
| იაპონიის გრანპრი | $35 მლნ |
| ჩინეთის გრანპრი | $30.25 მლნ |
| ბაჰრეინის გრანპრი | $25.5 მლნ |
| ავსტრალიის გრანპრი | $18.25 მლნ |
| კანადის გრანპრი | $18.25 მლნ |
| საფრანგეთის გრანპრი | $15.75 მლნ |
| ბრიტანეთის გრანპრი | $15.75 მლნ |
| იტალიის გრანპრი | $3.75 მლნ |
| მონაკოს გრანპრი | არ იხდის |

■ ■ ■

პრესისთვის უცნობია, რა უჯდება არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს გაისად ამ ქვეყანაში გასამართი სადებიუტო გრანპრი. ჯერჯერობით მხოლოდ ის გახდა ცნობილი, თუ რომელ თვეში გაიმართება 2009 წელს, საემიროების გრანპრი, რომელსაც აბუ დაბის ავტოდრომი უმასპინძლებს. სადებიუტო რბოლა ოქტომბერში ჩატარდება, თუმცა ჯერ ცნობილი არ არის, აბუ დაბის ეტაპი ჩემპიონატის დასკვნითი რბოლა იქნება თუ არა.

კუნძულ იასზე სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ავტოდრომის მშენებლობა. სხვათა შორის, მშენებლობის პროცესში პროექტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: პირველადი გეგმის მიხედვით, ქუჩის ტრასას ნავსადგურზე უნდა გაევლო, მაგრამ არქიტექტორებმა ამაზე უარი თქვეს და ახლა ეს იქნება მთლიანად სტაციონარული სარბოლო წრე.

აბუ დაბის ტრასა ფორმულა 1-ის მთავარმა არქიტექტორმა **ჰერმან ტილკემ** დააპროექტა და "დიდი ცირკის" მფლობელს, **ბერნი ექლსტოუნს** მიაჩნია, რომ ეს იქნება მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ავტოდრომი.



არქიტექტურის სასწაული აბუ დაბიში

**გია თვალაბეიშვილი**